საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№13 (248)
9 - 15 აპრილი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

6
## კოკაბი-ტაძის მეოთხე უკურნებელი სტადია

# პალატა №41



5

## «ვარდების რევოლუციამდე» საქართველოს საგარეო ვალი 2 მილიარდ 125 მილიონს შეადგენდა, დღეს 13 მილიარდზე მეტია
9

## მიზანმიმართული დეზინფორმაცია თუ მიამიტი ექსპერტის უხეში შეცდომა?
8

## იარაღით უკანონო ვაჭრობაში ექვმიტანილ ზურაბ ფორჩხუას კვლავ საჰაერო ძალების სარდლად ნიშნავენ!
7

## ობამამ პირში უძრახა




14

«არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად არ დგანან ნატოში გაწევრიანების გზაზე»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ირაკლი ღარიბაშვილი: თუ სააკაშვილი არ ჩამოვა, მასზე ძებნას გამოვაცხადებთ!

**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილის უარი პროკურატურაში დასაკითხავად გამოცხადებაზე ასე შეაფასა:** „თუ ჯერ კიდევ აქვს საღი აზრი შენარჩუნებული, უნდა ჩამოვიდეს. თუ არ ჩამოვიდა, მასზე კანონის შესაბამისად ძებნა გამოცხადდება. ის დღეს ჩვეულებრივი მოქალაქეა. მასთან პროკურატურას ძალიან მძიმე საქმეებზე აქვს კითხვები. კეთილი ინებოს, ჩამობრძანდეს და გასცეს პასუხი“.





## პატრიარქი — ჟურნალისტებს: გთხოვთ, როგორც სულიერ შვილებს, სიკეთეზე წერეთ!

**სვეტიცხოველში ხარების დღესასწაულისადმი მიძღვნილი წირვის დასრულების შემდეგ პატრიარქმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა. უწმინდესმა ხარების დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა და წმინდა სახარებიდან ადგილი გაიხსენა, როდესაც მთავარანგელოზმა გაბრიელმა ღვთისმშობელს ახარა, რომ იგი გახდებოდა მაცხოვრის დედა.**

უწმინდესმა ყველას მიმართა, განსაკუთრებით — ჟურნალისტებს, რომ იყვნენ კარგი ამბის მახარობლები და ნუ ასახავენ მხოლოდ და მხოლოდ ნეგატივს.

„დღეს მინდა შეგახსენოთ: ყოველი მორწმუნე მოვალეა, იყოს მახარობელი, სიხარულის მომტანი. ზოგს სიამოვნებს, რომ სხვას რაღაც ცუდს ეუბნება. მე არაერთხელ მითქვამს ჩვენი ჟურნალისტებისთვის, რატომ წერენ ამდენ ცუდს, ამდენ ნეგატივს, ვიღაცამ ვიღაცა მოკლა და ა. შ. და ამაზე ასეთი პასუხი მივიღე, — ხალხს ეს უფრო აინტერესებსო. ხალხს ეს არ აინტერესებს, ხალხი დაიღალა ამ ყოველივეთი. მინდა გთხოვოთ, როგორც ჩვენს სულიერ შვილებს, სიკეთეზე წერეთ, ბევრი რამ არის კარგი და ეს უნდა დავინახოთ... მივმართავ პრესას თქვენ უნდა წეროთ ნეგატიურიც. მაგრამ ამასთანავე, დადებითზეც უნდა წეროთ, სიხარული უნდა მოუტანოთ ხალხს. გეძლევათ, ლოცვაკურთხევა ყველას, პირველ რიგში, ჩემს თავს ვეუბნები, ყველა მახარობელი უნდა ვიყოთ და სიხარულით უნდა აივსოს ადამიანი“, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

## ერეკლე კოდუაზე ინტერპოლმა ძებნა გამოაცხადა




**ინტერპოლის ვებგვერდზე სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდის) ყოფილი უფროსის — ერეკლე კოდუას ძებნის შესახებ ინფორმაცია განთავსდა. ერეკლე კოდუას ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და თაღლითობაში ედება.** ამასთანავე, გავრცელებული ინფორმაციით, ერეკლე კოდუამ უნგრეთის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. ყოფილმა დეპუტატმა ვალერი გელაშვილმა, რომელიც ერეკლე კოდუას წლების წინ მიხეილ სააკაშვილის დაკვეთით ცემაში ადანაშაულებს, განაცხადა, რომ სოდის ყოფილი უფროსი უნგრეთში ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატ ბაჩო ქიტიაშვილთან ერთად იმყოფება. „დღეს ერეკლე კოდუა არის უნგრეთში ადეიშვილთან ერთად. იქ შეიკრიბა მთელი „ნაციონალური მოძრაობა“. ერეკლე კოდუა უნგრეთში ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს იმიტომ, რომ ეშინია საქართველოში არ დაისაჯოს“, — განაცხადა გელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ერეკლე კოდუას პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

საქმე ეხება ერეკლე კოდუას შსს-ს სპეციალური ოპერატიური დეპარტამენტის უფროსად მუშაობის პერიოდს. გამოძიების ცნობით, კოდუამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, გარკვეულ პირებს ძვირადღირებული ავტომანქანები მოსთხოვა.

## ალექსანდრე ჭიკაიძე: იგეგმება ხელისუფლების ცვლილება

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ქვეყანაში მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე ალაპარაკდა. ის საქართველოში „ევრომაიდნის“ განმეორებას არ გამორიცხავს და ამბობს, რომ ეს იდეა „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით აქტიურად განიხილება და ამ მიზნით მობილიზება უკვე დაიწყო.**

მინისტრის თქმით, ყოფილი ხელისუფლების წევრებს ამ საქმეში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაც ეხმარება, რომლებიც აქტიურად მუშაობენ იმაზე, თუ როგორ გამოიყვანონ ხალხი ქუჩაში.

„დიახ, არის ასეთი ინფორმაცია. მათ სურთ, ზონდერჯგუფების ჩამოყალიბება. შესაძლოა, მოახდინონ წარსულში კრიმინალთან და მრავალ დანაშაულთან ასოცირებული პირების მობილიზება. არის ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან, გამოიწვიონ ქვეყანაში აურზაური და ეს კეთდება იმისთვის, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გაამყარონ. მე მგონი, ამას თვითონ საზოგადოება არ დაუშვებს, რადგან დღეს ქვეყანა დგას სწორ გზაზე. მეტსაც გეტყვით, მათ ჩამოიყვანეს უკრაინიდან ევრომაიდნის აქტივისტები, ატარებენ ტრენინგებსა და



მოსამზადებელ სამუშაოებს. მათ საფარქვეშ ჰყავთ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად მუშაობენ იმაზე, როგორ გამოიყვანონ ხალხი ქუჩაში, მოხდეს არეულობა, შემდეგ ისევ მათმა ხალხმა ესროლოს ვინმეს და ეს დაბრალდეს ხელისუფლებას. იგეგმება, რომ გაშალონ კარვები, სადაც 300-400 კაცის მობიზილებას მოახდენენ. მე მჯერა, რომ ჩვენი ოპონენტები თავადვე მიხვდებიან, რომ ეს არ არის ის გზა, რომელიც ქვეყანას ან ნებისმიერ ჩვენგანს რაიმე სიკეთეს მოუტანს“, — ამბობს ჭიკაიძე და აღნიშნავს, რომ ამ გეგმის მიზანი სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობა და ხელისუფლების შეცვლაა.

მისი თქმით, ამ გეგმის განხორციელებას „ნაციონალური მოძრაობა“, სავარაუდოდ, თვითმმართველობის შემდეგ აამუშავებს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ „ნიადაგი მანამდეც მოსინჯონ“.

ქვეყნის პირველი პოლიციელი პირობას დებს, რომ ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოხდენას, უმკაცრესად დაისჯებიან.

**P.S. 8 აპრილს საქართველოს შს მინისტრის განცხადებას პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოეხმაურა და თქვა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში საქართველოში ვერავინ შეძლებს დესტაბილიზაციის მოწყობას, ხოლო თუ ვინმეს ამის მცდელობა ან სურვილი ექნება, ძალიან მკაცრად დაისჯება.**



## 22-23 აპრილს ვიდეოპაემანი უფასო იქნება

**აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის გამო 22 და 23 აპრილს ვიდეოპაემანი უფასო იქნება. ეს ინიციატივა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ სოზარ სუბარს ეკუთვნის.**

22-23 აპრილს თბილისის, ქუთაისის, თელავის, ახალციხის, ბათუმისა და გორის პრობაციის ოფისებში ვიდეოპაემანზე მისული მოქალაქეები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (ქალთა 5 დაწესებულება, არასრულწლოვანთა 11 სპეციალურ დაწესებულება, ქსნის 15 დაწესებულება და რუსთავის 17 დაწესებულება) მყოფ ახლობლებს გადასახადის გადახდის გარეშე დაუკავშირდებიან. მოქმედი კანონმდებლობით, ვიდეოპაემნით სარგებლობა, მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში, შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს. სერვისის ხანგრძლივობა 15 წუთია. ვიდეოპაემნის სურვილის შემთხვევაში, მოქალაქეებმა პრობაციის ბიუროებში წინასწარ უნდა შეავსონ განაცხადი.

## უკანონო მიყურადებასა და ფარული ჩანაწერების გამოყენებაზე სანქციები მკაცრდება

**უკანონო მიყურადებასა და ფარული ჩანაწერების გამოყენებაზე „სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები მკაცრდება.**

ცვლილებები კოდექსის 157-ე (პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა), 158-ე (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა) და 159-ე (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა) მუხლებში შედის, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა და განსახილველად პარლამენტს უკვე წარუდგინა. აღნიშნულ დანაშაულებზე სასჯელის ზომა იზრდება.

157-ე მუხლში, რომელიც პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფაზე აწესებს სანქციას, „პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის“ და „პერსონალური მონაცემების“ გათვალისწინება ხდება. შსს-ს მიერ შეთავაზებული 157-ე მუხლის ახალი ფორმულირება არეალს აფართოებს და ქმნის შესაძლებლობას, პასუხისმგებლობის მიღმა არ დარჩეს პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებული სხვა ქმედებები, რომლებსაც კოდექსის მოქმედი რედაქცია არ მოიცავს. გარდა ამისა, მკაცრდება მოცემული მუხლით გათვალისწინებული სანქციები. კერძოდ, დღეს 157-ე მუხლის პირველი ნაწილი (პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) ითვალისწინებს ჯარიმას, ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით 1 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ამავე ვადით. პარლამენტში წარდგენილი პროექტით გასასწორებელი სამუშაოს ვადა – 2 წლამდე, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ვადა 3 წლამდე იზრდება.

პასუხისმგებლობა თავისუფლების 4-წლამდე ვადით აღკვეთით მძიმდება 157-ე მუხლის მეორე ნაწილის შემთხვევაშიც, რაც თავის მხრივ პასუხიმგებლობას პირადი ან ოჯახური საიდუმლოს მასობრივი მაუწყებლობით ან საჯარო გამოსვლისას გავრცელებაზე აწესებს.



სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად განისაზღვრება კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიტერული მონაცემების უკანონოდ შენახვა, მათი უკანონო გამოყენების, გავრცელების მიზნით. კანონპროექტით გამკაცრებულია საქციებიც — გაზრდილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ვადები.

პასუხისმგებლობა მკაცრდება პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან შეტყობინების საიდუმლოების დარღვევაზე. პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით მთლიანად გადაიხედა სსკ-ის შესაბამისი 159-ე მუხლი.

„უკრაინულ საზოგადოებაში არსებული განხეთქილება, რომელიც ჯერ კიდევ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს შეიმჩნეოდა, ახლა ნათლად ჩანს. ამის გამო ქვეყნის აღმოსავლეთში მცხოვრებლებმა ხელისუფლების ნდობა დაკარგეს. გარდა ამისა, იაცენიუკის მთავრობის ყველა გადაწყვეტილება მიმართულია იქით, რომ ეკონომიკა და პოლიტიკა გარე ძალების კონტროლს დაუქვემდებაროს, კონკრეტულად — ნატოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს“.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამერიკელი ანალიტიკოსი: მაიდანზე დაწყებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ კატასტროფული შედეგი გამოიღო

**ანალიტიკური ცენტრის — Foriegn Policy in Focus-ის („საგარეო პოლიტიკა ფოკუსში“) ექსპერტმა დერეკ მონრომ განაცხადა, რომ უკრაინულ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, კანონიერი ხელისუფლების დამხობამ კი უთანხმოება კიდევ უფრო გააღრმავა.**





დერეკ მონრო

ანალიტიკოსის აზრით, „კიევის მაიდნის“ შედეგები, რომელმაც კანონიერი ხელისუფლების დამხობა გამოიწვია, კატასტროფულია, უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლების ქმედებები კი სამწუხარო შედეგს გამოიღებს.

**„უკრაინულ საზოგადოებაში არსებული განხეთქილება, რომელიც ჯერ კიდევ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს შეიმჩნეოდა, ახლა ნათლად ჩანს. ამის გამო ქვეყნის აღმოსავლეთში მცხოვრებლებმა ხელისუფლების ნდობა დაკარგეს. გარდა ამისა, იაცენიუკის მთავრობის ყველა გადაწყვეტილება მიმართულია იქით, რომ ეკონომიკა და პოლიტიკა გარე ძალების კონტროლს დაუქვემდებაროს, კონკრეტულად — ნატოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს.**

ამჟამად ხელისუფლებას განზრახული აქვს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონის დაქვეითებას გამოიწვევს, რადგან უკრაინაში ეკონომიკის მკაცრი მეთოდებით მართვაა საჭირო, ამიტომ ვითარება წარმოუდგენლად დაძაბული, დრამატული იქნება“, — განაცხადა დერეკ მონრომ.

## მშრალ საკვებს, რომელიც პენტაგონმა უკრაინას გაუგზავნა, ინტერნეტში ყიდიან




**უკრაინული ინტერნეტსაიტების მეშვეობით ყველას შეუძლია შეიძინოს აშშ-ის არმიისთვის 2013 წელს გამოშვებული მშრალი საკვები MRE (Meal Ready to Fat). ამ განცხადების გამოქვეყნების თარიღი უკრაინაში ამერიკული ჰუმანიტარული დახმარების შეტანის თარიღს ემთხვევა — ბოლო განცხადება 29 მარტით არის დათარიღებული.**

მარტის შუა რიცხვებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა დოკუმენტი უკრაინელი სამხედროებისთვის სპეციალური ინდივიდუალური მშრალი საკვების გადაცემის შესახებ. 29 მარტს უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ 25 ათასი ყუთი (330 ათასი კომპლექტი) ასეთი საკვები მიიღო, თუმცა, სამხედროებისთვის უფასოდ გადაცემის ნაცვლად, ახლა ეს საკვები ინტერნეტში იყიდება.

## «ნაცმოძრაობის» ლიდერებს ახალციხეში ბოთლები დაუშინეს



**„შორს სისხლიანი ხელები!“, „ნაცებო, მოცოცხეთ!“, „აღარ გვინდა კრიმინალები პოლიტიკაში!“, „სამცხე-ჯავახეთი ვანოსი აღარ არის!“, — ასეთი შინაარსის ტრანსპარანტებით დახვდნენ 7 აპრილს ახალციხეში შტაბის რაიონულ სხდომაზე ჩასულ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს.**

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალციხის ორგანიზაციაში გიგი უგულავა, მიხეილ მაჭავარიანი, გოკა გაბაშვილი და საპარლამენტო უმცირესობის სხვა წევრები იმყოფებოდნენ.

მათ შენობასთან ტრანსპარანტებით და შეძახილებით რამდენიმე ათეული ადგილობრივი მოსახლე დახვდა, მათ შორის იყვნენ: „ქართული ოცნების“ წევრები, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი დეპუტატი, არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დარბაზის“ წევრები.

მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა შენობა დატოვეს და მანქანებში ჩასხდნენ, აქციის რამდენიმე მონაწილემ მათ ავტომობილებს პლასტმასის ბოთლები ესროლა.

აქციას ესწრებოდა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ნოდარ ტალახაძეც, რომელმაც აქციაზე ყოფნა ასე ახსნა: „ნაციონალებს“ აღარ აქვთ უფლება, ახალციხეში ჩამოვიდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ, ესენი წასული პოლიტიკოსები არიან, ჩაძირულებად ვთვლი მათ, ამიტომ გავაპროტესტეთ“.

## რუსეთის საგარეო უწყება — უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ქვეყნის ფედერალიზაციის აუცილებლობას ადასტურებს



**„უკრაინის აღმოსავლეთით მიმდინარე მოვლენები ადასტურებს ქვეყანაში საკონსტიტუციო რეფორმების გატარებისა და ქვეყნის ფედერალიზაციის აუცილებლობას“, — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.** განცხადების თანახმად, რუსეთი ყურადღებით ადევნებს თვალს უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს, კერძოდ, დონეცკის, ლუგანსკისა და ხარკოვის ოლქებში. „რუსეთის მხარე არაერთხელ აღნიშნავდა, რომ რეალური საკონსტიტუციო რეფორმის გარეშე უკრაინაში, რომლის ფარგლებშიც, ფედერალიზაციის გზით უზრუნველყოფილი იქნებოდა ქვეყნის ყველა რეგიონის ინტერესები, გამყარდებოდა რუსული ენის განსაკუთრებული როლი. ამის გარეშე ძნელია, გათვალო უკრაინის სახელმწიფოს გრძელვადიანი სტაბილურობა“, — ნათქვამია განცხადებაში.




## ვინ ხოცავს ბანკირებს?

### მსოფლიოს სხვადასხვა ბანკის ტოპმენეჯერთა მკვლელობების სერიას პოლიცია ახსნას ვერ უძებნის

**ნიდერლანდების ბანკ ABN Amro Grup-ის (ეს ბანკი მსოფლიოს უდიდეს ბანკებს შორის მე-15 ადგილზეა) ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი იან პეტერ შმიტმანი ცოლსა და ქალიშვილთან ერთად მოკლული იპოვეს საკუთარ სახლში. 2014 წლის დასაწყისიდან ეს ბანკირების მე-12 იდუმალებით მოცული მკვლელობაა.**

მსოფლიოს სხვადასხვა ბანკის ტოპმენეჯერთა მკვლელობების სერიას პოლიცია ახსნას ერ უძებნის.

**აი იმ ბანკირების ჩამონათვალი, რომლებიც სიცოცხლეს გამოასალმეს:**

**№1. უილიამ ბროკსმიტი**

მიმდინარე წლის 21 იანვარს Deutshce Bank-ის ყოფილი ტოპმენეჯერი, 56 წლის ბროკსმიტი ლონდონის ცენტრში მკვდარი იპოვეს.

**№2. კარლ სლიმი**

27 იანვარს Tata Motors-ის 51 წლის მმართველი ბანგკოკის (ტაილანდი) ერთ-ერთ სასტუმროში მკვდარი იპოვეს.

**№3. გაბრიელ მაგი**

27 იანვარს JP Morgan-ის 39 წლის თანამშრომელი ლონდონში მდებარე JP Morgan-ის შტაბბინის სახურავიდან გადმოვარდნის შემდეგ დაიღუპა.

**№4. მაიკლ დიუკერი**

3 თებერვალს აშშ-ის საინვესტიციო ბანკის მთავარი ეკონომისტი ვაშინგტონის ერთ-ერთ ხიდთან მკვდარი იპოვეს.

**№5. რიჩარდ ტელი**

10 თებერვალს Title Services-ის 57 წლის დამფუძნებელი მკვდარი იპოვეს. სამართალდამცველთა ვერსიით, მან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოისწრაფა სიცოცხლე.

**№6. ტიმ დიკინსონი**

ბრიტანული SWISS Re AG-ის დირექტორიც თებერვალში დაიღუპა. თუმცა, მისი გარდაცვალების მიზეზი აქამდე ცნობილი არ არის.

**№7. რაიან ჰენრი კრეინი**

JP Morgan-ის 37 წლის ტოპმენეჯერი 14 თებერვალს გარდაიცვალა, მიზეზად თვითმკვლელობა დასახელდა.

**№8. ლი ჯუნჯი**

37 წლის ბანკირი ჰონგკონგში, JP Morgan-ის სახურავიდან გადმოხტა.

**№9. ჯეიმს სტოუარტი**

19 თებერვალს National Bank of Commerce-ს ყოფილი გენერალური დირექტორი სკოტდეილში (არიზონას შტატი) მკვდარი იპოვეს.

**№10. ედმუნდ რეილი**

12 მარტს Midtown's Vertical Group-ის 47 წლის ტრეიდერი ნიუ იორკში მატარებელს ჩაუვარდა.

**№11. კენეტ ბელანდო**

18 მარტს Leyy Capital-ის 28 წლის ტრეიდერი, რომელიც ადრე JP Morgan-ში ანალიტიკოსად მუშაობდა, თავისი ბინის ფანჯრიდან გადმოხტა.

**№12. იან პეტერ შმიტმანი**

ამსტერდამთან ახლოს ABN Amro Group-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი ცოლთან და ქალიშვილთან ერთად მოკლული იპოვეს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „კანონით აკრძალულია, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაცების მოსმენა. ეს კანონის სერიოზული დარღვევაა“


ბესიკ ალადაშვილი

### უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი, ექსპერტი ბესიკ ალადაშვილი:

# ნუ ილაპარაკებთ პირად საქმეებზე ტელეფონით — ეს ყველაზე კარგი თავდაცვაა!

**საზოგადოების დიდი ნაწილის იმედი, რომ ხელისუფლებაში ახალი ძალის მოსვლის შემდეგ ტელეფონზე რებუსებით აღარ მოუწევდა საუბარი, ფუჭი აღმოჩნდა. მეტიც, კონკრეტული ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსების ოფისებსა თუ სახლებში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟების ერთი საქმეც არ არის გამოძიებული, მაგალითად, სულ ახლახან დიდი ხმაური გამოიწვია, ზუგდიდში სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში ნაპოვნმა მოსასმენმა აპარატურამ, თუმცა ამ ორგანიზაციის მწვავე განცხადებებს ხელისუფლების მიმართ, რეაგირება არ მოჰყოლია. შს მინისტრი ალექსანდე ჭიკაიძე გვარწმუნებს, რომ არ გვისმენენ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა კი „დაგვამშვიდა“, — ფარული მოსმენების შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევები თბილისში — 3-ჯერ, რეგიონებში კი 9-ჯერ შემცირდაო. რეალურად რასთან გვაქვს საქმე — ვინ და რატომ ახორციელებს უკანონო მოსმენებს და სად გადის ზღვარი კანონდარღვევასა და კანონიერ მოსმენებს შორის? —ამ საკითხზე ორგანიზაცია „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრვი კონტროლი — საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი, ექსპერტი ბესიკ ალადაშვილი და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენელი ვახუშტი მენაბდე გვესაუბრებიან:**

— ალბათ, ყველას ახსოვს, „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნით, ყველა აფთიაქსა თუ ბენზინგასამართ სადგურზე რომ დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები, რომლებიც ერთიან სისტემაში ირთვებოდა და ამით მთელი ქალაქი კონტროლდებოდა. ეს **ყველაფერი საყოველთაო, ტოტალური კონტროლისკენ იყო მიმართული.** დღეს კი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსმენა-მიყურადების საკითხის ასე მძაფრად წამოწევა პროპაგანდისტულ საქმიანობად მეჩვენება. რაც მთავარია, ამ ყველაფერზე არასიღრმისეულად და არაპროფესიონალურად საუბრობენ. **ან ის ძველბიჭური რეკლამა რა არის, ყველა რადიო და ტელევიზია რომ ატრიალებს — „ვაიმე, გიო, როგორ ხარ, კიდევ გვისმენენ, ძმაო“ და მსგავსი ტექსტები?..** მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ყველაფერს აქტივობის წარმოსაჩენად აკეთებენ და არა პრობლემის სიღრმისეულად შესასწავლად. დავიწყოთ იქიდან, რომ ოპერატიულ-სამძებრო სამსახური, სპეცსამსახურები ფარული საქმიანობის გარეშე არ არსებობს. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სპეცსამსახურები კრიმინალთან საბრძოლველად ოპერატიულ ტექნიკას იყენებს. სხვა საკითხია, კანონიერად თუ ხდება ამ ტექნიკის გამოყენება. ამიტომ ჩვენ ტექნიკას კი არა, პრობლემას უნდა ვებრძოლოთ. მთავარი არის ის, რომ ამ ყველაფრის უკან ადამიანები დგანან და ამიტომ ამ საკითხებზე სიღრმისეული დასკვნაა გასაკეთებელი...

**— დასკვნა რაში მდგომარეობს?**

— **სისტემაა შესაცვლელი. უკანონო მოსმენა მხოლოდ ამ სისტემის შედეგია.** ამიტომაც ვამბობ, რომ სისტემური ცვლილებებია საჭირო. ეს ცვლილებები კი სამი ძირითადი მიმართულებით უნდა განხორციელდეს. **პირველი** — ეს არის საკანონმდებლო ცვლილება. ამ საკითხზე თითქოს მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ არაპროფესიონალურ დონეზე. ასევე **საჭიროა სტრუქტურული ცვლილებები.** მაგალითად, შს სამინისტროში არ შეიძლება იყოს ცხრა ოპერატიული სამსახური, რომელთა ყველა თანამშრომელს ექნება შეხება და დაშვება ფარულ მოსმენებზე. **ერთად არის შსს თავისი კრიმინალური სამსახურებით და იქვეა გაერთიანებული ეროვნული უსაფრთხოების მიმართულება — კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, სახელმწიფო უშიშროების სააგენტო, უსაფრთხოების სააგენტო და ა.შ. ეს ყველაფერი განსაცალკევებელია. დღეს კი შსს-ში 9 ოპერატიული სამსახური რომ არის გაერთიანებული, კიდევ არსებობს სამხედრო პოლიცია, სამხედრო დაზვერვა, ასევე არსებობს სამხედრო დაცვის სპეცსამსახურის ოპერატიული დანაყოფები, საგარეო დაზვერვისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. ანუ ამ ყველა სამსახურს აქვს ტექნიკა და კანონიც აძლევს საშუალებას, განახორციელოს მოსმენები, თვალთვალი და ა.შ.** კონტროლის მექანიზმი ძალიან დაბალ დონეზეა და, რაც მთავარია, **სასამართლო სისტემა ამ საკითხს ხელოვნურად ხვევს ბურუსში.** კოტე კუბლაშვილის განცხადება, სადაც თქვა, ფარულ მოსმენებზე შუამდგომლობები შემცირებულიაო, საზოგადოებამ წყალობად კი არ უნდა მივიღოთ, არამედ ეს ყველაფერი ოფიციალურად უნდა ქვეყნდებოდეს, როგორც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაშია მიღებული. საუბარი არ არის საიდუმლოების გამჟღავნებაზე, რადგან არც პიროვნება სახელდება და არც ოპერაცია. მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებენ. სხვათა შორის, ამერიკელები იმასაც აქვეყნებენ, რა ჯდება საშუალოდ ერთი ფარული მოსმენის წარმოება. რუსეთიც იმავეს აკეთებს. **რუსეთი ინტერნეტში დებს უამრავ ინფორმაციას. მაგალითად, რუსეთის სპეცსამსახურების სპეციალურ ვებგვერდზე წერია, რომ 2010 წელთან შედარებით, 2012 წელს გაორმაგდა მიმართვები და შუამდგომლობა ოპერატიულ სამძებრო სამსახურებთან. ამ მონაცემებს უამრავი ქვეყანა აქვეყნებს და რა გახდა, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლებამაც გაასაჯაროოს ინფორმაცია?!**

**— ბატონო ბესიკ, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ არ გამოიძია ზუგდიდში, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში ნაპოვნი მოსასმენი აპარატურის საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ზურაბ კვარცხელიამ სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, მწვავე განცხადებები გააკეთა და ხელისუფლება უკანონო მოსმენებში დაადანაშაულა.**

— თუ რატომ არ გამოიძია ხელისუფლებამ ეს საქმე, ჩემთვისაც გაუგებარია. ამ საკითხს სხვადასხვა ექსპერტი თუ პიროვნება სხვადასხვანაირად ხსნის. მაგალითად, ერთნი ამბობენ, რომ სპეცსამსახურებსა და პროკურატურაში ისევ ის ხალხი მუშაობს, რომლებიც გარეული იყვნენ უკანონო მოსმენებში და საკუთარ თავს ხომ არ გაასამართლებენო. უფრო მეტსაც გეტყვით, რაც რატომღაც ყველამ დაივიწყა. **გაიხსენეთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ ოფისების მოსმენა და იქაური ჩანაწერების გამომზეურება — ღარიბაშვილისა და სხვა პოლიტიკოსების ბილწსიტყვაობას ვგულისხმობ. ამ მოსმენების საქმე გამოძიებული არ არის.** ანდა, **რატომ არ არის გამოძიებული 2012 წლის არჩევნებამდე, 26 სექტემბერს, შს სამინისტროს მიერ 16 წლის ბიჭის დაკავების საქმე, რომელმაც შექმნა პროგრამა და „ქართული ოცნების“ კომპიუტერი გატეხა, შემდეგ რამდენიმე პოლიტიკოსის საუბრის ჩანაწერი გადაიტანა დისკზე და ეს დისკი შს მინსტრის ერთ-ერთ მოადგილეს — შოთა ხიზანიშვილს გადასცა, რომელმაც ავლაბრის რეზიდენციაში შეიტანა. ეს ხომ დამტკიცებული ფაქტია? ნაცვლად იმისა, რომ მომხდარი გამოეძიებინათ, საერთოდ აღარ უხსენებიათ.** ამაზე თავის დროზე დავწერე კიდეც, ავლაბარგეიტი იწყება-მეთქი. **ყველა კვალი ხომ იმჟამინდელ ხელისუფლებასთან მიდიოდა, რატომ არ გამოიძიეს?** რიგით ოპერატიულ თანამშრომელს არ აინტერესებს რომელიმე პოლიტიკოსის ან სასულიერო პირის საუბრების მოსმენა, თუ კონკრეტული პირისგან დავალებას არ მიიღებს. ეს ხელისუფება კი ამ ვერტიკალს ვერ აჰყვა და ვერ გავიდნენ მოსმენის დამკვეთებზე. რა თქმა უნდა, **უკანონო დავალების შემსრულებელი თანამრომელი იმსახურებს თავის წილ სასჯელს, მაგრამ რატომღაც ვერ დადგინდა ვინ უკვეთდა მათ ფარული ჩანაწერების წარმოებას.** საზოგადოება არ იქნება დაცული, თუ დამნაშავე არ დაისჯება. **არ არის გამორიცხული, რომ ახალმა ხელისუფლებამაც ოპერატიულ თანამშრომელს სიტყვიერი დავალება მისცეს მოსმენისა.** რაზეა ლაპარაკი, როცა **ამჟამინდელ ხელისუფლებას „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის 9 წლის განმავლობაში განხორციელებული მოსმენების დოკუმენტაციაც კი ვერ უპოვია.** ვერც ის დოკუმენტაცია ამოიღეს, რის საფუძველზეც უსმენდნენ ნინო ბურჯანაძესა და სხვებს. **„ნაცმოძრაობის“ წევრებს ძალიან ცუდი მეხსიერება აქვთ. თვითონ რომ არღვევდნენ კანონს და პრობლემებს გვიქმნიდნენ, ეს აღარ ახსოვთ და დღეს, როდესაც მათ შეეხო ესა თუ ის პრობლემა, ბევრს ლაპარაკობენ.**

არის მეორე მომენტი, რომელსაც ყურადღებას არ აქცევენ. **კანონით აკრძალულია, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაცების მოსმენა. ეს კანონის სერიოზული დარღვევაა, რომელსაც ჩვენთან ყურადღება არ ექცევა და პრობლემის მოგვარება სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ.** ეს კანონიც დასახვეწია, მასში არის უამრავი ლაფსუსი. მაგალითად, წერია, რომ პოლიტიკური ორგანზაციის მოსმენა არ შეიძლება, მაგრამ, თუ ეს ორგანიზაცია პოლიტიკურ გადატრიალებას აპირებს, ამ შემთხვევაში შეიძლებაო. თუ არ მოუსმინე, როგორ უნდა გაიგო, რას აპირებენ? ამ სფეროში გაცილებით მეტი სიდინჯე და პროფესიონალიზმია საჭირო. **სწორედ ამ ქაოსის გამო, დღესაც არ ვართ დაცული, რომ ზედა ეშელონებიდან არ მოხდეს ამა თუ იმ ორგანიზაციაში აგენტურის შეგზავნისა და ფარული მიყურადების დავალების მიცემა.**

**— შესაძლებელია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ აწარმოებდეს ფარულ მოსმენებს?**

— სავსებით შესაძლებელია. დღეს რატომღაც აქცენტი მხოლოდ ფიჭური კავშირის პროვაიდერებში არსებულ შავ ყუთებზე კეთდება. ამის გარდა, **მობილური ტექნიკა „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდშიც შემოიტანეს და შემორჩენილი არიან ძველი სპეციალისტები, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ მოსმენების წარმოებაში ემსახურებოდნენ, მათთვის ახალ ხელისუფლებას პასუხი არ მოუთხოვია და არ არის გამორიცხული, ეს ადამიანები საქმიანობას დღესაც განაგრძობდნენ. „ნაციონალებს“ დღესაც ჰყავთ პროფსიონალი კადრები ამ დარგში, აქვთ ტექნიკა, ფული და ვიცი, რომ სპეცსამსახურების მინიჯგუფიც ჰყავთ — საკუთარი პარტიული დაზვერვა, კონტრდაზვერვა და რატომ არის გასაკვირი, რომ ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებდნენ?!**

**— თუ არსებობს საშუალება, რომ ჩვენი სატელეფონო საუბრის მოსმენა თავიდან ავიცილოთ?**

— ეს, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ამაში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის მაგალითმაც დამარწმუნა, როდესაც ამერიკული სპეცსამსახურების მიერ მისი სატელეფონო საუბრების მოსმენის ამბავი გახმაურდა. ამიტომ **მკითხველს ვურჩევ, ნუ ილაპარაკებს პირად საქმეებზე ტელეფონით — ეს ყველაზე კარგი თავდაცვაა!**

**— როგორ უნდა მივხვდეთ, რომ გვისმენენ?**

— რეალურად ვერ მივხვდებით, გვისმენენ თუ არა. ამას მხოლოდ მაშინ მივხვდებით, როდესაც წინ დაგვხვდება ჩვენივე ნასაუბრები.



**ვახუშტი მენაბდე, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენელი:**

— **დღეს საქართველოში არსებობს ყველა საშუალება იმისა, რომ გვისმენდნენ. არ ვენდობი ხელისუფლებას და არც ის მგონია, რომ მოსმენის შანსს არ გამოიყენებს;** არა იმიტომ, რომ ცუდი ბიჭები და გოგოები არიან, არა, ამ შანსს ნებისმიერ ხელისუფლება გამოიყენებს. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ არა კეთილი ადამიანების, არამედ კანონის იმედად, რომელიც ამ უკანონო მოსმენებისგან დაგვიცავს. **შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი ჭიკაიძე რომ ამბობს, არ გისმენთო, მისი სიტყვები ჩემთვის არ არის გარანტია.** ასეთივე გარანტიას იძლეოდნენ მისი წინამორბედებიც. გარანტიებს უნდა გვაძლევდეს სპეციალური ინსტიტუტები და არა რომელიმე თანამდებობის პირი. ბატონი ჭიკაიძისგან, რომელიც რამდენიმე თვის წინათ მასობრივი მოსმენების პროცესში იყო ჩაბმული, ვერანაირ გარანტიას ვერ მივიღებ. დიახ, მე ვნახე ჭიკაიძის „სივი“, და ის სწორედ იმ პერიოდში მუშაობდა შსს-ში მაღალ თანამდებობაზე, როდესაც მოსმენებს ტოტალური ხასიათი ჰქონდა.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**საუბრები იმაზე, რომ ამ, არსებითად შიზოფრენიული ნაბიჯის გადადგმას ევროკავშირის პარტნიორობა და „ასოცირების პარაფირება“ გვავალდებულებს, კრიტიკას ვერ უძლებს და ბუნებრივად წარმოშობს კითხვას: „რატომ არ აკეთებენ იმავეს სხვა პარტნიორი ქვეყნები, მაგალითად, უკრაინა და მოლდოვა?“**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი ხელისუფლება ძველს არაადეკვატურობაში ეჯიბრება და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში უფრო მეტ ჯარისკაცს აგზავნის, ვიდრე ევროკავშირის სამშვიდობო მისიის მონაწილე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო. „ლე მონდის“ ცნობით, საუბარია 150 ქართველ სამხედროზე; მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა ჯერ კიდევ თებერვალში მისცა პრეზიდენტს ცენტრალურ აფრიკაში ქართული კონტინგენტის გაგზავნის უფლება, ბევრს ეგონა, რომ ხელისუფლება უფრო ჭკვიანურად მოიქცეოდა და მისიაში გაცილებით მცირე, ჩვენი ქვეყნის მასშტაბის და შესაძლებლობების პროპორციულ წვლილს შეიტანდა. მაგრამ ახალი მთავრობა მოიქცა ზუსტად ისე, როგორც სააკაშვილის რეჟიმი ავღანეთთან მიმართებაში და, შესაძლოა, უარესადაც.**

# პალატა №41: ქართველ ჯარისკაცებს აფრიკაში გზავნიან

2011 წლის 1 ნოემბერს თავის პირველ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა თქვა: **„ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი შეიარაღებული ძალებით ავღანისტანსა და ერაყში პატარა პარტნიორობა ასეთი დიდი გაერთიანების. ძალიან საინტერესო პოზიცია გვიჭირავს ჩვენ ამ კუთხით და მომავალშიც გავაგრძელებთ. კონკრეტულად რამდენი უნდა დავამატოთ ან გამოვაკლოთ, ეს იქნება ანალიზის შემდეგ“.** მაშინ „ნაციონალების“ პროპაგანდამ კონტექსტიდან ამოგლიჯა სიტყვა „გამოვაკლოთ“ და დაიწყო კივილი იმაზე, რომ ივანიშვილი ავღანეთიდან ჯარის გამოყვანას და, შესაბამისად, აშშ-თან ურთიერთობის გაფუჭებას აპირებს. ამ ფონზე საზოგადოებაში, რომელიც უკმაყოფილო იყო სააკაშვილის მანიაკალური მონდომებით ავღანეთში ქართული კონტინგენტი მაქსიმალურად გაეზარდა, გაჩნდა მოლოდინი, რომ ივანიშვილი ამ პოლიტიკას შეცვლიდა. შემდეგ ცხადი გახდა, რომ ავღანეთში ბოლომდე დავრჩებით, თუმცა საზოგადოების ნაწილს მაინც სჯეროდა, რომ მომავალში ახალი ხელისუფლება გაცილებით გააზრებულად იმოქმედებდა. **დღეს ეს იმედები თუ ოცნებები დაიმსხვრა, ხოლო ზემოთ ნახსენებმა „ანალიზმა“ ხელისუფლება აფრიკის შუაგულში ქართველი ჯარისკაცების გაგზავნის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.**

საქართველო ევროკავშირის წევრი არ არის, მაგრამ ევროკავშირის მისიაში ყველაზე დიდ კონტინგენტს ჩართავს. **მხოლოდ ამ ფაქტის კონსტატაცია ქმნის საფუძველს იმისთვის, რომ ახალ ხელისუფლებას „პალატა №41“ ვუწოდოთ, ისევე, როგორც სააკაშვილის რეჟიმს (საარჩევნო ბიულეტენში მისი პარტიის ნომრის შესაბამისად) „პალატა №5“-ს ვეძახდით. საუბრები იმაზე, რომ ამ, არსებითად შიზოფრენიული ნაბიჯის გადადგმას ევროკავშირის პარტნიორობა და „ასოცირების პარაფირება“ გვავალდებულებს, კრიტიკას ვერ უძლებს და ბუნებრივად წარმოშობს კითხვას: „რატომ არ აკეთებენ იმავეს სხვა პარტნიორი ქვეყნები, მაგალითად, უკრაინა და მოლდოვა?“**

ამ აფრიკულ ავანტიურასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა განაცხადა: „საქართველო ევროპული უსაფრთხოების არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ კონტრიბუტორიც უნდა იყოს“, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დააკონკრეტა, სად, როდის და რა დოზით მოიხმარს საქართველო ხსენებულ ევროპულ უსაფრთხოებას. რუსული ტანკები თბილისიდან 40 კილომეტრში დგანან და ყველასთვის ცხადია, რომ მათი დაქოქვის შემთხვევაში გზას არც ერთი ფრანგი, ბრიტანელი თუ ბელგიელი ჯარისკაცი არ გადაუღობავს, მეტიც, ევროპაში კონფლიქტში ქმედითი ჩარევის საკითხს სერიოზულად არც არავინ განიხილავს.

წლების განმავლობაში პოლიტიკოსები გვიმტკიცებდნენ, რომ ქართველი სამხედროების ყოფნა ავღანეთში ნატო-ში ინტეგრაციას აახლოებს. ისინი იმეორებდნენ ამას ყოველთვის, როდესაც ავღანეთიდან მოდიოდა მორიგი ცნობა ჩვენი ჯარისკაცების დაღუპვის და დაინვალიდების შესახებ. საბოლოოდ, მთელი ეს ეპოპეა დაგვირგვინდა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ სულ ახლახან ნათქვამი ფრაზით: **„არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად ნატო-ში გაწევრიანების გზაზე არ დგანან. არ ყოფილა და არ არის ნატო-ს დაუყოვნებელი გაფართოების გეგმა“,** რამაც შოკში ჩააგდო საზოგადოების ნატო-ზე ორიენტირებული ნაწილი, რომელიც მორჩილად ეგუებოდა მძიმე დანაკარგებს ავღანეთში. ახლა კი პოლიტიკოსები, სავარაუდოდ, მოგვიყვებიან, თუ რასთან გვაახლოებს ექსპედიცია ცენტრალურ აფრიკაში.

არც ერთმა ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში არ იცოდა ჯარისკაცის სიცოცხლის ფასი. პოლიტიკოსები რთავდნენ სამხედროებს ხან ერთ, ხან მეორე ავანტიურაში და არმიას საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების ერთ-ერთ ინსტრუმენტად განიხილავდნენ. **ამ მხრივ არაფერი შეიცვლება, თუ ერი არ გააცნობიერებს, რომ შეიარაღებული ძალები ეკუთვნის მას და არა პოლიტიკურ ელიტას, ხოლო ჯარისკაცების სიცოცხლე ისეთივე ძვირფასია, როგორც თითოეული ჩვენგანის შვილების სიცოცხლე. ამასთანავე, უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვჭირდება — უცხო ქვეყნების ინტერესებისთვის მებრძოლი დამხმარე საექსპედიციო კორპუსი თუ ეროვნული ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ძლიერი არმია?**



„ფრანს-პრესთან“ საუბრისას საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ განხილულ მისიაში წვლილის შეტანა მხოლოდ ევროკავშირის დახმარებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ საქართველოსთვის მორალური ვალდებულებაც არის. ძნელი დასადგენია, თუ როდის ჩათვალა ირაკლი ალასანიამ თავი ილია ჭავჭავაძის მასშტაბის მოღვაწედ და თავს უფლება მისცა, ასე უაპელაციოდ ესაუბრა მთელი ქვეყნის მორალურ ვალდებულებებზე. ალბათ, ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ, რომ ამ მომენტისთვის ირაკლი ალასანია, სხვა ყველაფერთან ერთად, ვალდებულია, უზრუნველყოს ყაზარმების კეთილმოწყობა, ბოლო მოუღოს სამხედროების მოწამვლასთან დაკავშირებულ ინციდენტებს, ხელი შეუწყოს ჯარში თვითმკვლელობებისა და გახშირებული უბედური შემთხვევების შემცირებას და მმართველი რგოლის პროფესიონალი ოფიცრებით დაკომპლექტებას, რასაც ვერ (ან მხოლოდ ნაწილობრივ) ახერხებს. ხოლო იმას, რა მორალური ვალდებულებები აქვს საქართველოს, ერი როგორმე თვითონ, ალასანიას შთაგონებების გარეშე, გადაწყვეტს (მაქსიმუმ ერთი სათათბირო ხმა დაუთმოს, როგორც რიგით მოქალაქეს). დეგრადირებულმა პოლიტიკურმა ელიტამ მიიყვანა მოსახლეობის დიდი ნაწილი ისეთ მდგომარეობამდე, როდესაც ახალგაზრდები თანახმანი არიან აფრიკაში მშვიდობისმყოფელებად ან სულაც მეშახტეებად წავიდნენ, ოღონდაც ორი კაპიკი იშოვონ, ესენი კიდევ დგანან და აქეთ გვმოძღვრავენ. რა თქმა უნდა, აფრიკაში არაპროპორციულად დიდი კონტინგენტის გაგზავნაზე პასუხისმგებელია არა მხოლოდ ალასანია, არამედ მთელი მთავრობა, მაგრამ, ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკითხზე, უპირველესად, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები მუშაობდნენ, ანუ ირაკლი ალასანია და მაია ფანჯიკიძე (ალასანიას ცოლის და). ძნელი სათქმელია, თუ რა მორალური, გნებავთ, ამორალური ვალდებულებები აქვთ მათ ევროკავშირის წინაშე, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საქართველოს ვალდებულებები არ არის.

XVIII საუკუნეში მცირე გერმანული სათავადოები ბანალურად აქირავებდნენ საკუთარ ჯარისკაცებს უცხო სახელმწიფოებზე; ასე მაგალითად, ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ომის დროს ბრიტანელების მხარეზე 30 ათასი გერმანელი ჯარისკაცი იბრძოდა. ამგვარი ვაჭრობა საკუთარი ქვეშევრდომების სიცოცხლით ყოველთვის განიხილებოდა, როგორც უკიდურესად უზნეო და ამაზრზენი მოქმედება. **მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ XVIII საუკუნის გერმანელი თავადებისგან განსხვავებით, ქართველი პოლიტიკოსები არ იღებენ დიდძალ ფულს (რომელიც ძველად, თუნდაც ნაწილობრივ, ხმარდებოდა იმ პატარა ქვეყნების განვითარებას), არამედ კმაყოფილდებიან ევროპელების „კარგი ბიჭი ხარ, ირაკლი!“** ტიპის ფრაზებით და არაფრისმომცემი რეზოლუციებით „საქართველოს მნიშვნელოვან წვლილზე“. ევროპა ყოველთვის ზიზღით უყურებდა თავადებს, რომელნიც ე.წ. ჰესენელი ჯარისკაცებით ვაჭრობდნენ და ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორ შეხედავს ჩვენს ლიდერებს, რომელნიც ჯარს ლამის ყველა გამვლელს, პრაქტიკულად, უფასოდ სთავაზობენ.

პირველად, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკით ქართული აუდიტორია მაშინ დაინტერესდა, როდესაც (ძირითადად, ფრანგული მედიიდან) ცნობილი გახდა, რომ იქაური მანიაკი დიქტატორი ჟან ბედელ ბოკასა თავის ოპონენტებს და ხელქვეითებს ჭამდა. თუმცა იმ პუბლიკაციებში პრაქტიკულად არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, რომ საფრანგეთი კაციჭამია ბოკასას მხარს წლების განმავლობაში უჭერდა, რადგან ის საკმაოდ სარფიან კონტრაქტებს სთავაზობდა, ხოლო პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი მას „მეგობარს“ და „ოჯახის წევრსაც“ კი უწოდებდა. საინტერესოა, რომ ჩამოგდების შემდეგ (რომელშიც მონაწილეობა ფრანგმა მედესანტეებმაც მიიღეს) ბოკასა გარკვეული დროის განმავლობაში საფრანგეთში, პარიზის მახლობლად ცხოვრობდა. თუმცა ეს ძველი ისტორიაა, რაც იყო, იყო, ორმაგ სტანდარტებზე სხვა დროს ვისაუბროთ. **ახლა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სრული ქაოსია. ქრისტიანებისა და მუსლიმების შეტაკებების გამო მილიონამდე მოქალაქე იძულებული გახდა, საცხოვრებელი მიეტოვებინა, დაღუპულია ათასობით თუ არა, ათიათასობით ადამიანი (ზუსტი რაოდენობის დადგენა უბრალოდ ვერ ხერხდება).** გაერო-მ აღწერა ეს, როგორც „ეთნო-რელიგიური წმენდის ტალღა“ და ქვეყანა ჰუმანიტარული კატასტროფის ზონად გამოაცხადა. სამშვიდობოებს მოქმედება ძალიან რთულ პირობებში უწევთ, დაიღუპა რამდენიმე სამხედრო საფრანგეთიდან და ჩადის რესპუბლიკიდან. ევროკავშირის მისია მიზნად ისახავს დახმარების აღმოჩენას საფრანგეთისთვის, რომელიც, აფრიკული ქვეყნების კონტინგენტებთან თანამშრომლობით ყოფილ კოლონიაში წესრიგის აღდგენას ცდილობს, კერძოდ, უსაფრთხო გარემოს შექმნას ქვეყნის დედაქალაქ ბანგიში, მათ შორის, აეროპორტის მიდამოებში, სადაც თავმოყრილია უამრავი იძულებით გადაადგილებული პირი და ძალზე რეალურია მასობრივი შიმშილის, ეპიდემიებისა და ახალი მასშტაბური შეტაკებების დაწყების საფრთხე.

ცხადია, ამ უბედურების დასრულებას ხელი ყველამ უნდა შეუწყოს. ჩვენ შეგვეძლო გაგვეგზავნა ჰუმანიტარული ტვირთი, რამდენიმე სამხედრო ექიმი ან ინჟინერი, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი ოცეული, მაგრამ მთავრობამ გადაწყვიტა, იქ 150 ჯარისკაცი გადაესროლა, უფრო მეტი, ვიდრე ევროკავშირის მისიის მონაწილე ნებისმიერმა სხვა ქვეყანამ (საფრანგეთის გამოკლებით, რომლის ქვედანაყოფების ნაწილი სხვა მანდატის ფარგლებშიც მოქმედებს). **სად არის მისი უდიდებულესობა ელისაბედ II-ს ჯარი ან სადაა მრისხანე ბუნდესვერი? სად არიან შვედები, ჰოლანდიელები, ბელგიელები და ა. შ.?**

**13 იანვარს ბურუნდის სამშვიდობოების თვალწინ გავეშებულმა ბრბომ გამოათრია ავტობუსიდან ერთ-ერთი მგზავრი, უმოწყალოდ სცემა, ბენზინი გადაასხა და ცოცხლად დაწვა. შემდეგ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მსხვერპლის სხეულის ნაწილების ჭამა დაიწყო. ბრბო ამას აღტაცებით შეხვდა, ხოლო კანიბალმა მოგვიანებით (ბი-ბი-სისთან საუბარში) თქვა, რომ ეს იყო შურისძიება მისი ორსული მეუღლისა და შვილის მკვლელობისთვის.** ბურუნდიელმა სამხედროებმა აღკვეთეს კანიბალიზმის აქტი, მაგრამ დღემდე გაუგებარია, თუ რატომ იდგნენ ისინი უმოქმედოდ, როდესაც მათ თვალწინ ადამიანს კლავდნენ. ყოველივე ეს ძალიან მძიმე წასაკითხია, მაგრამ, ალბათ, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, თუ სად აგზავნის მთავრობა ამდენ ქართველ სამხედროს და რომ პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების შესაძლო დრამატულ შედეგებზე ეკისრება არა მხოლოდ მას, არამედ მთელ საზოგადოებას, რომლის დიდი ნაწილი ამ გაუაზრებელ აფრიკულ ექსპედიციას მორჩილი დუმილით ხვდება და ეს „კრავთა დუმილი“ საქართველოს შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიძინა ივანიშვილმა დაუშვა სერიოზული შეცდომა, როდესაც უცხოეთში საქართველოს ახალი ხელისუფლების პოზიციის წარმოდგენის და ლობისტებთან ურთიერთობის საქმეში ცნობილი რესპუბლიკელი ცოლ-ქმარი ჩართო.**




# კოჰაბიტაციის მეოთხე უკურნებელი სტადია

**„ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა. მათი თანაარსებობის ნორმების ნაწილი, რომელიც დასავლელი პარტნიორების მოწადინებით კოჰაბიტაციის პერიოდში დაინერგა, კვლავინდებურად ძალაშია, მაგრამ, ამავე დროს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბრძოლა ამ ორ ძალას შორის გამძაფრდა და მათ საბოლოო მიზანს მოწინააღმდეგის ანიჰილაცია წარმოადგენს. ალბათ, საინტერესო იქნება იმის დადგენა, რეალურია ეს ბრძოლა თუ მეტწილად წარმოსახვითი და რა საფრთხეებს უკავშირდება ის.**

## ძირითადი და სათადარიგო ინსტინქტები

ალბათ, ყველასთვის ცხადია, რომ კუთხეში მიმწყვდეული ადამიანი ან ცხოველი, კატა იქნება ის, ვირთხა თუ (ერთი შეხედვით) უწყინარი და უძლური ზაზუნა, უკიდურესად საშიში ხდება. ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რამ მიიყვანა „ნაცმოძრაობა“ დასკვნამდე, რომ დღეს სწორედ ამ მდგომარეობაში იმყოფება — გახშირებულმა დაკითხვებმა პროკურატურაში, გავლენის ინფრასტრუქტურის რღვევამ თუ ფინანსური შესაძლებლობების შემცირებამ (ან ყოველივე ამან ერთად), მაგრამ ბოლო დროს ის აშკარად კუთხეში მიმწყვდეულივით იქცევა — აღარ იცავს არანაირ წესებს და ყველა მიმართულებით ქაოტურად უტევს. **მართალია, ამ შეტევების უმეტესობა მოუმზადებელია და დასახულ მიზანს ვერ აღწევს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ასეთ სიტუაციაში საშიშია ზაზუნაც კი, არათუ ყოფილი სახელისუფლო პარტია შემცირებული, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი რესურსებით.**

„ნაციონალების“ წინააღმდეგ მუშაობს მათი აზროვნების შაბლონურობა და კრეატიულობის თვალშისაცემი სიმცირე. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ მათ კომენტარებს მედიასა და სოციალურ ქსელებში, ვნახავთ, რომ ბოლო დროს ისინი ღიად ან ქვეტექსტში საუბრობენ „ქართულ მაიდანზე“ (ანუ უკრაინული სცენარის გამეორებაზე), „გირგვლიანის საქმის გამეორებაზე“ (თათუხაშვილის ეპიზოდთან დაკავშირებით), „ვალერი გელაშვილის ინციდენტის გამეორებაზე“ (ნუგზარ წიკლაურის ცემის კონტექსტში). **ხოლო მას შემდეგ, რაც სამარშრუტოების მძღოლების აქციაზე, რომლის უკან, სავარაუდოდ, „ნაციონალები“ იდგნენ, ერთი მეორის მიყოლებით თავის დაწვა ორმა მძღოლმა სცადა, სააკაშვილის ზოგიერთმა მიმდევარმა მოჰამედ ბუაზიზიც კი გაიხსენა, ტუნისელი ვაჭარი, რომელმაც პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა, რაც მასობრივი საპროტესტო გამოსვლების, შემდგომ კი რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი საბაბი გახდა.** აქაც, როგორც ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, საუბარია თავისებური „რიმეიკის“ შექმნაზე, უკვე რეალიზებული სცენარის გამეორებაზე, შაბლონის გამოყენებაზე და არა ახალი, ორგინალური ტაქტიკური გადაწყვეტილების მოძებნაზე. გასაკვირი ამაში არაფერია, — **საკუთრივ „ვარდების რევოლუცია“ არსებითად წარმოადგენდა საქართველოში სერბული გამოცდილების გადმოტანას, ხოლო მის შემდეგ სააკაშვილმა, როგორც ჩანს, საკუთარი ფსიქოლოგიური კომპლექსებიდან გამომდინარე, პარტიაში ჩაკლა ყოველივე შემოქმედებითი და მოაზროვნე (თუ ასეთი რამ იქ საერთოდ იყო).**

ის, რომ „ნაციონალები“, 99%-იანი ალბათობით, ორიგინალურს ვერაფერს მოიფიქრებენ, ხელისუფლებისთვის ძალიან დიდი შეღავათია. მაგრამ, მეორე მხრივ, მუდმივმა ორიენტაციამ დრამატულ ინციდენტებზე, რომელნიც „ქართული ოცნების“ მაღალ რეიტინგს დააგდებენ და მასშტაბური პროტესტისთვის საბაბს შექმნიან, ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერებს შეიძლება კანონსაწინააღმდეგო პროვოკაციების დაგეგმვა-განხორციელებისკენ უბიძგოს (თუ უკვე არ უბიძგა და განსაკუთრებით საეჭვოდ ამ კონტექსტში კომენტატორები „წიკლაურის ინციდენტს“ მიიჩნევენ და არა მხოლოდ მას). **ცხადია, ეს გზა პარტიას პოლიტიკურ თვითმკვლელობამდე მიიყვანს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ქვეყანას სერიოზული დესტაბილიზაციის ფასად დაუჯდება, რადგან მოქმედი ხელისუფლება არასაკმარისად გონიერია იმისთვის, რომ ამ თამაშში სუფთა გამარჯვებას მიაღწიოს (მოგებით კი მოიგებს, მაგრამ რა ფასად?).**

ორიენტაცია მაქსიმალურ შედეგზე („ქართული მაიდანი“, „გირგვლიანის საქმე-2“ და ა. შ.) სასტარტო პირობებისა და რესურსების შემცირების გათვალისწინების გარეშე, კონტრპროდუქტიულია. **მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ნაციონალები“ ახლა ცივი გათვლით ან სტრატეგიული გეგმით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ, როგორც წესი, კუთხეში მიმწყვდეული ადამიანივით, მეტწილად ინსტინქტებსა და პანიკურ შიშზე დაყრდნობით მოქმედებენ, თანაც რეალობის შეუსაბამო შაბლონების გამოყენებას ცდილობენ, მაგრამ სახელისუფლო პარტია ოპონენტის ამ აშკარა სისუსტეს ვერ იყენებს.**



**ვინც გეგმავს და, შესაძლოა, ახორციელებს პროვოკაციებს, სცემს საკუთარ თანაპარტიელებს იმისთვის, რომ საინფორმაციო საბაბი შექმნას, ახდენს ზეწოლას გამოძიებისთვის საკვანძო მოწმეებზე და მათ ლიკვიდაციასაც კი არ გამორიცხავს, ამზადებს ბოევიკებს ან ყიდულობს შეიარაღებას მომავალი „მაიდანისთვის“, ასეთი ხალხის წინააღმდეგ ხელისუფლებამ სახელმწიფოს შესაძლებლობების მთელი სპექტრი უნდა აამოქმედოს**

## როდის დასრულდება „უძრაობის ხანა“?

ინტელექტუალური რესურსის საგრძნობი დეფიციტი „ქართულ ოცნებაშიც“ შეინიშნება. რაც ყველაზე გულსატკენია, მან, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო ცდუნებას მომავალი საარჩევნო კამპანია ისევ ბიპოლარული დაპირისპირების მოდელზე დააფუძნოს და საზოგადოების დიდი ნაწილისთვის აბსოლუტურად მიუღებელ „ნაციონალებთან“ დაპირისპირებაში „ნათელი მხარის“ (სინამდვილეში კი, „ნაკლები ბოროტების“) როლი შეასრულოს. სუფთა ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ეს მარტივი და „მუშა“ გადაწყვეტილებაა, რომელიც ათავისუფლებს ხელისუფლებას სრულფასოვანი პოზიტიური პროგრამის ფორმირების აუცილებლობისგან, მაგრამ ამავე დროს ეს გადაწყვეტილება უამბიციო და გრძელვადიან პერსპექტივაში წამგებიანია. მანიპულირება „ნაციონალების“ შესაძლო რევანშით უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. უკვე საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც ბიძინა ივანიშვილი აშინებდა ამომრჩევლებს: „თუ იქნა მეორე ტური, აგერ ბაქრაძე მოვა, მიშას პრემიერობაზე ჰქონდა დიდი აქცენტი, პრემიერად მიშას წამოაყენებს და ღმერთმა მოგახმაროთ, ძველი ტაშ-ფანდურა გექნებათ ისევ“ უკვე იგრძნობოდა ამომრჩევლთა არცთუ მცირე ნაწილის უკმაყოფილება ამგვარი მანიპულირებით და ადგილობრივი არჩევნებისთვის ის, სავარაუდოდ, გაიზრდება. **მართლაც, კიდევ რამდენჯერ უნდა დაუბრუნდეს „ქართული ოცნების“ ელექტორატი პრობლემას, რომლის გადაწყვეტას ხმა ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში მისცა, მას დღეს გაცილებით კონსტრუქციული და ამბიციური მიზნები იზიდავს.**

ამ კონტექსტში ხელისუფლებას ხელს აძლევს „ნაციონალების“ გააქტიურება და მათი მოქმედების რადიკალიზაცია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს, ამომრჩეველთა მობილიზება ისევ მოახლოებული საფრთხის თემის ექსპლუატირებით, ძველი ლოზუნგებით მოახდინოს. დავუშვათ, რომ ამას კიდევ ერთხელ წარმატებით მოახერხებს, შემდეგ არჩევნებზე რას იზამს? **ხომ არ აქვს ამ შემთხვევაში ადგილი პრობლემის გადაწყვეტის გადადებას, ხოლო რეალურად სააკაშვილის რეჟიმთან მებრძოლი ფრონტის სახით შექმნილი კოალიცია, უბრალოდ, ვერ ახერხებს ტრანსფორმაციას ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისად?**

დღეს ყოფილი მაღალჩინოსნების გახშირებული დაკითხვების ფონზე ამომრჩეველთა ნაწილმა (თუნდაც ნაწილობრივ) დაიჯერა, რომ ხელისუფლება არაფორმალური იმუნიტეტის მინიჭებას არავისთვის აპირებს. მაგრამ, ამავე დროს, ის ხედავს, რომ მთავრობა, ერთის მხრივ, ვერ ახერხებს, მიიტანოს დასავლელ პარტიორებამდე (ყოველ შემთხვევაში, მათ ნაწილამდე) საკუთარი პოზიცია ისე, რომ ის თითქმის ყოველდღე პოლიტიკური ოპონენტების დევნაში არ დაადანაშაულონ და ამასთანავე, არ აქვს საკმარისი ნებისყოფა იმისთვის, რომ მკვეთრად უპასუხოს სააკაშვილის უცხოელ მეგობრებს, რომელნიც უკვე ისე გათავხედდნენ, რომ ცდილობენ ქართველ სამართალდამცავებს ყოფილი მაღალჩინოსნების არათუ დაპატიმრება, არამედ დაკითხვაც კი აუკრძალონ. **ალბათ, საქართველოში არავის სიამოვნებს იმის ყურება, თუ როგორ უგულებელყოფენ ისინი კანონის უზენაესობის პრინციპს და, ფაქტობრივად, ყველას დასანახად აფურთხებენ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს.**

შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილმა დაუშვა სერიოზული შეცდომა, როდესაც უცხოეთში საქართველოს ახალი ხელისუფლების პოზიციის წარმოდგენის და ლობისტებთან ურთიერთობის საქმეში ცნობილი რესპუბლიკელი ცოლ-ქმარი ჩართო, რადგან ამ პარტიის წარმომადგენლებისთვის „ნაცმოძრაობის“ შენარჩუნება სასიცოცხლოდ აუცილებელი ჩანს (ვის ან რისთვის დასჭირდება ისინი, თუ ბიპოლარული მოდელი დაიმსხვრევა და მმართველი კოალიცია შეწყვეტს არსებობას, როგორც სააკაშვილის რეჟიმის თუ მისი ნარჩენების საწინააღმდეგო ფრონტი). **ამასთანავე, ისინი უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოელების პოზიციას, ვიდრე სინამდვილეში აქვს და, დიდი ალბათობით, ყოველთვის მოახდენენ შესაძლო გართულებების გაბუქებას, როგორც ამას მათი თანაპარტიელი ლევან ბერძენიშვილი აკეთებს, რომელიც თავის ინტერვიუებში უკვე ღიად უარყოფს კანონის უზენაესობის პრინციპს და სააკაშვილის დაპატიმრების შესაძლებლობას წარმოსახვითი პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ეწინააღმდეგება.**

ამ შეცდომის გამოსწორება უკვე შეუძლებელია. თუ ჩვენი მთავრობა საკმარისად გამბედავი იქნებოდა, ის ძალიან მკვეთრ პასუხს გასცემდა იმ უცხოელებს, რომელნიც საქართველოს კანონებს არაფრად აგდებენ და, შესაძლოა, გამოაქვეყნებდა მათი და სააკაშვილის რეჟიმის ფინანსური ურთიერთობების ამსახველ დოკუმენტებს, მაგრამ ეს არ კეთდება და ხელისუფლება უცხოელებთან ურთიერთობაში იქცევა, როგორც ბავშვი, რომელმაც რაღაც დააშავა და ახლა უნდა დაისაჯოს. რაც შეეხება პროკურატურას, ის ამ წუთს ჰგავს საფეხბურთო გუნდს, რომელიც ბურთს ფლობს, თითქოს ქმნის სახიფათო მომენტებს, მაგრამ ვერ აღწევს რეალურ გარღვევას და გოლს ვერ იტანს. მისი დღევანდელი გააქტიურების სერიოზულობას კი საზოგადოება, სავარაუდოდ, მხოლოდ მაშინ დაიჯერებს, როდესაც (ეს მთავრობასაც ეხება) თამამ და (კარგი გაგებით) უკანმოუხედავ ნაბიჯებს გადადგამს, კანონის უზენაესობიდან და ქვეყნის სუვერენიტეტის აბსოლუტური პრიორიტეტულობიდან გამომდინარე. **დღეს, როდესაც საზოგადოების უმრავლესობის სიმპათიები „ქართული ოცნების“ მხარესაა, მას ამის გაკეთების შესაძლებლობა ჯერ კიდევ აქვს და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცემა შესაძლებლობა, დავრწმუნდეთ, რომ ადგილი აქვს სამართლიანობის რეალურ აღდგენას და არა მოჩვენებით გააქტიურებას წინასაარჩევნო პერიოდის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კოჰაბიტაციის მეოთხე უკურნებელი სტადიის ფონზე.**

## ვამპირი უნდა მოკვდეს

რაოდენ ბანალურად უნდა გაიჟღეროს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. **ქვეყანაში მოქმედებს პოლიტიკური ძალა, რომელიც ორიენტირებულია დიქტატორული რეჟიმის რესტავრაციაზე, რომლის ლიდერებმა არაერთგზის დაამტკიცეს, რომ სკამების გულისთვის ხელს აბსოლუტურად ყველაფერს მოაწერენ და რომელთაც, უბრალოდ, არ ესმით, რა არის დემოკრატია და თამაშის შესაბამისი წესები.** ისინი შინ და გარეთ აკეთებენ ყველაფერს იმისთვის, რომ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ▶

„აგვისტოს ომის დროს სენაკის ბაზაზე 17 რეზერვისტი დაბომბეს, მაშინ სენაკის ბაზაზე 5 ერთეული სარაკეტო კომპლექსი „ბუკი" იყო, ეს ტექნიკა მერაბ ურიდიასა და ზურაბ ფორჩხუას განკარგულებაში იმყოფებოდა. რატომ არ გასცა ფორჩხუამ ბრძანება, რომ მზადყოფაში მოეყვანათ „ბუკები" და მათი საშუალებით ვერტმფრენებისთვის მხარი დაეჭირათ? — ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბრძოლო ტექნიკა, რომელსაც უკრაინაში ყიდულობდნენ, საქართველოში არ ჩამოდიოდა".

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პოზიციები შეარყიონ და ზოგიერთი კომენტატორის შეფასებით უკვე არა მხოლოდ გეგმავენ, არამედ ახორციელებენ კანონსაწინააღმდეგო პროვოკაციებს და, გამორიცხული არაა, ამის გამო ახლო მომავალში საქართველოში სისხლისღვრა მოხდეს.

პროცესების ამ მიმართულებით წარმართვის პრევენცია არა იმდენად პოლიტიკის, რამდენადაც ეროვნული უსაფრთხოების საკითხია. გასაგებია, რომ ასეთი დისკრედიტირებული, თვითგადარჩენის ინსტინქტის საფუძველზე ქაოტურად მოქმედი პოლიტიკური ოპონენტის შენარჩუნება მმართველი კოალიციისთვის ძალზე კომფორტულია პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ქვეყნის უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე, მუდმივი დესტაბილიზაციის კერა უნდა მოისპოს. **ცხადია, ეს არ გულისხმობს ისეთ ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებს, როგორიცაა პარტიის აკრძალვა ან ყველა მისი წევრის სამართლებრივი დევნა, მაგრამ ხელისუფლებამ, სავარაუდოდ, გაცილებით მეტი რესურსი უნდა ჩართოს შესაძლო პროვოკაციების (მათ შორის შეიარაღებული, რადგან, გამორიცხული არაა, აქამდეც მივიდნენ) პრევენციის საქმეში და, რაც მთავარია, დასაჯოს უკლებრივ ყველა დამნაშავე, მიუხედავად იმისა, რომელი პარტიის წევრია ის ან რა თანამდებობა ეკავა წარსულში.**

ძველ ლეგენდებსა თუ თანამედროვე ფილმებში ხშირად გვხვდება ასეთი სიუჟეტი: **ვამპირი შეიძლება მოკლა და დამარხო, მაგრამ, თუ გულში სარს არ ჩაასობ, ის გაცოცხლდება და უარეს უბედურებას ჩაიდენს. შესაძლოა, ახლა საქართველოში სწორედ ეს მომენტია — „ერთიანი ნაციონალური" ვამპირის არსებობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს.**

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დავით ბაქრაძეს და სხვა ლიდერებს, რომელნიც ამ ეტაპზე არ არიან ექვმიტანილნი მძიმე დანაშაულის ჩადენაში, უნდა წაერთვათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახელით არჩევნებში მონაწილეობის და, ზოგადად, ლეგალური პოლიტიკური საქმიანობის უფლება დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობის პირობებში. **მაგრამ, თუ ვინმე, ვინც გეგმავს და, შესაძლოა, ახორციელებს პროვოკაციებს, სცემს საკუთარ თანაპარტიელებს იმისთვის, რომ საინფორმაციო საბაბი შექმნას, ახდენს ზეწოლას გამოძიებისთვის საკვანძო მოწმეებზე და მათ ლიკვიდაციასაც კი არ გამორიცხავს, ამზადებს ბოევიკებს ან ყიდულობს შეიარაღებას მომავალი „მაიდანისთვის", ასეთი ხალხის წინააღმდეგ ხელისუფლებამ სახელმწიფოს შესაძლებლობების მთელი სპექტრი უნდა აამოქმედოს.** თუ ღარიბაშვილის მთავრობა ამას დაუყოვნებლივ არ გააკეთებს, დიდი ალბათობით, არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ ქვეყანასაც დაღუპავს.

**დიმიტრი მონიავა**

### კაპიტანი გოდერძი ორმოცაძე:

# იარაღით უკანონო ვაჭრობაში ექვმიტანილ ზურაბ ფორჩხუას კვლავ საჰაერო ძალების სარდლად ნიშნავენ!

**„საქართველო და მსოფლიოსთვის" ცნობილი გახდა, რომ იარაღით ვაჭრობაში ექვმიტანილი ყოფილი სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, შემდეგ უკვე ატაშე უკრაინაში ზურაბ ფორჩხიძე კვლავ საჰაერო ძალების სარდლად ინიშნება. ამ ინფორმაციის შემოწმება საჰაერო ძალების თადარიგის კაპიტან გოდერძი ორმოცაძესთან ვცადეთ. მან თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე ბევრი საინტერესო რამ გვითხრა.**



**— ბატონო გოდერძი, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ზურაბ ფორჩხუა, საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი, რომელიც კეზერაშვილთან ერთად თქვენ იარაღით ვაჭრობაში ამხილეთ, კვლავ თავის თანამდებობას უბრუნდება.**

**— დიახ, ეს ინფორმაცია ნამდვილია. ჩვენ, ყოფილ სამხედროებს, გვინდოდა, ამ საკითხზე ბრიფინგი გაგვემართა.**

თავდაცვის სამინისტროში არაფერი შეცვლილა, ისევ „ნაცების" დროინდელი დამნაშავეები მუშაობენ და წინაურდებიან კიდეც. **ზურაბ ფორჩხუას რაც შეეხება, ახლახან შევიტყვეთ, რომ მას უკრაინაში რომელიღაც სასწავლებელი დაუმთავრებია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფორჩხუას სამხედრო განათლება არ აქვს.**

კაცი, რომელსაც სამხედრო განათლება არ აქვს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გიორგი ბრწყინვალის ორდენით დაჯილდოვდა... გამარჯვებისთვის. იცოდით ეს ამბავი? ომში დამარცხებისთვის სად, რომელ ქვეყანაში აჯილდოებენ გამარჯვების ორდენით? ამას გარდა, შეიარაღება, რომელიც ვიცოდით, რომ საჰაერო თავდაცვას აუცილებლად უნდა ჰყოლოდა, ომის დროს აღმოჩნდა, რომ არ ჰყავდა, ზურაბ ფორჩხუასთვის ბრალის დამტკიცება ძალიან მარტივია, მის დასასჯელად მხოლოდ ნებაა საჭირო.

**ყველას კარგად გვახსოვს ყოფილი პრეზიდენტის ბოლო გამოხდომა, როდესაც ყვარელში „უკრსპეცექსპორტის" ხელმძღვანელი სერგეი ბონდარჩუკი დააჯილდოვა. ბონდარჩუკმა თავის სამადლობელ სიტყვაში განაცხადა, ქართულმა მხარემ რუსების „ტუ-200" ჩვენგან ნაყიდი „С-200"-ით ჩამოაგდოო. ეს უკვე, ფაქტობრივად, სამხილი იყო, რადგან, ბონდარჩუკის სიტყვების თანახმად, საქართველოს უკრაინისგან „С-200" ნამდვილად ნაყიდი ჰქონდა, მაგრამ ომში ეს ტექნიკა არ გამოუყენებიათ, რადგან სხვაგან — მესამე ქვეყანაში გაყიდეს.**

**აგვისტოს ომის დროს სენაკის ბაზაზე 17 რეზერვისტი დაბომბეს, მაშინ სენაკის ბაზაზე 5 ერთეული სარაკეტო კომპლექსი „ბუკი" იყო, ეს ტექნიკა მერაბ ურიდიასა და ზურაბ ფორჩხუას განკარგულებაში იყო. რატომ არ გასცა ფორჩხუამ ბრძანება, რომ მზადყოფნაში ჰქონოდათ „ბუკები" და მათი საშუალებით ვერტმფრენებისთვის მხარი დაეჭირათ?**

**ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბრძოლო ტექნიკა, რომელსაც უკრაინაში ყიდულობდნენ, საქართველოში არ ჩამოდიოდა. დავით კეზერაშვილისა და მიშა სააკაშვილის ბინძური საქმეების ერთ-ერთი ხელისშემწყობი გახლდათ ზურაბ ფორჩხუა, რომელსაც დღეს ამბიცია აქვს, საჰაერო ძალების სარდალი გახდეს და, დიდი ალბათობით, შესაძლებელია, ეს ამბიცია დაუკმაყოფილონ კიდეც.** თავდაცვის სამინისტროს ახალ ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ფორჩხუა არის ის ადამიანი, რომელმაც სააკაშვილს ხელი შეუწყო ფულის გათეთრებაში, დამალა, რომ ტექნიკა უვარგისი იყო და საბრძოლო იარაღი რუს სამხედროებს ჩააბარა, მერე ფორჩხუა თვალს მოაფარეს, დააჯილდოვეს და უკრაინაში ატაშედ გაუშვეს. უკრაინაში ატაშედ გაშვებული პირი მხოლოდ უკრაინაში არ მსახურობს, ის ბულგარეთთანაც თანამშრომლობს.

როდესაც იარაღის საქმის გამოძიება დავიწყეთ და ოფშორულ ზონებს მივადექით, აღმოჩნდა, რომ გადამზიდი ფირმები არსებობდა ბულგარეთშიც, სომხეთშიც, ერთ-ერთი ასეთი ფირმის ხელმძღვანელი კი ფორჩხუას ბიძაშვილი — მერაბ ფორჩხუა აღმოჩნდა. ამ საქმეში გარეულია ვანო მერაბიშვილის ბიძაშვილიც. ისინი დღესაც ამ ფირმების ხელმძღვანელებად რჩებიან.

> **«თავდაცვის სამინისტროში მიშას ზონდერები არიან, ის ზონდერები, ადამიანებს ქუჩაში რომ დასდევდნენ, ციხეებში რომ ამწყვდევდნენ და ა. შ. მათ შორის არიან მერაბ ურიდია და ახლა საჰაერო ძალების სარდლად დასანიშნად გამზადებული ზურაბ ფორჩხუაც. ზონდერთა ჯგუფს მიეკუთვნება კობა ღურწკაიაც, რომელიც ახლა საზღვაო ჯარების სარდლად დანიშნეს»**

**— ახლა სად არის ზურაბ ფორჩხუა?**

— საქართველოშია.

**— წელიწადზე მეტია, პროკურატურას იარაღის საქმის გარშემო ყველა მტკიცებულება ხელთ აქვს, მაგრამ აქამდე არავინ დასჯილა; უფრო მეტიც, თურმე დანაშაულში ექვმიტანილებს აწინაურებენ კიდეც...**

— მართალი ხართ. პროკურატურას ნამდვილად ყველა სამხილი აქვს, ვერ გეტყვით, რომ გაჩერებულები არიან, რადგან სულ გვარწმუნებენ, — ვიძიებთ, ვიკვლევთ და შედეგიც მალე იქნებაო. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, იქ ახლა ძირეული ცვლილებები იგეგმება და იმედი გვაქვს, რომ ადამიანებს, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი, სამინისტროში აღარ გააჩერებენ, რადგან ამას, შესაძლებელია, ცუდი ამბები მოჰყვეს. **თავდაცვის სამინისტროში მიშას ზონდერები არიან, ის ზონდერები, ადამიანებს ქუჩაში რომ დასდევდნენ, ციხეებში რომ ამწყვდევდნენ და ა.შ. მათ შორის არიან მერაბ ურიდია და ახლა საჰაერო ძალების სარდლად დასანიშნად გამზადებული ზურაბ ფორჩხუაც. ზონდერთა ჯგუფს მიეკუთვნება კობა ღურწკაიაც, რომელიც ახლა საზღვაო ჯარების სარდლად დანიშნეს.**

**— საზღვაო ჯარი რომ არ გვყავს?**

— კი, გვყავს. ეს **კობა ღურწკაია სააკაშვილის ერთ-ერთი მსხვერპლის, ადმირალ ზურაბ ირემაძის მოადგილე იყო. მან ადმირალის მკვლელობის ყველა დეტალი იცის... კობა ღურწკაიას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ზუგდიდში 500-კაციანი ზონდერჯგუფი ჰყავდა, ამის დამამტკიცებელი საბუთებიც არსებობს.**

**— თუ ეს ამბავი იცით, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, რომელიც ზუგდიდის მაჟორიტარი იყო, რატომ არ იცის, ყურიც არ მოუკრავს?**

— მე ალასანიას პირადად ვუთხარი, კაცი, რომელიც დააწინაურეთ, ესა და ეს არისთქო. ძალიან გაუკვირდა, — ასეთი კაცი ჩვენთან მუშაობსო? მერე გვითხრა, დაგიძახებთ და ვისაუბროთო, მაგრამ დღემდე არ შეგვხმიანებია.

**— კეზერაშვილი დაპატიმრებული იყო საფრანგეთში და გაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბრალი იარაღით ვაჭრობის საქმეში ხელისგულზე დევს...**

— ამ საკითხზე სასაუბროდ შევხვდით თავდაცვისა და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს. ის იარაღით ვაჭრობის საქმის ძიებაში აქტიურად არის ჩართული. რაც შეეხება კეზერაშვილის გამოშვებას, ხელს ლაშა ნაცვლიშვილს ახოცავენ — იმ პერიოდში, როდესაც საქმის მასალები პროკურატურაში შეგვქონდა, იქ ნაცვლიშვილი მუშაობდა და მასალებს მალავდა და მხოლოდ რიყისა და სპირტის საქმე გამოაჩინა, ამის გამო დღეს ნაცვლიშვილის წინააღმდეგაც აღძრულია საქმეო, — ასე გვეუბნებიან.

**— ეს ამბავი უკვე გამოაშკარავდა, მაგრამ კეზერაშვილის საქმე მაინც მიჩუმათებულია.**

— გვეუბნებიან, რომ ძიება მიმდინარეობს და სწორედ ამ დღეებში დაკითხვაზე დამიბარებენ, ვნახოთ, რა იქნება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

> **„ახლახან შევიტყვეთ, რომ ზურაბ ფორჩხუას უკრაინაში რომელიღაც სასწავლებელი დაუმთავრებია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფორჩხუას სამხედრო განათლება არ აქვს. კაცი, რომელსაც სამხედრო განათლება არ აქვს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გიორგი ბრწყინვალის ორდენით დაჯილდოვდა... გამარჯვებისთვის. იცოდით ეს ამბავი? ომში დამარცხებისთვის სად, რომელ ქვეყანაში აჯილდოებენ გამარჯვების ორდენით?"**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ შეიძლება რუსეთის „უხეშ ჩარევაზე“ ილაპარაკოს ექსპერტმა და იმ დასავლეთის იმედი ჰქონდეს, რომელიც მართლაც უცერემონიოდ ერევა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში, ოღონდ არა „უხეშად“, არამედ „დემოკრატიულად“, „სამშვიდობო მისიის“ ეგიდით!**

# მიზანმიმართული დეზინფორმაცია თუ მიამიტი ექსპერტის უხეში შეცდომა?



**ჩრდილოკავკასიური საშიშროებისგან და, რაც ყველაზე მთავარია, თურქეთის ექსპანსიისგან ამერიკა დაგვიცავს — არიქა, ამ უძველესი კულტურის, საკუთარი დამწერლობის მქონე მართლმადიდებელ ერს გათქვეფა-გაქრობა არ დაემუქროსო?!**

## სოსო ცისკარიშვილის მიერ «ინტერპრესნიუსთან» ნათქვამი მოსაზრებების თაობაზე

ეხმაურება რა დასავლეთის რეაქციას უკრაინაში, კერძოდ, ყირიმში განვითარებულ მოვლენებზე, ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარე, ბატონი სოსო შემდეგ შეფასებებს გვთავაზობს:

„პირველი შემთხვევაა (ხაზი ყველგან ჩემია – ი. ლ.), როცა ნატოს წევრი ქვეყნები, აშშ და ევროკავშირიც ერთიანნი არიან თავიანთ წარმოდგენებში. **იმდენად უხეში ჩარევა იყო უკრაინაში** (იგულისხმება რუსეთის მხრიდან – ი. ლ.) მიმდინარე პროცესებში, რომ სხვაგვარი მოლოდინი, ალბათ, არც არსებობდა. ასეთი **კოლექტიური და მკაცრი** სანქციების **გამოცდილება** ცივილიზებულ დასავლეთს არ აქვს“.

ერთობ გასაკვირია ასეთი მოსაზრებების მოსმენა ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარისგან, მაგრამ ის საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ მოკლე საუბარში, სამწუხაროდ, კიდევ ბევრ უცნაურობას ამბობს.

ჯერ ერთი, **გაუგებარია, რომელ „მკაცრ სანქციებს“ გულისხმობს ბატონი სოსო**. ისეთი სანქციები, რუსეთი ოდნავ მაინც რომ შეეწუხებინა, ჯერჯერობით არ არსებობს; და მეორეც — **როგორ არის ეს „პირველი შემთხვევა“ და როგორ არ აქვს „დასავლეთს კოლექტიური სანქციების გამოცდილება“?!** დასავლეთს თუ არ აქვს ასეთი გამოცდილება, აბა, ვის აქვს – რუსეთს თუ ჩინეთს, ან აქვს კი ვინმეს საერთოდ?! მაგალითისთვის მარტო **ირანი კმარა, რომელიც, მიუხედავად მართლა მკაცრი სანქციებისა, მაინც ვერ მოდრიკა დასავლეთმა, და ეს დასავლეთი რუსეთს დააჩოქებს ამ გზით?!**

რაც შეეხება რუსეთის „იმდენად უხეშ ჩარევას უკრაინაში“ – ეს არასწორი და ცოტა უხერხული შეფასებაც კია, რადგან რუსეთმა ერთი გასროლის გარეშე, ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე დაიბრუნა ბოლო ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ყირიმი, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვმა 60 წლის წინათ ვოლუნტარისტულად მიუერთა უკრაინას. ნუ დაგვავიწყდება, რომ **ყირიმის მოსახლეობამ, რომლის 58%-ს რუსები შეადგენენ, 25%-ს – უკრაინელები და 12%-ს – ყირიმელი თათრები, ძალიან მაღალი, 83%-იანი, აქტივობის ფონზე 96,8%-ით(!) მხარი დაუჭირა რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას**(!), ანუ, ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს არა მხოლოდ რუსებმა, არამედ უკრაინელებისა და თათრების უმრავლესობამაც, და ამას ჰქვია უკრაინაში უხეში ჩარევა?! მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ **ყირიმი არასოდეს(!) ყოფილა უკრაინა ან როგორ იქნებოდა, როდესაც თვითონ უკრაინა არ ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო არასოდეს.** უკრაინის ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში ხან პოლონეთის იმპერიაში შედიოდა, ხანაც – ლიტვისა და ავსტრო-უნგრეთის, ბოლო პერიოდში კი, 200 წელზე მეტი – რუსეთის შემადგენლობაში!

**საკუთარი მიწის მშვიდობიანი გზით დაბრუნებას თუ უხეში ჩარევა ჰქვია, მაშინ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება რეფერენდუმის გზით (ეს სრულიად შესაძლებელია ლტოლვილების დაბრუნების შემთხვევაში) უხეშ ჩარევად ჩაგვეთვლება?!** უხერხული შეფასება კი იმიტომ არის, რომ როგორ შეიძლება რუსეთის „უხეშ ჩარევაზე“ ილაპარაკოს ექსპერტმა და იმ დასავლეთის იმედი ჰქონდეს, რომელიც მართლაც უცერემონიოდ ერევა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში, ოღონდ არა „უხეშად“, არამედ „დემოკრატიულად“, „სამშვიდობო მისიის“ ეგიდით! იქნებ ამ გზით „გაბედნიერებული“ ქვეყნების და მათი გაძარცული მუზეუმების ჩამოთვლაა საჭირო?!

შემდეგი შეფასება:

„ბოლოს და ბოლოს გაიღვიძა **სახელმწიფოებრივმა თავმოყვარეობამ** არა მხოლოდ ამერიკის, არამედ **მსოფლიოს 40-მდე სახელმწიფოს მოსახლეობაში“. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია** ასეთი სახელმწიფოების **ხელისუფლებებისთვის მისაღები შესაბამისი გადაწყვეტილებები,** რისი მოწმენიც ვართ“.

რაღა დაგიმალოთ და ამ სიტყვებმა ღიმილი მომგვარა – როდის ყოფილა, ან რომელ სახელმწიფოში, რომ ხელისუფლება „მოსახლეობის სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის“ მიხედვით იღებდა „შესაბამის გადაწყვეტილებებს“ – სანქციების დაწესება იქნებოდა ეს, ფერადი რევოლუციების მოწყობა თუ პირდაპირი სამხედრო აგრესია? **მიამიტობას ვერ ვაკადრებ ბატონ სოსოს, მაგრამ მიზანმიმართულად რომ ცდილობს დასავლეთის მშვიდობის მტრედად წარმოჩენას, ფაქტია; დავიჯერო, კიევის „მაიდნის“ ირგვლივ მხოლოდ CNN-BBC-ით იღებდა ინფორმაციას?!**

შემდეგი:

**„მხოლოდ რეიგანმა** შეძლო ის, რაც არც ერთ სახელმწიფოს არ ხელეწიფებოდა. მან დაარქვა ყველაფერს საკუთარი სახელი და ბოროტების იმპერიად მონათლული **საბჭოთა კავშირი დასცა მუხლებზე“.** უბრალოდ, მას ვერ წარმოედგინა, რომ ამ **მონსტრის ნამსხვრევები იქნებოდნენ** საკუთარი რეაბილიტაციის შემძლე და **თვითაღდგენის უნარის მქონე“.**

სიმართლე გითხრათ, 1990-იან წლებში ზუსტად ასე ვფიქრობდი მეც და, ალბათ, მოსახლეობის 99%-საც რეიგანი მიაჩნდა საბჭოთა კავშირის დამშლელად. მას შემდეგ, ინტერნეტის წყალობით, ბევრი ინფორმაცია გახდა ხელმისაწვდომი და რუსეთში განვითარებული მოვლენების შედარებით ობიექტური ანალიზიც – შესაძლებელი. და **უკვე კარგა ხანია, გარკვეულია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მთავარი შემოქმედი და დავალებების შემსრულებელი გორბაჩოვი იყო** (ციხე შიგნიდან ტყდება)თუ შევადარებთ იმჟამინდელ რუსეთსა და დღევანდელ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, მაშინ, ბატონი სოსოს ლოგიკით, პროამერიკული გადატრიალება კიევში ახლანდელ რეიგანს ანუ ამერიკის პრეზიდენტ ობამას უნდა დაბრალდეს (იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკამ ხუთი მილიარდი დახარჯა „მაიდნის“ მომზადებაში, შეიარაღებული რაზმების გაწვრთნაში ბალტიისპირეთსა და პოლონეთში, ასეთი დასკვნა ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან). მაგრამ მაშინ რა ვუყოთ იმას, რომ ანალოგიური „ნომერი“ ამერიკას არც მოსკოვში გაუვიდა და არც მინსკში? იქ ხომ უფრო ადრე და თან რამდენჯერმე(!) იყო ამის მცდელობა? ძალისხმევა და მილიარდები არც რუსეთ-ბელარუსში დაუკლია დასავლეთს – მაიდნის მსგავსი ნიადაგი იქაც შეამზადა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ვერ მიაღწია, რადგანაც ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტია სახელმწიფოს ლიდერების სიმტკიცე, მათი გონივრული და დროული ქმედება. ამ მხრივ ივარგეს პუტინმა და ლუკაშენკომ, ვერ ივარგეს იანუკოვიჩმა და თავის დროზე – ნიკოლოზ მეორემ, ხოლო მიხეილებმა (გორბაჩოვმა და სააკაშვილმა) ერთმა — „პერესტროიკის“, მეორემ კი „დემოკრატიის“ შუქურების ერთობ შემოსავლიან წოდებებს გამოჰკრეს ხელი.

**ჩემს მოსაზრებას წინამძღოლის როლის თაობაზე თვითონ ბატონი სოსო ადასტურებს, როცა ამბობს, რომ, „მონსტრის ნამსხვრევებს თვითაღდგენის უნარი თუ ექნებოდათ“, ვინ წარმოიდგენდაო. ოღონდ „ოდნავ“ ეშლება – თვითაღდგენა კი არ მოახერხეს ნამსხვრევებმა (ასეთი რამ არ ხდება) ნამსხვრევები გაამთელა და რუსეთი ფეხზე დააყენა ერთი კაცის, პუტინის გონიერმა პოლიტიკამ. ამას ყველა აღიარებს მსოფლიოში!** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ელცინის მმართველობის პერიოდში, რუსეთი უფრო უარეს დღეში იყო ეკონომიკურად, ვიდრე უკრაინა, პუტინის მოსვლის შემდეგ კი მან ყველა მონაცემით გადაუსწრო უკრაინას. ლიდერის განმსაზღვრელი როლი უხსოვარი დროიდანაა ცნობილი და ისიც აქსიომაა, რომ **სახელმწიფოს ეკონომიკური აღმავლობა და სამხედრო გაძლიერება მხოლოდ მაშინ ხერხდება, თუ მას ჭკვიანი, სამშობლოს მოყვარული და უშიშარი წინამძღოლი უდგას სათავეში!**

დასასრულ, ბატონი სოსოს კიდევ ერთი მიგნება თუ ნატვრა:

„უკვე ცხადია, რომ მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებაში სრულიად გაცნობიერებულად თუ ქვეცნობიერად ჩნდება **რონალდ რეიგან-2-ის აუცილებლობის მოლოდინი“.**

ანუ, ბატონი სოსო ცისკარიშვილი ამჯერად რუსეთის დაშლის მოლოდინშია და სიხარულითაც მოელის მას! ჯერ ერთი, **რეიგან-2-ის მოლოდინი მცდარია, რადგან რამდენი რეიგანიც უნდა გამოჩნდეს პუტინის მმართველობის პერიოდში, ყველა ობამას „ბედს“ გაიზიარებს, და მეორეც, განა ამ ნატვრის ასრულება, ანუ რუსეთის დაშლა სასიკეთოდ წაადგება საქართველოს?** ჩვენთვის ეს არის მთავარი კითხვა და ყველა ექსპერტიც ამ თვალთახედვით უნდა უდგებოდეს ნებისმიერ საკითხს. ვთქვათ, რეიგან-2-ის და პუტინის შემცვლელის (გორბაჩოვისნაირის) წყალობით ისე დაიშალა რუსეთი, რომ ვერც ჩვენ გვავნო ვერაფერი და ვერც სხვას (ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაინც). მაინტერესებს, **ჩრდილოკავკასიური საშიშროებისგან და, რაც ყველაზე მთავარია, თურქეთის ექსპანსიისგან ამერიკა დაგვიცავს — არიქა, ამ უძველესი კულტურის, საკუთარი დამწერლობის მქონე მართლმადიდებელ ერს გათქვეფა-გაქრობა არ დაემუქროსო?!**

ნეტარ არიან მორწმუნენი! ამაზე ლაკონიურად ვერაფერს ვიტყვი!

იაკობ ლეჟავა



**რამდენი რეიგანიც უნდა გამოჩნდეს პუტინის მმართველობის პერიოდში, ყველა ობამას «ბედს» გაიზიარებს**



მსოფლიო

## კუ-კლუქს-კლანი თქვენთან მოვა!

ტეხასის, ლუიზიანის, პენსილვანიისა და ილინოისის შტატების მცხოვრებლებმა თავიანთ საფოსტო ყუთებში იპოვეს ფურცლები, რომლებზეც გამოსახული იყო კაპიუშონიანი ადამიანი და ლაკონური წარწერა: „თქვენ ჭირდებით კუ-კლუქს-კლანს“. გარდა ამისა, ფურცლებზე მითითებული იყო ადგილობრივი ორგანიზაციების ტელეფონის ნომრები და ვებგვერდების მისამართებიც.

ფურცლები გავრცელდა ე.წ. ლოიალური თეთრი რაინდების სახელით, რომელიც აშშ-ში კუ-კლუქს-კლანის ყველაზე დიდ და აქტიურ განშტოებად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ხელისუფლება კუ-კლუქს-კლანს წარსულის გადმონაშთად მიიჩნევს, ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს: 2000 წლიდან დღემდე კუ-კლუქს-კლანში გაწევრებული დაჯგუფებების რაოდენობა 56 პროცენტით გაიზარდა, რაც განპირობებულია ეკონომიკური პრობლემებითა და აფრიკიდან და სამხრეთ ამერიკიდან შემოსული მიგრანტების ტალღით. ამ პროცესმა გამოიწვია ე. წ. პატრიოტული ჯგუფების მატება, მათ შორის — შეიარაღებული რაზმებისა. თუკი 2000 წელს ასეთი ჯგუფების რაოდენობა მხოლოდ 150 იყო, 2012 წელს მათმა რიცხვმა 1300-ს გადააჭარბა.



გვაქვს მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების, მსოფლიო ბანკისა და მსოფლიოს სავალუტო ფონდის ვალი, გარდა ამისა, საქართველოს აქვს სახელმწიფოების ვალები, როგორც აშშ-ის, ასევე ევროპული ქვეყნებისაც.

**ინტერვიუ**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დემურ გიორხელიძე:

# საგარეო ვალი იზრდება, საქართველოს მდგომარეობა სავალალოა!



**„ვალი ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ანუ ახალი ხელისუფლების პერიოდშიც არ შემცირებულა და გამოდის, რომ ბოლო 10 წელია, ჩვენ სტაბილურად ვზრდით საგარეო ვალს, თუმცა ამ ვალის გამოყენების ეფექტიანობა ძალიან დაბალია. ჩვენ გვაქვს გრძელვადიანი სესხები და მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების ვალები, გვაქვს მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის ვალიც, გარდა ამისა, საქართველოს აქვს სახელმწიფოების ვალები, როგორც აშშ-ის, ასევე ევროპული ქვეყნებისაც“.**

## «ვარდების რევოლუციამდე» საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა 2 მილიარდ 125 მილიონს შეადგენდა, დღეს 13 მილიარდზე მეტია

**ქვეყანას, რომლის ეკონომიკაც გამართულია, საგარეო ვალის აღების არ ეშინია. მაგრამ ქვეყანაში, რომლის ეკონომიკაც სავალალო მდგომარეობაშია, სადაც უმუშევართა რიცხვი კატასტროფულად იზრდება, მთლიანმა საგარეო ვალმა კი 13.6 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა, გამოსავალის პოვნა მარტივი არ არის. დიახ, „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია“.... საქართველო, რომელსაც ბოლო ათი წლის განმავლობაში 13.6 მილიარდი დოლარი დაედო ვალი. თუ ვინ და რატომ გახვია ჩვენი ქვეყანა საშვილთაშვილო ვალებში, ამას დიდი მკითხაობა არ სჭირდება — მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თავს დავით აღმაშენებელს ადარებდა, ვალს ვალზე იღებდა, თუმცა ქვეყანას, მის რიგით მოქალაქეებს ეკონომიკურად და ფინანსურად არაფერი დასტყობიათ. შემდეგ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და დაგვპირდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველი წელი „ისე რა“ იქნება, 2014 წელი — გაცილებით უკეთესი, აი 2015 წელს კი... ახლა 2014 წელია და საქართველოს ეკონომიკას „გაცილებით უკეთესობისა“ არაფერი ეტყობა. ამას ეკონომიკის ექსპერტებიც აღნიშნავენ და დამაიმედებელ პასუხსაც ვერ გვაძლევენ, საქართველოს ეკონომიკა დადგება თუ არა ოდესმე ფეხზე.**

**გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ᲓᲔᲛᲣᲠ ᲒᲘᲝᲠᲮᲔᲚᲘᲫᲔ:**

— საგარეო ვალი სახელმწიფომ აიღო და მანვე უნდა გაისტუმროს. **ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ, ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲘᲐ.** მთლიანობაში სახელმწიფო ვალი მთლიანი შიგა პროდუქტის ას პროცენტს მიუახლოვდა, რაც არ არის კარგი მდგომარეობა, მით უმეტეს, როდესაც ძალიან სუსტი ქვეყნის ეკონომიკა ძალიან სუსტია და შეიძლება **უახლოეს წლებში ეს ვალი კიდევ უფრო გაიზარდოს**, რადგან ამ ვალის გასასტუმრებლად შიგა რესურსების მობილიზაცია, სამწუხაროდ, არ ჩანს. **ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲐᲮᲚᲐᲪ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲐ. ᲛᲪᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲐ.** რაკი ძალიან უჭირს ხალხს და ფული არ აქვს, ეს ორგანიზაციები ცდილობენ, ფანტასტიკურად მაღალ პროცენტებში გაასესხონ თანხები. მაღალ პროცენტში ფულის გასესხების შესახებ განცხადებები ინტერნეტსივრცეშიც ქვეყნდება, რაც ძალიან საშიში სიმპტომია. **ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲚᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝᲐ!**

**— სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში რა რაოდენობის საგარეო ვალია აღებული და რაში დაიხარჯა?**

— **ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘᲐ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲠᲐᲓᲐ, „ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲛᲓᲔ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ 2 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ 125 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ.** შემდეგ ამ ვალმა სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა, რადგან ინფრასტრუქტურული პროექტები სწორედ ნასესხები ფულით კეთდებოდა და, საბოლოო ჯამში, 13 მილიარდს გადააჭარბა. **ᲕᲐᲚᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓ-ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲐᲜᲣ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ 10 ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲖᲠᲓᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲚᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲔᲑᲘ, ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲕᲐᲚᲘᲪ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡᲐᲪ.** ცხადია, ამ ვალების გასტუმრებას უნდა მოემსახუროს ეს ხელისუფლებაც, მოვა შემდეგი მთავრობა და მასაც ეს მემკვიდრეობა ერგება წილად... ყველა ხელისუფლება ვალდებულია, ამ ვალების გასტუმრებისთვის იმსახუროს, სხვანაირად გამორიცხულია მისი დაფარვა.

**— დღევანდელმა ხელისუფლებამ რა რაოდენობის საგარეო ვალი დაიდო?**

— **ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, 2013 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲚᲘ 538.7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲘᲡᲢᲣᲛᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲡ ᲕᲐᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲢᲝᲗ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ-ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲖᲠᲣᲜᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲣᲡᲢᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ.** თუ ვალების ზრდის სისტემა შეჩერებული არ იქნა და ეკონომიკა ასეთ მდგომარეობაში დარჩა, რამდენიმე წელიწადში ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი სერიოზული პრობლემა იჩენს თავს. არადა, ამ გადასახედიდან, **ᲓᲘᲓᲘᲐ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲫᲕᲔᲚ ᲕᲐᲚᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲐᲪ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲝᲡ ᲕᲐᲚᲔᲑᲘ.**

**— 2014 წელს თუ არის რაიმე შანსი, საგარეო ვალების გასტუმრების დაწყებისა?**

— მნიშვნელოვანი ძვრების რა მოგახსენოთ, ნეტა, ნიადაგი მაინც მომზადდეს, მაგრამ ამისკენ გადადგმულ ნაბიჯებს ვერ ვხედავ. **ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 70 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘᲐ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲪ ᲙᲘ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘᲐ.**

ესაუბრა
**ᲜᲘᲜᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ**

# როცა პოლიტიკაში ჭიაბერაშვილები მრავლობენ, გენიტალიებით სპეკულირება მოსულა

**ქართველი მსახიობის — თინა მახარაძის ტუჩები გაცივებულიც არ იყო, როცა მას სიტყვა თუ საქმე მომღერალმა თეონა კონტრიძემ შეაშველა. შეგახსენებთ, რომ თინამ რამდენიმე კვირის წინ განაცხადა, ჩემთვის ორალური სექსი პრობლემა არ არის და ძალიანაც მსიამოვნებს, ამას ხმამაღლა ვამბობ და არ მაინტერესებს, საზოგადოება რას იტყვისო. კონტრიძემ კი მახარაძის გამბედაობას ტაში დაუკრა და თავის პირზეც მოგვაწოდა ინფორმაცია.**



„როგორ შეიძლება, ადამიანს ორალური სექსი არ მოსწონდეს და არ უნდოდეს, არ სურდეს, რომ ვინმე შეეხოს და ეს არ გამოსცადოს. გამორიცხულია ეს, მაგრამ ხმამაღლა მხოლოდ თინამ თქვა და ამის გამო, ვგიჟდები ამ გოგოზე“, — აღნიშნა კონტრიძემ.

არ ვიცი, რა საზოგადოებაში ტრიალებს მომღერალი, მაგრამ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ქართველ მამაკაცთაგან, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონია, კმაყოფილი მხოლოდ ერთი მათგანით არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ დანარჩენებმა კონტრიძის არცთუ პატარა ადგილს ყურადღება არ მიაქციეს.

**თეონამ არც ის დაგვიმალა, რომ ქართლის დედას, თურმე, დიდი ხანია ფალოსი გაეზარდა. ეს ამბავი უკვე ზურაბ ჭიაბერაშვილს გაახარებდა, რომელმაც წლების წინ დაწერა, ქართლის დედას ხმალი და ფიალა კი არა, ერთ ხელში ფალოსი უჭირავს, მეორეში — საშოო.** ამის გამო ჭიაბერაშვილი გვარიანად ლანძღეს, მაგრამ მე მის მდგომარეობაში შევედი, რადგან გასაბერი ქალი ძალიან ძვირი ღირს და ჭიაბერაშვილი სურვილს თურმე ფიალით იკმაყოფილებდა. იყიდიდა ბაზარში ფიალებსა და ჭინჭილებს, წარმოიდგენდა იმას, რასაც შეადარა და მიდიი... ამ ლოგიკას თუ მივყვებით, კონტრიძე ერთ ადგილას ხმალს უნდა იჩხიკინებდეს და ფრთხილად იყავი თეონა, რამე არ დაიზიანო, თორემ მერე ჟიურიში კი არა, ბირჟაზეც ვერ დაჯდები.

სხვათა შორის, ამ სტატიის დაწერას არ ვაპირებდი, მაგრამ შევიტყვე, რომ პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლილმა ჭიაბერაშვილმა ახალი პარტიის შექმნა გადაწყვიტა. ჭიაბერაშვილმა გაითვალისწინა ის, რომ მმართველი პარტიის სახელწოდებაში სიტყვა „ოცნება“ ურევია და საკუთარი პარტიის სახელშიც ამ სიტყვის ჩაკვეხება გადაწყვიტა. თავდაპირველად სურდა პარტიისთვის „თთ-ოცნება“, ანუ „თინა-თეონას ოცნება“ დაერქმია, მაგრამ მერე მიხვდა, ხალხი ვერ გაიგებსო და „მკჭ ოცნებაზე“ შეჩერდა. „მკჭ“ — ეს არის მახარაძე-კონტრიძე-ჭიაბერაშვილის აბრევიატურა და თანაც ძალიან საინტერესოდ ჟღერს.

მოგეხსენებათ, პარტიას დროშა და ლოგოც სჭირდება. დროშის დიზაინზე თურმე ბიჭოლა მუშაობს და მალე წარუდგენს საზოგადოებას. რაც შეეხება გერბს, თავიდან იფიქრეს, რომ კონტრიძის უკანალი დაეხატათ, მაგრამ ეს იდეა უარყვეს, დიდია და მერე გერბი დროშაზე აღარ დაეტევაო. მერე მახარაძის უკანალზე შეჩერდნენ, თუმცა არც ამან გაამართლა, გერბს რომ შეხედავ, მეორე მხარე არ უნდა ჩანდესო და ბოლოს თქვეს, ფალოსი მივახატოთ, მაინც სულ მაგაზე ვფიქრობთ და ვლაპარაკობთო. **ამაზე უკვე ჭიაბერაშვილი გადარეულა, რაღა ფალოსი, თუ ასეა, ჩემი სახე მივახატოთ და მოვრჩეთ ამითო, მაგრამ მეგობრებმა ურჩიეს, ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედი თუ ყოფილი წევრების სახეები ხალხს აღიზიანებს, ისევ ფალოსის მიხატვა აჯობებსო და, როგორც იქნა, განაწყენებული ჭიაბერაშვილი დაითანხმეს.**

შესაბამისად, ახალი პარტია სახელწოდებით „მკჭ-ოცნება“ მალე საზოგადოების წინაშე ფალოსიანი დროშით წარსდგება და მხარდამჭერთა შეგროვებასა და აღრიცხვას დაიწყებს. სიმართლე გითხრათ, წესდების ტექსტი ჯერ ვერ მოვიპოვე, მაგრამ დამპირდნენ, მალე გამოვაქვეყნებთ და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნებაო. **პარტიაში გაწევრების მსურველებმა კი „უკანალ-კონტროლი“ უნდა გაიარონ.** რაც შეეხება თავმჯდომარეს, ის ჭიაბერაშვილი იქნება, რომელსაც კონტრიძე-მახარაძის სახით ორი მოადგილე ეყოლება და ბრიფინგებსაც ასე ჩაატარებენ: შუაში — ჭიაბერაშვილი, მარჯვნივ — კონტრიძე, მარცხნივ — მახარაძე.

რაც შეეხება პარტიის ჰიმნს, ეს საქმე ჭიაბერაშვილმა მთლიანად კონტრიძეს მიანდო, მუსიკოსი ხარ და შენ იციო. კონტრიძესაც ბევრი არ უფიქრია და პარტიის ჰიმნად ცნობილი სიმღერა, „ახ სირუმ სირუმ“ აირჩია“...

ეჭვი მაქვს, ამ პარტიას არაერთი მხარდამჭერი გამოუჩნდება და ვინძლო მისი რიგები ისე გაიზარდოს, ბევრ მოქმედ პარტიას შეშურდეს. ასეა, როცა პოლიტიკაში ჭიაბერაშვილები მრავლობენ, გენიტალიებით სპეკულირება მოსულა.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ესმერალდას გაჭირვება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შენობა რომ ამ დღეში ჩააგდეს, ვირთხები შემომესივნენ. ჩემს მეგობარს ფოტოები გადავაღებინე, დევნილთა სამინისტროში გავაგზავნეთ, მაგრამ არავინ გამოხმაურებია ამ ამბავს.**

„საქართველო და მსოფლიომ“ რამდენიმე თვის წინ (2013 წ., №34, 18-24 სექტემბერი) წერილი გამოაქვეყნა ბიოქიმიის ინსტიტუტში კახა ბენდუქიძის მიერ დატყვევებული ქალის შესახებ. მაშინ ჩვენი გაზეთი თითქმის ყველა შესაბამის უწყებას დაუკავშირდა. ქალბატონის სანახავად რომ მივედით, ლტოლვილთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის თანამშრომელიც გვახლდა, რათა თავისი თვალით ენახა, ქალბატონ ესმერალდას გაჭირვება, მაგრამ ამ დრომდე მის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, პირიქით, გაუარესდა კიდეც.

# «ბენდუქიძის ტყვე ქალს» მიზანმიმართულად წამლავენ

ქალბატონ ესმერალდას დევნილთა სამინისტრომ მარტში დანაპირები ბინა იმ მიზეზით არ მისცა, რომ 7 ქულა გაქვს და შენზე გაჭირვებულებიც არიანო. მაგრამ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, არა მგონია, ვინმემ ესმერალდას ქულებზე იდავოს.

ბენდუქიძის ტყვე ქალი ახლა უკვე ახალი ხელისუფლების ტყვედ იქცა. რაც შეეხება ბენდუქიძეს, მიუხედავად ჩადენილი ფინანსური, ეკონომიკური, სისხლისსამართლებრივი დანაშაულებისა, „ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრეს“. ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ რამდენიმეჯერ სცადა გალაშქრება, მაგრამ ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. თუმცა ბენდუქიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მარტო ამ ერთი უმწეო ქალბატონის ჩვენებაც ეყოფოდა, როგორც ჩანს, ბენდუქიძე მთლად ციხეში ჩასასმელად გასამეტებელი კაცი არ არის, მისგან სარგებლის მიღებაც შეიძლება.

ესმერალდა მინდიაშვილი:

— შვილო, შენ გაიხარე, რომ მომაკითხე. ღმერთი არ მკლავს და ესენი მკლავენ. ნეტავ, 2008 წლის ომში დავღუპულიყავი და ამ დღემდე არ მოვსულიყავი. ჩემი გაჭირვება კარგად იცით. იცით, რა დღეში ჩამაგდო ნაძირალა ბენდუქიძემ, მაგრამ ახლა ამ ხელისუფლებაზეც ნაწყენი ვარ. ბინას არ მაძლევენ, 6 ქულიანები უნდა დავაკმაყოფილითო, შენ კი 7 ქულა გაქვსო. ჩემთან არავინ მოსულა, რა იციან, რა დღეში ვარ და 7 ქულა რაში დაწერეს, არ მესმის?! მე აქედან გასვლასაც ვერ ვახერხებ, ჩემს მეგობარს ვთხოვე, ჩემი ამბავი გაერკვია და იმას უთხრეს ასე.

ახლა გაჩვენებ, ბენდუქძის ხალხმა რა დღეში ჩამაგო. ხომ იცით, ეს შენობა ბიოლოგიის ინსტიტუტს ეკუთვნოდა. აქ უამრავი შხამ-ქიმიკატი ინახება; არის, ასევე, რადიაციული ბუნკერები. ამ რამდენიმე ხნის წინ ეს ბუნკერები გახსნეს და შხამ-ქიმიკატები გარეთ გამოიტანეს, კედლები, რომლებიც თავის დროზე ამოაშენეს, ახლა მოანგრიეს. ვიფიქრე, ყველაფრის გატანას აპირებენ-



**აქ ერთი ქალისგან წყალი მომქონდა, ბენდუქიძის ხალხმა გააფრთხილა, — წყალი აღარ მისცეთ, იქნებ აქედან როგორღაც გავიყვანოთო. გამიყვანონ, ბატონო, წინააღმდეგი ხომ არ ვარ?! ერთს ვიხვეწები: აქ წამებით ნუ მომკლავენ**

თქო, მაგრამ აქ დამიდგეს, ბუნკერიც გადახსნილი დატოვეს, მანქანები არ გვყავსო, ეს მოიმიზეზეს. ამასობაში თვალში სინათლე დავკარგე, ყურიდან სისხლდენა დამეწყო, ცხვირიდანაც სისხლის ნაფლეთები მომდის, თმები მცვივა...

**— გნებავთ, თქვათ, რომ მიზანმიმართულად გწამლავენ?**

— დიახ, მწამლავენ. აბა, რა დავარქვა იმას, რომ ცხვირწინ დამიდგეს ბიო და რადიაციული ნარჩენების თავლია ბუნკერები? შენობის ნგრევაც დაიწყეს, უპატრონოდ არის მიტოვებული, საღამოობით კაცები მოდიან და ქალები მოჰყავთ, შიშით პირდაპირ აღარ ვიცი, რა ვქნა. **შენობას ანგრევენ, მთელი კარ-ფანჯრები ჩამოხსნეს და ვიღაც არჩვაძეს აძლევენ. ის, როგორც გავიგე, მუხრანში ფერმას აშენებს და იქ ეზიდება. რა ჩემი საქმეა, მაგრამ ასეთი შენობიდან არაფრის გატანა არ შეიძლება, აქ ყველაფერი რადიაციულია. ყველაფერი დალეწეს, დაამტვრიეს, სკამები ღუმელის დასანთებად მიაქვთ.**

**— ეს არჩვაძე ვინ არის?**

— სახელი არ მახსოვს. **არჩვაძე ბენდუქუძის ქვეშევრდომია. 14 კვლევი-**

# უკრაინის ხელისუფლება ფაშისტი გებელსის გზას დაადგა

**გერმანიაში ფაშიზმი მიუღებელი წიგნების განადგურებით დაიწყო. დღეს კი, 81 წლის შემდეგ, რუსეთისა და ყოველგვარი რუსულისადმი სიძულვილით შეპყრობილი უკრაინელი ნაციონალისტები აშშ-ისა და ევროპის წაქეზებით იმავე გზას დაადგნენ.**

**უკრაინაში ბანდერელთა ნაციონალისტურმა ხელისუფლებამ გერმანელი ფაშისტების 81 წლის წინანდელი მეთოდები გაიხსენა.**

**ქალაქ ხარკოვის ძერჟინსკის რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე წლის წინათ უკრაინაში გამოცემული წიგნის „აფერისტი ქალი. ტიმოშენკოს საქმე“ ეგზემპლარები მაღაზიათა ქსელიდან ამოიღონ და გაანადგურონ.**

ბენდერელთა ნებას დაქვემდებარებულმა სასამართლომ გადაწყვეტილება დეპუტატის თანშემწის — დიმიტრი ილჩენკოს სარჩელის საფუძველზე მიიღო. ამასთანავე, **სასამართლოს განხილვის საგანი იყო არა წიგნის შინაარსი, არამედ ის, რომ წიგნში მოსარჩელის ნებართვის გარეშე იყო შეტანილი მისი ფოტო, რომელზეც ილჩენკო ხელში იულია ტიმოშენკოს ბუკლეტით არის გამოსახული** (დეპუტატის თანაშემწის თქმით, მან არ იცის, ვინ გადაუღო ეს ფოტო). ფოტოს ერთვის წარწერა: „როგორც ჩანს, ის მთლად დარწმუნებული არ არის“.

ილჩენკომ განაცხადა, რომ ამ ფოტომ მორალურად დააზარალა და ამიტომ საკომპენსაციოდ 20 ათას გრივნა (დაახლოებით 2 ათასი დოლარი) მოითხოვა. სასამართლომ მისი მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა — წიგნის გამომცემლებს 2 ათასი გრივნის გადახდა დააკისრა.

ავტორი წიგნისა **„აფერისტი ქალი. ტიმოშენკოს საქმე“** არის გერმანელი პუბლიცისტი და გამომცემელი **ფრანკ შუმანი.**

წიგნი თავდაპირველად გამოიცა გერმანიაში, შემდეგ რუსულ ენაზე ნათარგმნი გამოჩნდა უკრაინის მაღაზიების დახლებზე.

წიგნის რუსულენოვანი გამოცემის (ქ. ხარკოვის გამომცემლობა „ფოლიო“) პრეზენტაცია გაიმართა კიევში 2012 წელს. **შუმანმა წიგნის წარდგენისას განაცხადა, რომ იულია ტიმოშენკოს ბოროტმოქმედად თვლის, მის მიმართ გამოტანილ განაჩენს (წიგნის პრეზენტაციამდე ერთი წლით ადრე უკრაინის ყოფილი პრემიერმინისტრი რუსეთთან ბუნებრივი აირის მიღების ხელშეკრულების გაფორმების დროს უფლებამოსილების გადამეტებაში დაადანაშაულეს და 7 წლით აღუკვეთეს თავისუფლება) კი — სამართლიანად.**

იულია ტიმოშენკო საპატიმროდან 2014 წლის თებერ-



ფრანკ შუმანი



ბერლინი. ოპერის მოედანი. 1933 წლის 10 მაისი

ვლის ბოლოს, **კიევის მაიდანზე განვითარებული სისხლიანი მოვლენების შემდეგ გათავისუფლდა და ახლა ის უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე იყრის კენჭს. როგორც ჩანს, ძაღლის თავიც აქ არის დამარხული — ბენდერელთა ხელისუფლება ყველაფერს კადრულობს იულია ტიმოშენკოს „გასათეთრებლად“ (**ტიმოშენკოს პრემიერობისას დიდძალი თანხის მითვისებაში ადანაშაულებენ. ის უკრაინის 100 ყველაზე მდიდარი ადამიანის სიაში იყო) **და ისეთ მეთოდს მიმართავს, რომელსაც საფუძველი გერმანელი ფაშისტების იდეოლოგმა იოზეფ გებელსმა 1933 წლის 10 მაისს ჩაუყარა.** სწორედ ამ დღეს დაიწყეს გერმანიის ხელისუფლებაში მოსულმა ნაციონალ-სოციალისტებმა წიგნების დემონსტრაციულად დაწვა, ებრაელების, მარქსისტებისა და პაციფისტების დევნა. 1933 წელს გერმანიის 70 ქალაქში, გერმანიის სტუდენტური კავ-

„აბაზანის მარილი არის მძიმე ნარკოტიკული საშუალება და, პაციენტები ბიოს რომ ამბობენ, ფიქრობენ, რომ მსუბუქ ნარკოტიკებს მოიხმარენ. რაც მთავარია, ვინც ამ აბაზანის მარილს ასაღებს, მყიდველს აწვდის ცრუ ინფორმაციას, რომ ეს არის უვნებელი მოსაწევი საშუალება, რომელიც არაფერს დაუშავებს. რეალურად კი ამ შხამის მიღება უმძიმესი შედეგით მთავრდება“.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თი ინსტიტუტი, რომელიც მან მიითვისა, ჯართად სულ ამ არჩვაძეს აბარია.
**2012 წელს 23 ოქტომბრიდან დეკემბრამდე ჩაკეტილი ხომ ვიყავი, ახლა 2013 წლის 23 ოქტომბრიდან ეს შხამები აქ დამილაგეს და რამდენიმე დღე მასუნთქეს. ცოცხლად რატომ მკლავთ, გიჩივლებთ-მეთქი, რომ ვუთხარი, ეტყობა, რაღაც ადამიანურმა გაიღვიძა მათში და დახურეს ბუნკერები.**

დევნილი რომ გავხდი, ამ ინსტიტუტში დარაჯად თავადვე გამაფორმეს, თავიდან ხელფასსაც მიხდიდნენ, ვითომ თავშესაფარი მომცეს და ახლა მკლავენ, რა უნდათ ჩემგან? გამიყვანონ, აქ ჯერ მაინც არაფერი ხდება და თავზე რატომ მანგრევენ შენობას, ვერ ვხვდები. **მთელი დღე კაციშვილის ჭაჭანება არ არის. ვეხვეწები — გავლენა გაქვთ, სიტყვა შემაწიეთ, გამიყვანონ აქედან და თავშესაფარი მომცენ. თავადაც კარგად იციან ჩემი მდგომარეობა, ჩაქცევა რომ დამემართა, კობა გოგიჩაიშვილი ბენდუქიძის მოადგილე, ისეთი შეშინებული იყო, წამლებიც კი მიყიდა, თუმცა მას შემდეგ მთელი წელი აღარ გამოჩენილა.**

**შენობა რომ ამ დღეში ჩააგდეს, ვირთხები შემომესივნენ. ჩემს მეგობარს ფოტოები გადავაღებინე, დევნილთა სამინისტროში გავაგზავნეთ, მაგრამ არავინ გამოხმაურებია ამ ამბავს.**

**ორი ომი გამოვიარე, შვილო. პირველი ომის დროს გადავრჩით და სახლში ვიყავით, მეორე ომის დროს ყველაფერი დავკარგე, სოფელში კარგი სახლ-კარი მქონდა, არაფერს გავყიდდი, რაც არ უნდა გამჭირვებოდა, მაგრამ დამაკარგვინეს. ახლა ვიღაცამ ხომ უნდა იზრუნოს ჩემზე, ასე უპატრონოდ ხომ არ მოვკვდები? რა ვქნა აღარ ვიცი! რომ ჩამოვედი, მითხრეს, შეგიძლია ფული მოითხოვო, 10 ათასიო, დავწერე განცხადება, ვიფიქრე, გირაოთი მაინც შევალ სადმე და მერე ვინც მომხედავს, იმას დავუტოვებ ყველაფერს-თქო, მაგრამ ფული არ მომცეს, ბინას კი შემპირდნენ, მაგრამ ახლა ეს ბინაც არ არის.**

**აქ ერთი ქალისგან წყალი მომქონდა, ბენდუქიძის ხალხმა გააფრთხილა, — წყალი აღარ მისცეთ, იქნებ აქედან როგორღაც გავიყვანოთო. გამიყვანონ, ბატონო, წინააღმდეგი ხომ არ ვარ?! ერთს ვიხვეწები: აქ წამებით ნუ მომკლავენ.**

გზის გადაღმა დიდი სახლი შენდება, იქაურ მუშებს ვეცოდები და რაღაცები მოაქვთ, ერთხელ ცხელი საჭმელიც მომიტანეს, კაცის გაკეთებული საჭმელი რა უნდა იყოს, მაგრამ იმედენი ხანია, ცხელი არაფერი მიჭამია, სიამოვნებით შევჭამე. **2012 წლიდან ამ შენობაში ისე ვცხოვრობ, შუქი არ მაქვს, ტუალეტი, წყალი, ეს ყველაფერი ბენდუქიძის ხალხმა მომისპო.**

უპატრონოდ სიკვდილის მეშინია, შვილო. შორეული ნათესავები კი მყავს, მაგრამ თვითონ ისე უჭირთ, მე ვის რაში ვჭირდები, თანაც ავადმყოფი. მეგობარი მყავს, კვირაში ერთხელ ძლივს ახერხებს ჩემს მონახულებას, იმას ხომ ვერ შევეკედლები, თავისი ოჯახი აქვს, რომ მაკითხავს და ყურადღებას მაქცევს, ამისთვისაც მადლობელი ვარ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# მლაშე სიკვდილი

**„იმას, რასაც ბიოს ვეძახით და მარიხუანად ვცდილობთ მის გასაღებას, რეალურად აბაზანის მარილია. ამდენ ხანს თავს ვიკავებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას ის, რაც რეალურად ხდება. დადგა დრო, ვთქვა, რომ დღეს ყველაზე პოპულარული ნარკოტიკი აბაზანის მარილად წოდებული ნარკოტიკული საშუალებაა. დიდხანს არ ვსაუბრობდი ამაზე, მაგრამ ველარ დავმალავთ, რადგან აქედან იწყება ჩვენი დაღუპვა,“ — ეს განცხადება სამედიცინო ცენტრ „ურანტის“ ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ სიხარულიძემ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა... ბატონ ზურაბს სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ დავუკავშირდით.**



## ზურაბ სიხარულიძე: ეს არის მსოფლიოში ყველაზე საშინელი პრეპარატი

— დიდი ხანია, ამ ყველაფრის შესახებ ვიცით, მაგრამ გამხელისგან თავს ვიკავებდით, უფრო მეტი ინტერესი რომ არ აღგვეძრა გარკვეულ კონტინგენტში, რადგან ბიონარკოტიკების მოხმარების გამო ქვეყანაში ისედაც სავალალო სიტუაციაა. ამიტომ უმჯობესია, ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე, ვიდრე სირაქლემას პოზიციაში ვიყოთ.

**— ე. წ. აბაზანის მარილის ნარკოტიკულ საშუალებად გამოყენება ბევრისთვის წარმოუდგენელია...**

— ე. წ. აბაზანის მარილი მეტამფეტამინების ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც საკმაოდ გავრცელებული ნარკოტიკია მსოფლიოში. **გაიხსენეთ ბოლო ხანს გავრცელებული ვიდეორგოლები, რომლებშიც სხვადასხვა ბიონარკოტიკის შედეგად დასნეულებულ ადამიანებს უჩვენებდნენ. რეალურად ეს ბიონარკოტიკის ზემოქმედების შედეგი არ არის, რადგან მსგავსი სიმპტომები მხოლოდ აბაზანის მარილის მიღების შემთხვევაში ულინდება ადამიანს.** ე.წ. აბაზანის მარილი არის ძლიერი ფსიქოსტიმულატორი, რომელიც იწვევს ჰალუცინაციებს, ფსიქიკის დარღვევას, მძიმე ფსიქოზს და სიკვდილს. როდესაც ამბობენ, ფხვნილსა და კრისტალებს ვეწევითო, სწორედ ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს ფხვნილი ეფედრინია.

**— თქვენს კლინიკაში სამკურნალოდ ხშირად მოჰყავთ ამ პრეპარატით დაავადებული პაციენტები?**

— როდესაც დასნეულებული ადამიანები მოჰყავთ ჩემთან, თვითონაც არ იციან, რა აქვთ მოწეული და რა სჭირთ, ამბობენ, — ბიომარიხუანა მოვწიეთო. აბაზანის მარილი არის მძიმე ნარკოტიკული საშუალება და პაციენტები, ბიოს რომ ამბობენ, ფიქრობენ, რომ მსუბუქ ნარკოტიკებს მოიხმარენ. რაც მთავარია, ვინც ამ აბაზანის მარილს ასაღებს, მყიდველს აწვდის ცრუ ინფორმაციას, რომ ეს არის უვნებელი მოსაწევი საშუალება, რომელიც არაფერს დაუშავებს. რეალურად კი ამ შხამის მიღება უმძიმესი შედეგით მთავრდება. აბაზანის მარილის მიღების შემდეგ ადამიანმა შეიძლება სცადოს თვითმკვლელობა, გაუჩნდეს ყველაფრის შიში და ა. შ. ამიტომ დროა, ამ ყველაფერზე ხმამაღლა ვისაუბროთ, რადგან საქმე ძალიან მძიმე ნარკოტიკთან გვაქვს.

**— მხოლოდ საუბარი შეცვლის ვითარებას?**

— არა მგონია, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობა მომხმარებელს გააგებინებს, რასთან აქვს საქმე და შესაძლოა, ბევრმა მათგანმა უარიც თქვას აბაზანის მარილის მიღებაზე. ბოლოს და ბოლოს, ეს არის მსოფლიოში ყველაზე საშინელი პრეპარატი.

**— როგორც ვიცი, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში აბაზანის მარილის გაყიდვა აიკრძალა...**

— ე. წ. აბაზანის მარილი ბევრ ქვეყანაშია აკრძალული და საკმაოდ ძლიერი კონტროლიც არის დაწესებული. ჩვენს ქვეყანაში კი აბაზანის მარილის გამოწერა თავისუფლად შეიძლება ინტერნეტით.



**სახელმწიფო, პირველ რიგში, თვითონ უნდა იყოს გათვითცნობიერებული, რა ხდება სკოლებში, ღამის კლუბებსა და ქუჩაში, ასევე შავ ბაზარზე.** ეს აუცილებელია, რადგან მესამე თაობას ვკარგავთ. აფხაზეთის ომის დროს რაც მოხდა, ყველას კარგად გვახსოვს. ჩვენი ბიჭები განადგურდნენ როგორც ფსიქიკურად, ისე ფიზიკურად. სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში უამრავი ახალგაზრდა ამოალპეს ციხეში და ახლა დგება მესამე ეტაპი, რომელსაც ბიონარკომანია ჰქვია. ამიტომ სახელმწიფო ყოველთვის სადარაჯოზე უნდა იდგეს, სისტემა გამართულად უნდა მუშაობდეს, უნდა იყოს ინფორმირებულობა, პრევენცია, პროფილაქტიკა, მკურნალობა, რეაბილიტაცია, რაც განაპირობებს სახელმწიფოს კეთილდღეობას, უსაფრთხოებასა და დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესებას, გენოფონდისა და ერის ფსიქიკურ ჯანმრთელობას. არადა, **ამ ტიპის ნარკოტიკის მომხმარებლები 13-დან 25 წლამდე ახალგაზრდები არიან, რომლებიც ჩამოყალიბების პროცესში იმახინჯებენ ფსიქიკას.** ჩვენ უნდა შევძლოთ, ამ ბავშვებს გავაგებინოთ, რომ სხვა უფრო კარგი გასართობიც არის, მაგრამ... **საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც არ არის დისკოთეკა, არ არის იაფი სპორტული დარბაზები. აქ მხოლოდ პიარისთვის შექმნილი ველოტრასებია, თანაც ველოსიპედი 1000 ლარზე მეტი ღირს, რასაც უამრავი ოჯახი ვერ ყიდულობს. თითქმის ყველა ეზოში გაკეთდა პატარა მოედნები, მაგრამ ფეხბურთის თამაშის ხმა, ჟივილ-ხივილი, კარგა ხანია, არ გამიგონია.**

**რომ ამ საშინელების მიღებაში ბიჭებს გოგონებიც არ ჩამორჩებიან.**

**— ინტერნეტსივრცეშიც შეიძლება იაფფასიანი პრეპარატებით ნარკოტიკული საშუალების დამზადების რეცეპტების მოძიება. ამას როგორ შეებრძოლება სახელმწიფო?**

— ნარკოტიკული საშუალებების რეცეპტებს თავი რომ დავანებოთ, არსებობს ფორუმები, სადაც ამ თემით დაინტერესებული ადამიანები არიან გაწევრებულები და სხვადასხვა მეტსახელით დარეგისტრირებულნი. მაგალითად, „კრაკადილის პოვარი“... ეს არ არის სასაცილო, რადგან ეს სახელი ნიშნავს ე. წ. კრაკადილის კარგ დამამზადებელს, ანუ, კარგად ხარშავს „კრაკადილს“... ასეა, კიბერუსაფრთხოება კიდევ ერთი რთულად მოსაგვარებელი საკითხია და, ალბათ, შესაძლებელია ასეთი ლინკების დაბლოკვა. ეს ფორუმები მაინც უნდა მოისპოს, რადგან ისე აღწერენ ნარკოტიკების ზემოქმედებას, რომც არ გაინტერესებდეს, გასინჯვა მოგინდება. ასეა — **ქვეყანაში, სადაც ტოტალიზატორი და კაზინო გაცილებით მეტია, ვიდრე სპორტული დარბაზი, ნარკოტიკებისადმი ინტერესი დიდია.**

**— ბიონარკოტიკის მიღების შედეგად სუიციდის შემთხვევა თუ აღინიშნა საქართველოში?**

— რა თქმა უნდა. **ახლახან მოზარდი რომ გადმოხტა ღუდუშაურის კლინიკიდან, სწორედ ბიონარკოტის მიღების შედეგი იყო...**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**«ე.წ. აბაზანის მარილი ბევრ ქვეყანაშია აკრძალული და საკმაოდ ძლიერი კონტროლიც არის დაწესებული. ჩვენს ქვეყანაში კი აბაზანის მარილის გამოწერა თავისუფლად შეიძლება ინტერნეტით»**

გენდის თაოსნობით, კაცობრიობის გამოჩენილი პიროვნებების მილიონობით წიგნი დაწვეს დევიზით „გავწმინდოთ ქვეყანა ყოველივე არაგერმანულისგან!“.

**წიგნების დაწვის კამპანიის კულმინაცია კი იყო 1933 წლის 10 მაისს ბერლინში, ოპერნპლაცზე (ოპერის მოედანზე), აგრეთვე, გერმანიის კიდევ 21 ქალაქში აგიზგიზებული კოცონები, რომლებშიც ასიათასობით „არაგერმანული“ და „ამორალური“ წიგნი დაწვეს.** გერმანიის რეიხსმინისტრმა, დოქტორმა **იოზეფ გებელსმა** წიგნის დაწვის კამპანიის მონაწილეებს ასე მიმართა: **„ჩემო მეგობრებო — სტუდენტებო, გერმანელო მამაკაცებო და ქალებო, გაზვიადებული ებრაული ინტელექტუალიზმის ერა დასასრულს უახლოვდება. გერმანიის რევოლუციის ტრიუმფმა გაასუფთავა გზა ყოველივე გერმანულისთვის. მომავალში გერმანელი არა მხოლოდ წიგნიერი ადამიანი იქნება, არამედ ძლიერი ხასიათის მქონეც. სწორედ ასეთ ადამიანებად ,გვსურს, აღგზარდოთ. უკვე ახალგაზრდულ ასაკში თქვენ უნდა გეყოთ გამბედაობა, პირდაპირ ჩახედოთ თვალებში დაუნდობელ ცხოვრებას, მოიშოროთ სიკვდილის შიში. სწორედ ეს არის ახალგაზრდობის მისია, ამიტომ**




**თქვენ სწორად იქცევით, როდესაც ამ გვიან საღამოს ცეცხლს მიეცით წარსულის ინტელექტუალური ნაგავი. ეს შესანიშნავი, დიდებული, სიმბოლური წამოწყებაა, რომელიც მსოფლიოს დაუმტკიცებს, რომ ნოემბრის რესპუბლიკის ინტელექტუალური საფუძველი დანგრეულია, მაგრამ ამ ნანგრევებიდან აღდგება გამარჯვების ახალი სული“.**

გერმანიაში ფაშიზმი მიუღებელი წიგნების განადგურებით დაიწყო. დღეს კი, 81 წლის შემდეგ, რუსეთისა და ყოველგვარი რუსულისადმი სიძულვილით შეპყრობილი უკრაინელი ნაციონალისტები, აშშ-ისა და ევროპის წაქეზებით, იმავე გზას დაადგნენ — მაღაზიათა ქსელიდან „მიუღებელი“ წიგნების ამოღება-განადგურებიდან, წიგნების დემონსტრაციულად დაწვამდე ხომ ერთი ნაბიჯიც არ არის?!

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ აკუტაგავას „უსიერ ტყეს“ ჰგავს ქართველ პოლიტიკოსთა განცხადებები და, საერთოდაც, თუ კარგად დააკვირდებით, ქართული პოლიტიკა დაემსგავსა უსიერ ტყეს მასში დაკარგული თუ გზააბნეული პოლიტიკოსებით. აკუტაგავას ნაწარმოებში გარდაცვლილი კაცი კი ძალიან ჰგავს საქართველოს საგარეო პოლიტიკას, ყველამ რომ იცის, გარდაცვლილი რომ არის და ყველა სხვადასხვაგვარად რომ ხატავს გარდაცვალების სცენას. ის ლაჩვარი კი, რომელმაც გარდაცვლილის გულში გაიარა, ხან ვის ეჭირა ხელში და ხან ვის, ახლა კი თავად გვიპყრია და რადგან იაპონელი აკუტაგავა ვახსენეთ, ბარემ ვთქვათ, რომ ჰარაკირის კეთების პროცესში ვართ.**

# ქართული პოლიტიკა უსიერ ტყეში

**კარგა ხანს ვფიქრობდი და ვერ გავიხსენე, ვინ თქვა პირველად, საქართველო ნატოში უნდა გაერთიანდესო. ეს იდეა მაშინვე აიტაცეს და მოსახლეობის ნაწილი დაარწმუნეს, ალიანსი ჩვენი სურვილის შეტყობისთანავე კარს ფართოდ გაგვიღებს და ჩვენს ბორჯომსა თუ ჩაის დანატრებული ნატოს წევრი ქვეყნები გულში ჩაგვიკრავენო. სინამდვილეში კი ეს ერთ-ერთი იმ სატყუარათაგანი გამოდგა, რომელსაც თამამად შეგვიძლია საუკუნის ტყუილის ტიტული მივანიჭოთ.**

## ნატოს თემას ყავლი გაუვიდა და ობამა პირდაპირ ეთერში ხომ არ დაიგვინებს, არ შეგიშვებთ ნატოშიო?!

ამ შემთხვევაში ანდაზამ, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, არ გაამართლა, რადგან მთელი 20 წლის განმავლობაში მუდარით შევყურებდით ნატოს შეღებულ კარს და იქ შესვლასა თუ შეძრომაზე გეგმებს ვაწყობდით. სწორედ ამ შეღებული კარის გამო ქართველი ბიჭები საბრძოლველად ავღანეთში გავუშვით და ახლა ცენტრალური აფრიკისთვის ვამზადებთ, იქ, სადაც ადამიანის ხორცს სიამოვნებით მიირთმევენ და დელიკატესადაც ითვლება.

**ისევ ამერიკამ გვიშველა. უფრო ზუსტად კი, მისმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აგვიხილა თვალი და 20 წლის ნაყარი ნაცარი ერთ ფრაზაში მოგვწმინდა.**

**„მინდა დავადასტურო, რომ არც უკრაინა და არც საქართველო ნატოსკენ სავალ გზაზე არ დგანან და უახლოეს მომავალში ნატოს წევრი ქვეყნების გაზრდა არ იგეგმება“,**— ისე მშვიდად განაცხადა ობამამ, თითქოს შვილებს ზღაპარს უკითხავსო. **მოსახლეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს სიტყვები ყოფილი თუ მოქმედი ხელისუფლებისთვის ნამდვილი შოკი იყო.** ყოფილი ხელისუფალნი ხვდებიან, რომ იმ წელიწად-ნახევარში, რომლის განმავლობაშიც მთავრობა შეიცვალა, ძირეულად არაფერი გაფუჭდებოდა და, თუ ნატოს კარი ასე მჭიდროდ იყო მიხურული, მათი დამსახურებაც არის. **ახალ ხელისუფლებას კი სულ წყალში ჩაეყარა დაპირებები და ღარიბაშვილი-ობამას ხელის ჩამორთმევამაც ფასი დაკარგა.**



რა გამოდის? **ამ წლების განმავლობაში ცალკე ამერიკა გვატყუებდა, ცალკე — ანდრეს ფოგ რასმუსენი და ცალკე კიდევ — ვისაც არ ეზარებოდა, ის.** და ჩვენ ამ ტყუილს დიდი კოვზით ისე მივირთმევდით, ისე გემრიელად გეახლებოდით, რომ აქეთ რუსეთი შეშფოთდა, იქით კიდევ — აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის „სამაზვანეცი“ ლიდერები და საბოლოოდ, თავის დაზღვევის მიზნით, 2008-ში სააკაშვილს „ფუკასავით“ ააცალეს ტერიტორიები.

**სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ხელისუფლება შოკიდან ასე მალე გამოვიდოდა, მაგრამ გამოვიდა კი არა, აქეთ მოგვიტრიალდა და ის, რაც ობამამ თქვა, სხვანაირად აგვიხსნა. მაგალითად, თინა ხიდაშელმა განგვიცხადა, ობამამ რაც თქვა, სინამდვილეში ეგ არ იგულისხმაო. ქალბატონ თინას ანალოგიური რამ დავით უსუფაშვილის სიტყვებზე რომ ეთქვა, კიდევ გავიგებდი, რაც უნდა იყოს, ყველაზე კარგად მაგან იცის, უსუფაშვილი როცა ლაპარაკობს, სინამდვილეში რას გულისხმობს. აი, ობამას აზრებს როდიდან ჩასწვდა სიღრმისეულად ხიდაშელის ქალი, ნამდვილად ვერ გეტყვით.** საქმე იქით მიდის, დავით უსუფაშვილმა შეიძლება „შერეკილების“ გმირივით დაიძახოს, ნეტავ, ის შავი კაცი ვინღა იყოო, და... გაფრინდებიან, ალბათ, ოდესმე.

ხიდაშელს მხარი ალექსი პეტრიაშვილმაც აუბა. მინისტრია, ბოლოს და ბოლოს, კაცი, თანაც — სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. ჰოდა, **ობამას განცხადება პეტრიაშვილს, პრაქტიკულად, უსამსახუროდ ტოვებს.** თუ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას მომავალი არ აქვს, გამოდის, პეტრიაშვილი ხელფასს ტყუილად იღებს და, ეს რომ არ გამჟღავნებულიყო, მისტერ ალექსმა ობამას ციტატის პერიფრაზი გააკეთა.

**„არ იყო მოულოდნელი, რაც თქვა ობამამ, მაგრამ საინტერესოა ქვეტექსტი. მან იგულისხმა, რომ ჩვენ სამომავლოდ გავხდებით ნატოს წევრები, მაგრამ ეს არ მოხდება დღეს და ხვალ. ჩვენი კურსი არ შეცვლილა და მშვიდად ვართ“,**— განაცხადა პეტრიაშვილმა.

**სავარაუდოდ, ობამამ არ იცის, მის მიერ ნათქვამ სიტყვებს საქართველოში როგორი გაგრძელება მოჰყვა, თორემ ღარიბაშვილს წერილს გამოუგზავნიდა და აუხსნიდა, რა და რატომ თქვა, თუმცა ეჭვი გვაქვს (გონივრული ეჭვი), რომ ობამას არ აინტერესებს, რას იტყვიან ქართველი პოლიტიკოსები, მთავარია ის, რაც მან თქვა და აკი ოდითგანვე ასე იყო.**

ბევრს, ვისაც დიდი იაპონელი მწერლის, რიუ- ▶

# ნაცემები და საცემები

**მას შემდეგ, რაც წინა ნომერში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“, №12. 2-8 აპრილი, 2014 წ.) სტატია დავწერე, ამიკლო წუგზარმენმა — აქაოდა, მე ბავშვობაში ჩაკ ნორისი არ მომწონდა, ჯეკი ჩანის ფანი ვიყავი და ჯეკი ჩანი დამიძახეო. აქეთ მე გავვოცდი, ჯეკი ჩანი ჩინელია-მეთქი და ასე მიპასუხა, — ისე ვარ უმრავლესობას დანატრებული, „კაკ რაზ“ ჩინელი მინდაო. ეს „კაკ რაზ“ ოკუპანტების ენაზე როგორ გაგეპარა-მეთქი და გაეცინა, იმდენი რამე მეპარება, ამას ვინ უყურებსო.**

მოკლედ, პატივცემულო მკითხველო, მომავალში წუგზარმენ წიკალური ჩაკ ნორისის ნაცვლად ჯეკი ჩანად მოიხსენიეთ, თვითონ მთხოვა და უხერხულია, ნაცემ კაცს კიდევ წიხლს ხომ არ მივაყოლებ?! თან ისიც კარგია, თავად რომ ხვდება, „ნაციონალური მოძრაობა“ ჩინურ ტექნიკასავით რომ არის — მოხმარების ვადა გაუვიდა და დაჭეჭყილი ელემენტებითღა მუშაობს.

**ეს აკაკი-აკო მინაშვილი გადამრევს! გამოვიდა იმ დღეს ტელეეთერში და განაცხადა: მე არ მახსენდება, ჩვენი ხელისუფლება რომელიმე ოჯახს თუ დევნიდა, თქვენ კი ახალაიებს დევნითო.** ჯერ ვიფიქრე, მთვრალია-მეთქი, მაგრამ მაგას რას შეამჩნევ თვალებზე, ფოთის ჭაობის ბაყაყივით (იმ ბაყაყივით, რომლის ექსპორტითაც სააკაშვილი საქართველოს ეკონომიკის აყვავებას გვპირდებოდა) სულ დაქაჩული აქვს. მერე კიდევ — თუ სიმთვრალის პათოლოგია ასეთ ტყუილებში გამოიხატება, მაშინ — ჰო. ისე, რაღა ტყუილებში, **„ნაციონალური ხელისუფლება“ ოჯახებს მართლა არ დევნიდა, უბრალოდ, ანადგურებდა და მაგალითისთვის აფრასიძეებისა და გირგვლიანის დასახელებაც კმარა...**

აქეთ **კობა დავითაშვილი** მახსენდება, ოჯახი მორგში რომ ეძებდა და იქით კიდევ — ვალერი გელაშვილი, ვისი გადარჩენის იმედიც არავის ჰქონდა — ორივეს ცემა ისე შეირჩინეს „ნაცებმა“, როგორც დაგიბარებიათ, მაგრამ ეს არ იყო ერთეული შემთხვევა — „ნაციონალების“ საგმირო საქმეებში სასტიკად ცემის არაერთი ფაქტი ფიგურირებს.



მინდელმა მოადგილემ ეკა ზღულაძემ განაცხადა, ყარყარაშვილს სამართალდამცავებისთვის არ მიუმართავს და, შესაბამისად, მომხდარი ინციდენტიც არ დასტურდებაო. უნდა ვივარაუდოთ, რომ მძღოლმა თვითდაზიანება მიიყენა და თან ისე, რომ ორი კვირა სიარული უჭირდა.

ერთი დღის შემდეგ, **10 აპრილს**, მოძრაობა „რატომ?“-ის წევრებს: **ირაკლი ხუხუნეიშვილს, ლაშა კოპალიანს,**

**სად იყო ამ დროს ბატონი წუგზარმენი? — პარლამენტში! და რას აკეთებდა? ახლა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტუტუცობდა და სულაც არ ანაღვლებდა, მისი ხელისუფლების ზონდერები რიგით მოქალაქეებზე რომ ნადირობდნენ. მაშინ არ იქნევდა პარლამენტის ტრიბუნიდან თითს არც წიკლაური და არც წარბა-გიორგი. ეგ ხომ იცით, რომელია? კანდელაკი გიორგი, რამდენიმე წლის წინათ კოკა გუნცაძემ ტელეეთერში «პადლეცური» რომ აარტყა**

ჩვენც იმ მცირე სიას მივყვეთ, რომელთა შესახებაც თითქოს არაფერია ცნობილი, თუმცა ყოველი კონკრეტული ფაქტის უკან სასტიკად ნაცემი ადამიანები დგანან და არა ისეთები, კარტოფილის სროლაზე რომ გარბიან.

**9 აპრილი, 2009 წელი**

ხელისუფლება განსაკუთრებული სისასტიკით 2009 წლის აქციების მიმდინარეობის დროს გამოირჩეოდა. სააკაშვილი მოგებული საპრეზიდენტო არჩევნებით ტკბებოდა და სწორედ ამ დროს... 2009 წლის 9 აპრილს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე თავს დაესხნენ **გია ყარყარაშვილის** ავტომანქანას, სცემეს მის მძღოლს და წაართვეს ვიდეოკამერა, მაგრამ მომხდარის გამოძიებით თავი არავის შეუწუხებია. შს მინისტრის იმჟა-

**ოთარ ჭელიძეს, ნათია არჩვაძესა** და **ელენე ბარამიძეს** ნიღბიანები მაშინ დაესხნენ თავს, როდესაც ისინი აქციიდან შინ ბრუნდებოდნენ. თავდამსხმელები ხელკეტებითა და ელექტროშოკით იყვნენ შეიარაღებულნი და მოძრაობის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

იმავე დღეს, 21 საათზე, სპორტის აკადემიის სტუდენტები მეცნიერებათა აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და მიემართებოდნენ თავისუფლების მოედნისკენ. **ოლეგ სიმონიანსა** და **ვოვა სტეფანოვს** გზა გადაუჭრა ჯიპმა, ავტომანქანიდან გადმოვიდა 6 პიროვნება, რომლებმაც ხელკეტებით სცემეს მათ.

იმავე დღეს მეტროპოლიტენის სადგურ „ავლაბართან“ **დავით ახალაძეს** ნიღბიანმა პირებმა მანქანა დაუმტვრიეს და მანქანაში მჯდომი ერთ-ერთი მგზავრი ფიზიკურად შეურაცხყვეს.

და ეს ყველაფერი — ერთ დღეში! **სად იყო ამ დროს ბატონი წუგზარმენი? — პარლამენტში! და რას აკეთებდა? ახლა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტუტუცობდა და სულაც არ ანაღვლებდა, მისი ხელისუფლების ზონდერები რიგით მოქალაქეებზე რომ ნადირობდნენ. მაშინ არ იქნევდა პარლამენტის ტრიბუნიდან თითს არც წიკლაური და არც წარბა-გიორგი. ეგ, ხომ იცით, რომელია? კანდელაკი გიორგი, რამდენიმე წლის წინათ კოკა გუნცაძემ ტელეეთერში „პადლეცური“ რომ აარტყა.**

ერთ ძალიან საინტერესო დეტალს მოგიყვებით: **2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეებს ჯინსებსა და შავ ქურთუკებში გამოწყობილი ადამიანები რომ არბევდნენ, ხომ გახსოვთ?! ეგ დათა ახალაიას ბიჭები იყვნენ და მათ რიგებში თვითონ დათაც გახლდათ. სწორედ ამ დარბევის ერთ-ერთმა მონაწილემ გვითხრა, დათა ქაშუეთის ეკლესიასთან 80 წლამდე ასაკის ქალს დაეწია და ორჯერ ისეთი ჩაარტყა, კინაღამ** ▶

**სულ კი, 2004-დან 2009 წლამდე, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკუთარ პიარში 4 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა. ამ თანხების მობილიზება მათ ძირითადად ბიზნესის დატერორებით მოახერხეს, თუმცა 9 წლის განმავლობაში ტერორის ნაკლებობას არც რიგითი მოქალაქეები უჩიოდნენ. საკმარისია, გავიხსენოთ, „ნაცების“ მიერ უხვად დახარჯული მილიონები, ცხადი ხდება, ვინ და რატომ მიყვებიან პოლიტიკურ გვამებს სამარეში; რატომ ძვრებიან ტყავიდან ბოკერიას დაცვაში ბილდტები და ფულეები ან რატომ აიგივებენ „ვარდოსნების“ ხელშეუხებლობასთან საქართველოს „ისტორიულ არჩევანს“, ანუ ევროინტეგრაციის პერსპექტივას...**

**რეპლიკა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნოსკე აკუტაგავას „უსიერ ტყეში“ წაუკითხავს, მკვლელობის საქმეს რომ იძიებენ და 6 მოწმე სხვადასხვანაირად ყვება ამბავს, ასეთი გადასვლა არ გაუკვირდება. არადა, სიმართლე ყოველთვის ერთია და ხშირად — მწარე.

**სწორედ აკუტაგავას „უსიერ ტყეს“ ჰგავს ქართველ პოლიტიკოსთა განცხადებები და, საერთოდაც, თუ კარგად დააკვირდებით, ქართული პოლიტიკა დაემსგავსა უსიერ ტყეს მასში დაკარგული თუ გზააბნეული პოლიტიკოსებით. აკუტაგავას ნაწარმოებში გარდაცვლილი კაცი კი ძალიან ჰგავს საქართველოს საგარეო პოლიტიკას, ყველამ რომ იცის, გარდაცვლილი რომ არის და ყველა სხვადასხვაგვარად რომ ხატავს გარდაცვალების სცენას. ის ლახვარი კი, რომელმაც გარდაცვლილის გულში გაიარა, ხან ვის ეჭირა ხელში და ხან ვის. ახლა კი თავად გვიპყრია და რადგან იაპონელი აკუტაგავა ვახსენეთ, ბარემ ვთქვათ, რომ ჰარაკირის კეთების პროცესში ვართ.**

ვეჭვობ, ჩვენი თაობა ნატოში გაწევრებას ვერ მოესწრება. შვილებს კი ეგებ ის დავუბაროთ, ხელისუფლებას ტყუილების თქმას თუ არ გადააჩვევენ, ახალი მაინც მოაფიქრებინონ, რადგან **ნატოს თემას ყავლი გაუვიდა და ობამა პირდაპირ ეთერში ხომ არ დაიგინებს, არ შეგიშვებთ ნატოშიო?!**

**დავით მინდიაშვილი**

**მოკლაო. ვიღაცებმა სცადს, დათასთვის ხელი შეეშალათ, მაგრამ მან ბოლო ხმაზე იყვირა, რას აკეთებთ, მტერია და მტერს ასე უნდა მოექცეო.**

ამ ლოგიკას თუ მივყვებით, „ნაციონალებზე“ დიდი მტერი საქართველოს არ ჰყოლია და არც ჰყავს (მომავალზე ნუ დავდებთ თავს — არავინ იცის, რა მოგველის). წიკლაური და მისი მეგობრები, კარგა ხანია, აანონსებენ, დღეს თუ არა ხვალ ქუჩაში გამოსვლებს დავიწყებთო და საინტერესოა, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მათი აქცია ისევე რომ დაარბიოს, როგორც 7 ნოემბერსა და 26 მაისს დაარბია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მომიტინგეები, რას იტყვიან, პოლიციამ ძალას არ გადააჭარბაო? თუ ევროპასა და ამერიკაში კარდაკარ ივლიან და დაშავებულ ადგილებს ისე გაუშიშვლებენ ევროპელებს, როგორც თავის დროზე ია ფარულავა გაშიშვლდა ვენახში?!

ამიტომ, **როცა „ნაციონალები“ გადაწყვეტენ, წიკლაურის ცემაზე ხმაური ატეხონ და ევროპელებსა თუ ამერიკელებს საკუთარ ჩაგვრაზე ესაუბრონ, ისიც გაიხსენონ, როგორ უსწორდებოდნენ პოლიტიკურ ოპონენტებსა თუ რიგით ადამიანებს ქუჩაში და მიხვდებიან, რომ წუგზარმენი აშკარად გადარჩენილია.**

**P.S. ბოცო, კიდევ რომ დამირეკავ, იქნებ სააკაშვილის ნომერი ჩამაწერინო, რაღაც მომენატრა და მოვიკითხავ ოჯახიანად.**

**დავით მინდიაშვილი**

# რა ამოძრავებთ «ნაციონალების» უცხოელ ქომაგებს



ლუის ნავარო

**მიმდინარე სამართლებრივი პროცესის კვალდაკვალ დღე ისე არ გავა, რომ „დემოკრატიულმა დასავლეთმა“ თითო-ოროლა შეშფოთება არ გვბერტყოს. პროკურატურა მოწმეების დაბარებას ვერ ასწრებს — „ლიბერალური სამგლეთი“ ლამის ერთ ხმაში აყმუვლდეს „ნაცელიტის“ დასაცავად.**

წინა კვირას პროკურატურამ გიგა ბოკერია რომ დაკითხა, მელანი ქაღალდს არ შეშრობოდა, რომ მიხეილ სააკაშვილის მეგობარმა **კარლ ბილტმა** თავში ხელი შემოირტყა — შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ უმალვე დაწერა, საქართველოს ხელისუფლების რევანშის პოლიტიკა თავისუფალი არჩევნების გარემოს არ შეესაბამებაო; ამით „დემოკრატიის ხელყოფით“ შეძრულმა მინისტრმა გულისწყრომა გამოხატა და „ახალგაზრდა ევროპელებს“, ანუ ჩვენ სწორი გზისკენ მიგვითითა.

ანალოგიური რეაქცია ჰქონდა ბოკერიას დაკითხვაზე ამერიკელ კონგრესმენ **ჯონ ბეინერსაც**, რომელმაცსაკუთარ ვებგვერდზე კინაღამ ყველაფერი დაიბრდღვნა: „დღევანდელი შემთხვევა მხოლოდ უკანასკნელი ამბავია, რომელიც ეჭვებს აღძრავს საქართველოს მოქმედი ხელისუფლების სწრაფვას თავისუფლებისადმი, გახსნილობისადმი და დემოკრატიის ერთგულებისადმი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანა ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადებაო.

გავიხსენოთ სხვა უცხოელი მაღალჩინოსნების განცხადებებიც, დაახლოებით სამი კვირის წინათ, როცა ჟვანიას საქმეზე გამოძიება სააკაშვილის კვალს მიადგა, პრეზიდენტყოფილის დაკითხვა აუცილებელი შეიქნა. **პროკურატურამ გაბედა და დაიბარა კიდეც „ნაცების ბელადი“, მაგრამ „ბელადმა“ ქართული მართლმსაჯულება არად ჩააგდო. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ სააკაშვილის ამ „სიმამაცის“ უკან ისევ და ისევ „დემოკრატიული დასავლეთის“ მხარდაჭერა იდგა. კერძოდ, ამერიკის სენატის, თეთრი სახლის“ ადმინისტრაციისა და კონგრესის ძალუმი შეშფოთება, ურომლისოდაც „ნაცმოძრაობა“, უბრალოდ, პოლიტიკური გვამია.**

„აშშ შეშფოთებულია საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაკითხოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე საქმეზე. არავინ დგას კანონზე მაღლა, მაგრამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის ერთდროულად დაწყება ყოფილი პრეზიდენტის მონაწილეობით ლეგიტიმურ ეჭვს აჩენს პოლიტიკური დევნის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამართლებრივი და სასამართლო ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყიფეა“. — ეს განცხადება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა პროკურატურაში მიშას დაბარებისთანავე გაავრცელა. ამას მოჰყვა ფილიპ დიმიტროვის, ქეთრინ ეშტონის, შტეფან ფულესა და სხვათა დამაფიქრებელი შეფასებებიც. განსაკუთრებით სიცილ-კისმომგვრელი იყო მეთიუ რამდენიმეჯერ ვახსენე და, სხვათა შორის, **ცნობილია ისიც, როგორ გადაუხადა მას სააკაშვილმა ქორწილი სტამბულის ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში. ეს ქორწილი კოლოსალური თანხა დაუჯდა საქართველოს ბიუჯეტს, მაგრამ „ნაცებმა“ ესეც არ გვაკმარეს, თუ წელში გაწყვეტაა, ბარემ ბოლომდე იყოსო და ბინაც გვაყიდინეს „სტრატეგიული პარტნიორისთვის“.** აი, ამ ყველაფრის შემდეგ რა გასაკვირია, რომ პატივცემულ ბრაიზას მზე და მთვარე მიშაზე ამოსდის. **რაც შეეხება „ვარდოსნების“ ორ მთავარ დასაყრდენ ორგანიზაციას — ენდიაის და აირაის, ერთმაც და მეორემაც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ გამოქვეყნებული კვლევის პირველივე შედეგებით** (რომლითაც „პრობიძინერ“ მაამბლობას ისეთივე წარმატებით აკეთებდა „შადიმანა“ ამ ყველაფერს; ჩვენ კი რეიტინგებში ვნახულობდით შედეგს, რომ “ჰალსტუხიანი ხვლიკი” მეორე ადგილზე იყო.

ახლა ორიოდე სიტყვით იმ ლობისტური კომპანიების შესახებაც მოგახსენებთ, რომელთა წყალობითაც მიხეილ სააკაშვილის კრიმინალურმა ბანდამ 9 წელი იბოგინა და მომავალში კიდევ რა უბედურებას გვიქადიან, კაცმა არ იცის. მაშ ასე, **2012 წლის გაზაფხულზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ამერიკულ ლობისტურ კომპანია Podesta Group-თან გააფორმა, უფრო ზუსტად, გააგრძელა ხელშეკრულება. ამ კომპანიას ამერიკაში სააკაშვილის მხარდამჭერი კამპანია უნდა ეწარმოებინა და ამისთვის მას ერთი წლის განმავლობაში 600 ათასი აშშ დოლარი გადაუხადეს.** უშუალოდ

**ლუის ნავარო და მისი «სამეძაო კანტორა» მარტო «ნაცელიტას» არ უწევდა მომსახურებას, როგორც სანდო წყარომ გვაცნობა, მათი «სერვისით» სხვა სუბიექტებიც არანაკლებ ხშირად სარგებლობდნენ, მაგალითად, «ქრისტიან-დემოკრატები», რესპუბლიკური პარტია და «ნაცრეჟიმთან» იდეოლოგიურად დაკავშირებული რიგი ოპოზიციური პარტიებიც**

ბრაიზას კომენტარი: სააკაშვილის დაბარების გამო ამბობენ, რომ შესაძლოა, საქართველო მაპს არც იმსახურებდესო(!), ანუ **ხელისუფლება, ფაქტობრივად, არჩევანის წინაშე დააყენეს — ან ხელშეუხებლობა მიშას, ან უარი ევროინტერგაციას.**

ახლა ამ ყველაფერს რისთვის ვიხსენებ ასე ქრონოლოგიურად, **მიუხედავად იმისა, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ყველას ეგონა, გაბანკროტებული „ნაცმოძრაობა“ სულს გააფრთხობდა, ფაქტია, დღეს იგი ოპოზიციის გურუა. ეს კი შემთხვევით არ ხდება, ამის მიზეზი 9 წლის განმავლობაში დათესილ პოლიტიკურ ინვესტიციებში უნდა ვეძებოთ. დიახ, სააკაშვილმა თავის დროზე მილიონები დახარჯა იმისთვის, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე მუდმივი ელექტორატი ჰყოლოდა. ბრაიზები, ეშტონები, ფულეები და ძმანი მათნი სულ ხელისგულზე ატარა, ცივი ნიავი არ მიაკარა და ეს ყველაფერი ჩვენი — ხალხის ჯიბეებიდან ატყავებული სახსრებით.** ბრაიზა ეწეოდნენ, როგორც თავის დროზე — „პრომიშისტურს“) **პირწმინდად დაამტკიცეს, რომ პოლიტიკურ პროსტიტუციაში ბადალი არ ჰყავთ.** პირადად ლუის ნავარო წლების განმავლობაში ჩემპიონი იყო ამ საქმეში და, მისი შუბლის ძარღვის დიამეტრით თუ ვიმსჯელებთ, მომავალშიც, ალბათ, ტოლს არავის დაუდებს. ისე, პროსტიტუციაზე რადგან ვსაუბრობთ, ისიც უნდა ითქვას, რომ **ლუის ნავარო და მისი „სამეძაო კანტორა“ მარტო „ნაცელიტას“ არ უწევდა მომსახურებას, როგორც სანდო წყარომ გვაცნობა, მათი „სერვისით“ სხვა სუბიექტებიც არანაკლებ ხშირად სარგებლობდნენ, მაგალითად, „ქრისტიან-დემოკრატები“, რესპუბლიკური პარტია და „ნაცრეჟიმთან“ იდეოლოგიურად დაკავშირებული რიგი ოპოზიციური პარტიებიც.** ქდმ-ს აწ უკვე ყოფილი ლიდერი გიორგი თარგამაძე, თურმე, ყოველ ქალთა დღეს ძვირფას სამკაულებს ჩუქნიდა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში მომუშავე გოგონებს. ძნელი მისახვედრი არ არის, რისთვის ჯგუფს, რომელსაც „ნაციონალების“ ლობირება უნდა უზრუნველეყო ამერიკის მთავრობასთან, ჯონ ანდერსონი და მოლი მაკკიუ ხელმძღვანელობდნენ, ხოლო თვით ამ კომპანიის თავმჯდომარე ტონი პოდესტა ვაშინგტონში ერთ-ერთი მძიმეწონიანი ლობისტია.

შეგახსენებთ, რომ **სააკაშვილის ხელისუფლებას Podesta Group-ი 2010 წელსაც ჰყავდა დაქირავებული და მაშინაც 600 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა საქართველოს ბიუჯეტმა. ცნობისთვის, Podesta Group-ი 1988 წელს ძმებმა — ჯონ და ტონი პოდესტებმა დააფუძნეს და ამ ფირმის შემოსავალმა მარტო ერთი წლის განმავლობაში (2011 წელს) 27 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.**

როგორც ხედავთ, ხარჯები ასტრონომიულ ციფრებს აღწევს, მაგრამ რეჟიმის ამბიციები ამით არ დაკმაყოფილებულა, იმავე **2012 წლის იანვარში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ შეთანხმება გააგრძელა ძველ კონტრაქტორ Orion Strategy-სთანაც, რომელიც გაგიკვირდებათ და კონგრესმენ ჯონ მაკკეინის ყოფილი მრჩევლის რენდი შუნემონის დაარსებულია. Orion Strategy-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა 2012 წლის ივნისში გაუვიდა. ამ ხნის განმავლობაში მას ხელისუფლებამ 270 ათასი აშშ დოლარი გადაუხადა.**

2010 წელს სააკაშვილის მთავრობამ კიდევ ერთი კონტრაქტი დადო. კერძოდ, **„ნაცრეჟიმმა“ ამერიკის წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთი ლიდერის — დიფ გეფჰარდტის ლობისტური ფირმა Gephardt Group Government Affairs** დაიქირავა. **ამ ფირმასთან გაფორმებულმა ერთწლიანმა კონტრაქტმა, ფაქტობრივად, რეკორდი მოხსნა — იგი, საერთო ჯამში, 436 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა.**

**სულ კი, 2004-დან 2009 წლამდე, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკუთარ პიარში 4 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა. ამ თანხების მობილიზება მათ ძირითადად ბიზნესის დატერორებით მოახერხეს, თუმცა 9 წლის განმავლობაში ტერორის ნაკლებობას არც რიგითი მოქალაქეები უჩიოდნენ.** მოკლედ, **საკმარისია, გავიხსენოთ, „ნაცების“ მიერ უხვად დახარჯული მილიონები, ცხადი ხდება, ვინ და რატომ მიყვებიან პოლიტიკურ გვამებს სამარეში; რატომ ძვრებიან ტყავიდან ბოკერიას დაცვაში ბილდტები და ფულეები ან რატომ აიგივებენ „ვარდოსნების“ ხელშეუხებლობასთან საქართველოს „ისტორიულ არჩევანს“, ანუ ევროინტეგრაციის პერსპექტივას...**

მიუხედავად ყველაფრისა, როგორც ჩანს, „ნაცისტების“ ჩამოწერა ჯერ კიდევ ძალიან ადრეა. „ბელადი“ ქვეყნიდან გაქცეული კია, მაგრამ მას ფარ-ხმალი არ დაუყრია — პირიქით, გამოდის და რიხიანად გვპირდება, ევრომაიდანს დავაწყებთო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ მას ამის მოზღვავებული სურვილი აქვს. ხუმრობა იქით იყოს და, **როგორც სანდო წყარომ გვაცნობა, „მთავარი ოპოზიცია“ მართლა სერიოზულად ემზადება არეულობისთვის. კულუარული ინფორმაციით, მათ უკვე ჰყავთ ათასამდე ზონდერი, რომელთაგან თითოეულს ,სულ ცოტა, ხუთი კაცის გამოყვანა ევალება.** 5000 ამრევი, დამეთანხმებით, ცოტა არ არის, ასე რომ, წინ სერიოზული პროცესები გველის. ვნახოთ, ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო. **იმედი ვიქონიოთ, „მიშზანდების“ ქმედებებს საქართველო საბოლოოდ არ გადაჰყვება...**

**ჯაბა ჟვანია**

მაპზე უკეთესი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აუცილებლად განიხილავს“ არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მიანიჭებს! ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ 2008 წლის გაზაფხულზე, ბუქარესტის სამიტზე უკვე განიხილეს და „მაპზე უკეთესით“ გამოგვისტუმრეს! ამ „უკეთესს“ კი ისედაც შლეგი სააკაშვილის გადარევა და აგვისტოს ომი მოჰყვა! ახლა კი საქართველოს და, უპირველესად, ქართველების ამოცანა არა გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღება, არამედ გადარჩენაა, სახელმწიფოს და სახემწიფოებრიობის გადარჩენა, რაც ვერ მოახერხეს უკრაინელებმა!**

# ობამამ პირში უძრახა

## ვაშინგტონმა ბრიუსელიდან დაგვიპაპინა!

**ქართველი ხალხის მეგობარი აშშ-ის პრეზიდენტი ობამა აღმოჩნდა. რასაკვირველია, დიდ განსწავლულობას ვერ დავწამებთ ყველაზე გავლენიან აფროამერიკელს, რომელსაც კოლიზეუმი გოლფის მოედანს ახსენებს, და ვერც ქართული ენამზეობის მარგალიტების ცოდნას მოვთხოვთ, მაგრამ ქართველ პოლიტიკოსთაგან ზოგიერთის მოყვრობასაც შესანიშნავად შეიფერებდა, ისე ალალად უძრახა პირში. მისმა ნათქვამმა მწარე სიმართლემ, მართალია, ჩვენი პოლიტიკური სპექტრი შეაფიქრიანა, მაგრამ ნატოზე ჩაციკლულები კვლავაც დაზეპირებული მანტრების შთაბეჭდილების ქვეშ არიან. თითქმის 12 წლის წინ ნატოს კარზე პირველი დაკაკუნების და მას შემდეგ მუდმივი ხვეწნის პროცესი მანამდე გაიწელა, სანამ საქართველომ სამსხვერპლოზე ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, მშვიდობიანი მოსახლეობისა და ასეულობით სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე არ მიიტანა აგვისტოს ომში და ავღანურ ოპერაციებში.**




ამ მსხვერპლს გამართლება რომ არ აქვს, წესით, ქართველ პოლიტიკოსებს უნდა ესმოდეთ, სულ ცოტა პასუხისმგებლობის გრძნობა რომ ჰქონდეთ. მაგრამ მარადიული ინფანტილიზმითა და კერპთაყვანისმცემლობით დაავადებული ადამიანებისთვის არაფერს ნიშნავს მსხვერპლი, თუკი უშუალოდ მათ და მათი ოჯახის წევრებს არ შეეხება. ნუ შემეკამათებით: არც აგვისტოს ომში და არც ე. წ. სამშვიდობო ოპერაციებში არც ერთი პოლიტიკოსის თუ სხვა სახელგასმენილი პერსონის ოჯახის წევრი არ დაღუპულა! არავისგან მოვითხოვ მსხვერპლს და არავისი სიკვდილი არ მსურს, მაგრამ, როცა სხვის შვილებს სასაკლაოზე უშვებ და შენსას საზღვარგარეთის პრესტიჟულ სასწავლებელში მშვიდად დააბინავებ, იქ მორალზე საუბარი ზედმეტია. აღარაფერს ვამბობ სახელმწიფო ინტერესებზე.

**ახლაც, პრეზიდენტ ობამას „ცივმა შხაპმაც“ კი ვერ აუხილა თვალი ზოგიერთს, მიუხედავად იმისა, რომ ბრუციანების მმართველობა დამთავრდა და დღევანდელ ხელისუფლებას წინამორბედის შეცდომებზე მაინც უნდა ესწავლა. თუმცა არა, დღევანდელიც კლიშეების ტყვეობაში მოექცა და თავის მართლება დაიწყო, — ჩვენი არჩევანი ნატოა! ეს ისმოდა და ისმის ყოველი მხრიდან; მაშინაც კი, როცა მათგან, ნატოელთაგან, არავინ მოითხოვდა ერთგულების დამტკიცებას, გერები დაჟინებით გვირითმავდნენ ოდებს ნატოზე!**

2011 წლის სექტემბერში, „გაერთიანებული დემოკრატების“ მაშინდელი ლიდერი „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში ღიად აცხადებდა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება განუხორციელებელი ამოცანა იყო, მით უმეტეს აგვისტოს ომის შემდეგ და იმ პირობებში, რომლებიც სააკაშვილმა შექმნა თავისი შლეგი პოლიტიკით, ზუსტად ორი თვის შემდეგ კი კატეგორიულად უარყო, ასეთი რამ არ მითქვამსო. და თავისივე ნათქვამი უარყო მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დროისთვის ბიძინა ივანიშვილის ახლადშექმნილ გუნდს „ნაცმოძრაობის“ ლიდერები რუსეთის მიმართ სიმპათიებს უკიჟინებდნენ, ამიტომაც ამათ ნატოს ქებას მოუმატეს. ეს იყო და არის შიშის, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობისა და ხალხის მოტყუების თვალსაჩინო მაგალითი. არადა, უპრიანი იქნებოდა, ხალხისთვის პირდაპირ ეთქვათ, რომ **ნატოსა და ევროკავშირის წევრობა მხოლოდ ამერიკელებისა და ევროპელებისგან ჩვენს გასატუტუცებლად გადმოგდებული სატყუარა იყო და მეტი არაფერი.**

ახლაც ასე ხდება. პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** ღიად განაცხადა, რომ **„არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად არ დგანან ნატოში გაწევრიანების გზაზე. არ არსებობს ახლა ნატოს გაფართოების გეგმა“**, და მაშინვე გამოჩნდნენ „თარგმანში დაკარგულები“ და ისე ისტერიულად დაიწყეს იმის მტკიცება, თუ რას გულისხმობდა აშშ-ის პრეზიდენტი, თითქოს რთული ფილოსოფიური ტრაქტატი წარმოთქვა და არა ორადორი წინადადება, რომლებშიც ცხადად ჩანს **„არ დგანან“** და **„არ არსებობს“**.

ალბათ, კიდევ უფრო აქტიურად იკეკლუცებდნენ ამერიკულ ინგლისურში თავიანთი განსწავლულობით, რომ არა პრემიერმინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** მოკლე კომენტარი: **„ჩვენთვის მიუღებელია მოსახლეობისთვის ცრუ მოლოდინების შექმნა და შემდეგ მოსახლეობის იმედგაცრუება. ჩვენ უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები, გავაგრძელოთ რეფორმები და გზა ევროკავშირისკენ. ნატოსთან დაკავშირებული მოლოდინები მცდარი არ უნდა იყოს. შესაბამისად, პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა ის, რაც რეალობაა, ვინაიდან ნატოს გაფართოება ამ ეტაპზე არ იგეგმება“.**

**თავიდანვე ცხადი იყო, რომ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებული პროცესების გამო საქართველოს ხელისუფლებების ნატოსკენ სწრაფვა არ იყო საქართველოს გზა ტაძრისკენ!**

**ნატოს გაფართოება რომ „ამ ეტაპზე“ კი არა, თვალსაწიერ მომავალში არ იგეგმება, კარგად იციან ამერიკელმა და ევროპელმა პოლიტიკოსებმა და არაერთხელ თქვეს კიდეც; ამას ადასტურებს მსოფლიოს ახალი დღის წესრიგი, რომელსაც უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა დაუდო დასაბამი, მაგრამ რას შეასმენ ჩვენს შინნაზარდ თუ შინნახად პოლიტიკოსებს?** ამიტომაც დაიწყეს საგულდაგულო ინტერპრეტაციები. იქამდე მივიდნენ, რომ ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა **ბრიჯიტ ბრინკმა** პრეზიდენტის გულთმნისნობა შეითავსა და განაცხადა, საქართველოსთვის სამოქმედო გეგმის მინიჭების საკითხს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აუცილებლად განიხილავსო: **„ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და საქართველოს გაწევრიანებას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის ნატოში და ასევე, მხარს უჭერს იმ რეფორმების გატარებას, რომლებიც საჭიროა ამ მიზნის მისაღწევად. ნება მომეცით, მოგახსენოთ, რომ პრეზიდენტ ობამას კომენტარი შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ ამ წუთას, ამ ეტაპზე საქართველოს ამოცანაა მიიღოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა და არა ამ წუთასვე გახდეს ნატოს წევრი. ამ საკითხს ნატოს სამიტზე განიხილავენ მიმდინარე წლის მიწურულს და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აუცილებლად განიხილავს მაპის მინიჭების საკითხს საქართველოსთვის. ნატოს კარი ღიაა მასში გაწევრიანების ყველა მსურველისთვის“.**

აი, ასე. ახლა გაზაფხულია და იონჯაც ამოვიდა სიჯიუტით ცნობილი ცხოველებისთვის, ამიტომაც ბრინკმა ქართველი პოლიტიკოსები იონჯით დააიმედა და წლის დამლევისთვის ამ იონჯას უკვე დაპრესილს მიართმევს. **„აუცილებლად განიხილავს“ არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მიანიჭებს! ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ 2008 წლის გაზაფხულზე ბუქარესტის სამიტზე უკვე განიხილეს და „მაპზე უკეთესით“ გამოგვისტუმრეს! ამ „უკეთესს“ კი ისედაც შლეგი სააკაშვილის გადარევა და აგვისტოს ომი მოჰყვა! ახლა კი საქართველოს და, უპირველესად, ქართველების ამოცანა არა გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღება, არამედ გადარჩენაა, სახელმწიფოს და სახემწიფოებრიობის გადარჩენა, რაც ვერ მოახერხეს უკრაინელებმა!**

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა **ირაკლი ალასანიამ** კი ორიოდ დღის წინათ ნატოს კვირეულის ფარგლებში გამართულ კონფერენციაზე „გზა ნატოსკენ: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაფართოება“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ **„ომი არის პოლიტიკის გაგრძელება. ჩვენ ვიცით, რა მოხდა უკრაინაში, რა ხდება რეგულარულად რეგიონში, ეს იმის დამადასტურებელია, რომ რუსეთის პოლიტიკა არ შეიცვლება უახლოეს მომავალში. ჩვენ გვჭირდება, ერთად განვავითაროთ და გამოვიყენოთ ძალიან გონივრული ეკონომიკური სანქციები სამხედრო შემაკავებელთან ერთად, რაც ნიშნავს, რომ სამხედრო ინფრასტრუქტურა, სამხედრო აქტივები უნდა განთავსდეს არა მხოლოდ ნატოს წევრ ქვეყნებში, არამედ პარტნიორ ქვეყნებშიც. საქართველო მზად არის, გახდეს ნატოს შემდეგი წევრი“.**

ვინ-ვინ და ირაკლი ალასანიამ შესანიშნავად იცის (უნდა იცოდეს!), რა შეიძლება მოჰყვეს ნატოს „სამხედრო აქტივების“ განთავსებას საქართველოში: **თითქოს სოხუმისა და ცხინვალის პრობლემები არ გვქონდეს მოსაგვარებელი, ამჯერად უკვე სხვა რეგიონებშიც გააქტიურდება სეპარატიზმი, რისი საგანგაშო სიგნალებიც უკვე გაისმა „მოძმე ერის“ წარმომადგენელთაგან.** და თუკი იცი, „რა მოხდა უკრაინაში“ (მოხდა კი არა, ჯერ კიდევ ხდება!), მაშ, რა გრჯის, რატომ აბრუნებ საქართველოს იქ, საიდან ამოსვლასაც ორი ათწლეული მოანდომა და თანაც დიდი დანაკარგებით? საქართველოს მზადყოფნის შესახებ კი პრეზიდენტმა ობამამ უკვე ისაუბრა: მზადყოფნა რა სათქმელია, თურმე გაწევრიანების გზაზეც არ ვმდგარვართ და, „ნატოს დირექტორის“ ნათქვამს თუ მიაყურისძირებთ, ნატოში კი არა, ზუსტად იქ აღმოჩნდებით, რაც ახლა გაიფიქრეთ...

მართალი გითხრათ, გაკვირვებული ვარ იმ უსაშველო უსინდისობით, რომელშიც პოლიტიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ყველა მათგანს თუ არა, ზოგიერთს ხომ მაინც აქვს წაკითხული ნატოს წესდება? მაშ, რატომ გვეუბნებიან, რომ ტერიტორიებდაკარგულ საქართველოს ნატოში მიიღებენ? იქნებ სოხუმს და ცხინვალს საქართველოს ქალაქებად აღარც განიხილავენ ჭკვიანი მტრები და უგნური მოყვრები და სურთ, რომ ჩვენც შევეგუოთ ამას? ეს არც იქნება გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ სამწუხარო რეალობას, რომ **არც ერთ პოლიტიკურ ძალას პრიორიტეტად აღარ მიაჩნია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა — სამშობლოს გაერთიანება! უფრო მეტიც, ნატოზე უაპელაციო განცხადებებით საფრთხეს უქმნიან საქართველოს სხვა რეგიონებსაც და ხელს უწყობენ სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების** ▶

**ქართველ პოლიტიკოსებს ახარებთ, რომ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის ნაციონალური ინტერესების ნაწილი გახდა საქართველო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველ პოლიტიკოსებს გააზრებული არ აქვთ საქართველოს ნაციონალური ინტერესები და ვაშინგტონში თუ ბრიუსელში საქართველოს ინტერესებს კი არ იცავენ, არამედ საქართველოში იცავენ ვაშინგტონისა და ბრიუსელის ინტერესებს. იგივე ითქმის მოსკოვისა თუ ანკარის, თეირანისა თუ პეკინის ინტერესების გამტარებლებზეც.**

მაპზე უკეთესი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **პროცესს. და კიდევ, სამ სახელმწიფოსთან დაუდგენელი საზღვრების პირობებში ან ნატო როგორ მიგვიღებს და ან ევროკავშირი?**

სხვას რა უნდა მოჰკითხო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტიც კი აცხადებს, რომ თურმე „ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის არჩევანი... ქართველი ერის ისტორიული არჩევანია“! ასეთ სიბრიყვეებს ადრე სააკაშვილისგან ვისმენდით და ახლა **გიორგი მარგველაშვილიც** გაგვანებივრებს ქართველი ერის ისტორიის „ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით“.

**„ობამას განცხადება განპირობებულია იმ დამოკიდებულებით, რომელიც არის რუსეთის ფედერაციის მიმართ და პოლიტიკა არის აღებული იმ მიმართულებით, რომ შეეცადონ და რუსეთის გარიყვის გარეშე რუსეთი ჩართონ იმ მშვიდობიან და დიპლომატიურ კონტექსტში, რომლითაც ცხოვრობს მთელი კაცობრიობა. ვერ ვიტყოდი, რომ ბარაკ ობამას განცხადება იყო განცხადება, რომელსაც დიდი ხანი ველოდი და სწორედ ასეთი განცხადების მოსმენა მენდომებოდა. ამავე დროს, რეალობა ისაა, რომ ჩვენი ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის არჩევანი არის ძალიან ნათელი და ეს არ არის მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ არჩევანი, ეს ქართველი ერის ისტორიული არჩევანია. როცა საუბარია უელსის სამიტზე, უელსის სამიტზე გაწევრიანების თემა არც მანამდე, თუნდაც რამდენიმე თვის წინ ყირიმის მოვლენებამდე და არც მერე არ განიხილებოდა. უელსის სამიტის ბრენდი საერთოდ იყო რომ ეს არ არის გაფართოების სამიტი, შესაბამისად, ჩვენ უელსის სამიტზე არ მოველოდით ნატოში გაწევრიანებას. ეს თემა ალბათ არავისთვისაა უცხო და არც არავინ ფიქრობს რომ საქართველო ან უკრაინა უელსის სამიტზე ნატოში წევრიანდებოდა“,** — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში.

ნამდვილად საპრეზიდენტო გამოსვლაა, დამამშვიდებელი... თუმცა მარგველაშვილისგან მეტს არც უნდა მოველოდეთ, მაგრამ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **ალექსი პეტრიაშვილი,** რომელიც ხელფასს მხოლოდ იმისთვის იღებს, რომ საქართველოს მარგველაშვილისეული „ქართველი ერის ისტორიული არჩევანი“ რეალობად აქციოს, წესით, უფრო მეტად ინფორმირებული უნდა იყოს.

**„არც არავის უთქვამს, რომ რეალურად ხვალ-ზეგ შეიძლება საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები გახდნენ, მაგრამ ძალიან აქტიურად და ინტენსიურად განიხილება და ერთსულოვნება არის. მე ვთვლი, რომ ეს არის ნატოს პრესტიჟის საქმე. ნატოს პოლიტიკის რეალურად ურყეობის დემონსტრირების საქმე, რომ საქართველო და საქართველოს მთავრობა თავისი პოლიტიკის სიმტკიცეს და ნატოში გაწევრიანების ურყევ ნებას ადასტურებს“,** — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა ისე, რომ, მგონი, პრეზიდენტ ობამას ნათქვამს არც კი დაუფიქრდა. „საქართველოს მთავრობა თავისი პოლიტიკის სიმტკიცეს და ნატოში გაწევრიანების ურყევ ნებას“ რომ ადასტურებს, ამას კი არ გაუსვა ხაზი აშშ-ის პრეზიდენტმა, არამედ იმას, რომ **„არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად არ დგანან ნატოში გაწევრიანების გზაზე. არ არსებობს ახლა ნატოს გაფართოების გეგმა“!**

აქ სულ ორი წინადადებაა. პირველში წერია, რომ (გავამარტივოთ) **„საქართველო არ დგას ნატოში გაწევრიანების გზაზე“.** დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილიცა და პეტრიაშვილიც არ არიან იმ დონის ბრიყვები, რომ წაკითხულ-მოსმენილიდან აზრის გამოტანა ვერ შეძლონ. ობამა ამბობს, არ დგასო და ესენი (პრეზიდენტი და მინისტრი) კვლავაც აბდაუბდას გვთავაზობენ იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ გვითხრან: ყველაფერი დამთავრდა — **დავრჩით, 2008 წელს რომ „მაპზე უკეთესი“ მოგვცეს, იმის ამარა! ანუ ჩვენ ამ „მაპზე უკეთესით“ სადღაც სხვაგან მივდივართ და არა ნატოში გაწევრიანების გზაზე. თავიდანვე ცხადი იყო, რომ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა სირცეში განვითარებული პროცესების გამო საქართველოს ხელისუფლებების ნატოსკენ სწრაფვა არ იყო საქართველოს გზა ტაძრისკენ! ყველამ კარგად იცოდა და იცის, რომ რუსეთი არ დაუშვებდა და არ დაუშვებს ასწლეულების მანძილზე თურქეთთან არაერთი ომით მოპოვებულ ტერიტორიებზე ნატოს, ანუ თურქეთის ჯარების განთავსებას!**

ალექსი პეტრიაშვილი კი განაგრძობს: **„არაფერი განსაკუთრებული, ხელების ჩამოსაყრელი და იმედგაცრუების შემქმნელი არ უთქვამს აშშ-ის პრეზიდენტს, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ყველაზე მთავარი არის ის, რომ ნატო არის ერთსულოვანი. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველო აუცილებლად მიიღებს პროგრესის ამსახველ გადაწყვეტილებას. იქნება ეს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა თუ იქნება ეს რაიმე ახალი, სხვა შემოთავაზება, ამას მომავალი თვეები გვაჩვენებს“.**

**ყველამ კარგად იცოდა და იცის, რომ რუსეთი არ დაუშვებდა და არ დაუშვებს ასწლეულების მანძილზე თურქეთთან არაერთი ომით მოპოვებულ ტერიტორიებზე ნატოს, ანუ თურქეთის ჯარების განთავსებას!**

აი, ეს **„რაიმე ახალი, სხვა შემოთავაზება“** რა არის, მაპზე უკეთესი? მაგრამ ის ხომ უკვე მივიღეთ 2008 წელს, ბუქარესტის სამიტზე? ახლა **მაპზე უკეთესზე უკეთესს** გულისხმობს **„პროგრესის ამსახველი გადაწყვეტილება“?** საინტერესოა, რისთვის ვუხდით ხელფასს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს და მის აპარატს, თუკი, ობამას თქმით, საქართველო მაინც არ დგას ნატოში გაწევრიანების გზაზე? ან საერთოდ, რა საჭიროა ასეთი მინისტრი და მისი აპარატი, რომელთა მუშაობის შედეგი იყო და არის აშშ-ის პრეზიდენტის ამგვარი განცხადება?

**არც ერთ პოლიტიკურ ძალას პრიორიტეტად აღარ მიაჩნია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა – სამშობლოს გაერთიანება! უფრო მეტიც, ნატოზე უაპელაციო განცხადებებით საფრთხეს უქმნიან საქართველოს სხვა რეგიონებსაც და ხელს უწყობენ სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების პროცესს!**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **თინა ხიდაშელიც** „თარგმანში დაიკარგა“, მაგრამ ისე ოსტატურად მონახა გამოსავალი, რომ თვით აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელსაც კი გადააჭარბა. ხიდაშელის თქმით, ობამას არ უთქვამს, რომ საქართველო ვერასოდეს გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი და მან მხოლოდ ის თქვა, რომ ნატოს უახლოეს სამიტზე გაფართოება და ორგანიზაციაში საქართველოს მიღება დღის წესრიგში არ დგას. გმადლობთ, თინათინ, მაგრამ ეს შენეული მოქართულება იმას ჰგავს, კაცი 20 წლის მანძილზე საკუთარი ქორწინების თვედ სექტემბერს რომ ასახელებს და ეს სექტემბერიც ყოველ წელს დგება, მაყრიონს კი უკვე იმედიც გადაეწურა... თანაც **ობამას „უახლოესი სამიტი“ საერთოდ არ უხსენებია,** ასე თქვა: **„არ არსებობს ახლა ნატოს გაფართოების გეგმა“!**

საინტერესო ინგლისური კი გცოდნიათ რესპუბლიკელებს, იქნებ პრემიერ ღარიბაშვილსაც ასწავლოთ, კარგად ვერ გაუგია და აცხადებს **„ჩვენ უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები, გავაგრძელოთ რეფორმები და გზა ევროკავშირისკენ. ნატოსთან დაკავშირებული მოლოდინები მცდარი არ უნდა იყოს“**-ო.

თინა ხიდაშელი ერთ-ერთია იმ პოლიტიკოსთაგან, რომლებისთვისაც სპორტის ეროვნული სახეობა გახდა ევროატლანტიკური სატყუარათი ხალხის გამოთაყვანება. მოუსმინეთ და თავადაც დარწმუნდებით, რომ კლინიკა თუ არა, არც მსუბუქი მდგომარეობაა.

**„დღეს საქართველოს ხელისუფლება ისე მოქმედებს, როგორც არასოდეს არ უმოქმედია და მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ სექტემბრის ნატოს სამიტზე სერიოზული მონაგარით წამოვალთ... დიახ, ყველას თავისი ნაციონალური ინტერესები აქვს, აშშ-ს, გერმანიას, საფრანგეთს და ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი ნაციონალური ინტერესები, ოღონდ უკრაინის მოვლენების შემდეგ იმ ნაციონალური ინტერესების ნაწილი გახდა საქართველო და ეს ავიწყდებათ. სწორედ ეს არის ის მომენტი, რომელიც ჩვენ გვიხსნის შესაძლებლობას, რომ უფრო სწრაფად გავიაროთ ის პროცესი, რომელიც წინ გველოდება მათ შორის მაპის მიღებისთვის. მე ველოდები მომავალ სამიტზე დასავლეთის ღია და აქტიურ პასუხს რუსეთისთვის და ამ პასუხის ერთ-ერთი ვერსია არის საქართველოსთვის მაპის მინიჭება. არის მეორე ვარიანტიც, რომ დებულებიდან ამოიღონ ის ნაწილი, რომელიც წევრობამდე გასავლელ პროცედურებს და წინასწარ მაპს გულისხმობს და გასაწევრიანებლად ღია მოწვევა გვქონდეს განსხვავებით იმ მდგომარეობისგან, რომელშიც ვართ... მინდა, მივუსამძიმრო მათ, ვისაც იმედი მიეცათ, რომ საქართველოში დამთავრდა დასავლეთი, იმიტომ, რომ საქართველოში ახლა, ივნისში, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით იწყება რეალურად დასავლეთი. საქართველო ივნისიდან ოფიციალურად ხდება ევროპა. მოემზადონ, იმიტომ, რომ მათთვის ეს ყველაზე საუკეთესო ვარიანტი არ იქნება, რაც შეიძლება დაემართოთ, მაგრამ ეს გარდაუვალია და აუცილებლად მოხდება,“** — განაცხადა თინა ხიდაშელმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში.

ამ სატელევიზიო გამოსვლაში თინა ხიდაშელი იმდენ სასურველს (?) ასაღებს რეალობად, რომ თვით ყველაზე დიდ მედასავლეთესაც კი გააოცებს. მხოლოდ ერთი ქვეყნის მაგალითს შემოგთავაზებთ: **თურქეთი გაეროს უშიშროების საბჭოს, ევროპის საბჭოს, ნატოს, OECD-ს, OSCE-ს, ბისეკის და G-20-ის დამფუძნებელი წევრია, ევროკავშირში სრულუფლებიან წევრობაზე მოლაპარაკება კი 2005 წელს დაიწყო (და ეს პროცესი, სავარაუდოდ, სულ მცირე, 15 წელს გაგრძელდება); მანამდე ევროპის ეკონომიკური საბჭოს ასოცირებული წევრი გახდა 1963 წელს, საბაჟოს კავშირის წევრი კი — 1995 წელს, ნატოს წევრია 1952 წლიდან.** ვფიქრობ, ეს მონაცემები სრულიად საკმარისია ლოგიკური შეკითხვის დასასმელად: **არის თუ არა თურქეთი „ოფიციალურად ევროპა“, რასაც თინა ხიდაშელი საქართველოს „უწინასწარმეტყველებს“?**

აი, ამიტომ არ სჯერა ქართველ ხალხს პოლიტიკოსების, რომლებიც მათთვის სასურველს რეალობად წარმოგვიჩენენ და ხალხს ცრუ მოლოდინში ამყოფებენ.

ასეც რომ მოხდეს და **„დებულებიდან ამოიღონ ის ნაწილი, რომელიც წევრობამდე გასავლელ პროცედურებს და წინასწარ მაპს გულისხმობს და გასაწევრიანებლად ღია მოწვევა გვქონდეს“,** რა ვუყოთ ნატოს წესდების მეხუთე მუხლს, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა ომი უნდა დაიწყონ ნებისმიერი იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც კონფლიქტი ექნება ნატოს წევრ სახელმწიფოსთან?! **ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი ნატოს წევრი სახელმწიფოები საქართველოს რუსეთისგან დაიცავენ... საქართველოს ტერიტორიაზე!** თუმცა, ამის წარმოდგენა არც გჭირდებათ, უკრაინა ისე „დაალომბარდეს“ ევროპის სახელმწიფოებმა თავიანთი, როგორც თინა ხიდაშელი ბრძანებს, **„ნაციონალური ინტერესების“** გათვალისწინებით, რომ მხოლოდ უაღრესად დიდი შეშფოთებით შემოიფარგლნენ. **შემდეგ კი გაახსენდათ: საფრანგეთს — სამხედრო მრეწველობა, იტალიას — მძიმე მრეწველობა, გერმანიას — ეკონომიკა, დიდმა ბრიტანეთმა კი გაააქტიურა მოლაპარაკებები გაზის შესყიდვის თაობაზე პირდაპირ... რუსეთისგან! სანქციები კი... მაგ სანქციებზე რუსეთშიც იცინიან და ევროპაშიც; ალბათ, უკრაინაშიც, ოღონდ სიმწრით! ჩვენ ეს ყველაფერი უკვე ვნახეთ, ვეღარ გაგვაკვირვებენ!**

გაიხსენეთ, 2010 წლის მაისში რა განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ კონგრესისადმი მიმართვაში: საქართველოში არსებული მდგომარეობა რუსეთთან ბირთვული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად დაბრკოლებად აღარ მიმაჩნიაო. მან იქვე აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება აშშ-ის უსაფრთხოებას და თავდაცვისუნარიანობას გაამყარებდა. ასე დაივიწყეს საქართველო ომიდან 2 წლის თავზე და ეს სრულიად ბუნებრივია — ამერიკელებისთვის და ევროპელებისთვის უპირველესი მათი სახელმწიფო ინტერესებია! **ქართველ პოლიტიკოსებს კი ახარებთ, რომ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის ნაციონალური ინტერესების ნაწილი გახდა საქართველო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველ პოლიტიკოსებს გააზრებული არ აქვთ საქართველოს ნაციონალური ინტერესები და ვაშინგტონში თუ ბრიუსელში საქართველოს ინტერესებს კი არ იცავენ, არამედ საქართველოში იცავენ ვაშინგტონისა და ბრიუსელის ინტერესებს. იგივე ითქმის მოსკოვისა თუ ანკარის, თეირანისა თუ პეკინის ინტერესების გამტარებლებზე.**

ნატოს გენერალური მდივანი **ანდერს ფოგ რასმუსენიც** გვამშვიდებს, რომ **ყველა ქვეყანას, რომლებიც ნატოს პრინციპებს იზიარებენ და მზად არიან საკუთარი წვლილი შეიტანონ უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, შეუძლიათ ალიანსის წევრობაზე განაცხადი შეიტანოს.**

განაცხადი და წვლილი საქართველოს რომ აქვს შეტანილი, ისეთი უნდა — ყველა ხელისუფლება თავგამოდებით და დაჟინებით გაჰყვირის ნატოს უალტერნატივობას და ავღანეთსა თუ ერაყში ნატოს წევრ სახელმწიფოებზე მეტი ჯარისკაცი გვყავს. ბოდიში, თუ ამერიკის ნაცვლადაც ჩვენ ვერ დავამყარეთ დემოკრატია ამ სახელმწიფოებში; ჯერ თქვენგან ველოდებით, როგორ დემოკრატიას აშენებთ ნანგრევებადქცეულ ქაბულსა და ბაღდადში!

მანამდე კი ევროამერიკელ პოლიტიკოსებსა და ჩვენებურ შეჩქვიფულ მედასავლეთეებს შევახსენებ **იააპ დე ჰოოპ სხეფერის** მოწოდებას, რომელიც მან „ფაინენშელ თაიმსით“ გამოგვიგზავნა: **„თქვენ დემოკრატიული სახელმწიფო ხართ, მოიქეცით, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, გააძლიერეთ თქვენი დემოკრატია, გააძლიერეთ კანონის უზენაესობა“.**

2008 წელს, ამ ინტერვიუს გამოქვეყნების დროს სხეფერი ნატოს გენერალური მდივანი იყო, მაპზე უკეთესი უკვე მიღებული გვქონდა, აგვისტოს ომის დამთავრებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, ობამა კი საპრეზიდენტო მარათონში იყო ჩაბმული. მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატმა ობამამ ჯერ არ იცოდა, საით მიდიოდა საქართველო, რომელსაც ავანტურისტი და პათოლოგი სააკაშვილი მართავდა, ახლა კი ზუსტად იცის, რომ **„საქართველო არ დგას ნატოში გაწევრიანების გზაზე“.**

**კანონის უზენაესობის გაძლიერებისთვის კი სულაც არ არის აუცილებელი ნატოში გაწევრიანების გზაზე დგომა — ნებისმიერი თავმოყვარე სახელმწიფოს ადეკვატურ ხელისუფლებას ამის შეხსენება ისედაც არ სჭირდება!**

**ბონდო მძინარაშვილი**

**P.S.** **ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ წერილში არცერთხელ არ მიხსენებია საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, — რა აზრი აქვს?**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სუსტი შინაგანად ყოველთვის უფრო აგრესიულია იმიტომ, რომ ის დაკომპლექსებულია საკუთარი უსუსურობით. ამის შედეგი ჩვენ ვიწვნიეთ კიდეც, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა ბავშვობაში დაგროვილი ბოღმა ერთბაშად გადმოანთხია და უბედურებები დაატრიალა“**



*გოჩა კაკაბაძე:*

# ვისთვის გვინდა ის სამუშაო ადგილები — დაჩაჩანაკებული შვილებისთვის თუ ძლიერი, ჯანსალი თაობისთვის?

**საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია არსებობის თითქმის 30-წლიან ისტორიას ითვლის. ამ ხნის განმავლობაში მისი აღზრდილები, როგორც დამწყები, ისე გამოცდილი სპორტსმენები, არაერთ ჩემპიონატსა თუ ტურნირში მონაწილეობდნენ და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა კაკაბაძე ამბობს, რომ, მიუხედავად რიგი პრობლემებისა, ახალგაზრდებში ორთაბრძოლის ხელოვნებისადმი ინტერესი დიდია. „ძალიან განვითარებული, გონიერი თაობა მოდის, — განაცხადა საუბრის დასაწყისში ორგანიზაციის თავკაცმა, — ყველას ვაკვირდები და ვხედავ, რომ ბევრს აქვს უდიდესი პოტენციალი, საერთაშორისო სარბიელზე დიდ წარმატებებს მიაღწიოს და სამშობლო ასახელოს. პრობლემებიც, რა თქმა უნდა, ბევრია, ზოგადად ქვეყანაშია ეკონომიკური ფონი მძიმეა და, ბუნებრივია, ის სპორტზეც აისახება. მიუხედავად ამისა, ღვთის წყალობით, წარმატებებს მაინც ვაღწევთ და მომავალშიც მივაღწევთ, რადგან სრულად ვაცნობიერებთ, რომ სპორტში და არამხოლოდ სპორტში, მაქსიმალური თავგანწირვისა და თავდადების გარეშე სულ მცირე წინსვლაც შეუძლებელია“.**




**— ვიდრე პრობლემებსა და შედეგებზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევახსენოთ ჩვენს მკითხველს, რა გზა გაიარა თქვენმა ფედერაციამ შექმნიდან დღემდე.**

— ჩვენი ფედერაცია შეიქმნა წმინდა გიორგის სახელობის ჯგუფის ბაზაზე. თავად ეს ჯგუფი დაფუძნდა გასული საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთში. თავდაპირველად ჩემმა ძმამ კახაბერ კაკაბაძემ და მე გავხსენით კარატეს ჯგუფი „წმინდა გიორგი“. 1990-იან წლებში საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში, საომარი მოქმედებები დაიწყო და ჩვენი ჯგუფიც იძულებული შეიქნა, საქმიანობა გადმოეტანა დედაქალაქში, სადაც ომის დამთავრებამდე ჩემი ძმა მარტო უძღვებოდა საქმეს, ვიდრე მე ომიდან არ დავბრუნდი.

ქვეყანაში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ საგრძნობლად დააზიანა მოსახლეობის ჯანმრთელობა და საზოგადოების აზროვნება. საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მოზარდთა ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა, რადგან საგრძნობლად გავრცელდა ნარკომანია, ტოქსიკომანია და სხვა მავნე ჩვევები. იმძლავრა დანაშაულმა არასრულწლოვანთა შორის. ასეთ პირობებში კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათ ფიზიკურ და სულიერი განვითარების ხელშეწყობას. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ თითოეულ მოზარდს მიეცეს შესაძლებლობა, გამოავლინოს და განავითაროს თავისი სპორტული ნიჭი და ჩამოყალიბდეს ღირსეულ და სრულფასოვან მოქალაქედ. ჯგუფმა გააძლიერა მოზარდებთან მუშაობა, რათა ხელი შეეწყო ზემო აღნიშნული პრობლემების დაძლევისთვის ჩვენს ქვეყანაში. ჯგუფი გარდაიქმნა ფედერაციად. **დღეს ჩვენი ოფიციალური სახელწოდებაა საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია.** 2011 წლიდან, ტელეგადაცემა „ნიჭიერში“ მონაწილეობის შემდეგ, გვიცნობენ კარატისტთა ჯგუფ „წმინდა გიორგის“ სახელითაც.

**— ამჟამად რამდენი მოსწავლე გყავთ?**

— დაახლოებით 1000 მოსწავლე, თუმცა ეს რიცხვი ხშირად იცვლება. ახალგაზრდები მოდიან და მიდიან, მოგეხსენებათ, სპორტი ისეთი რამეა, ყველა ვერ მისდევს ბოლომდე და ბევრი თავს ანებებს.

**— რამდენი წლის ბავშვებს იღებთ?**

— 4-5 წლიდან ნებისმიერ ბავშვს ვიღებთ. რაც შეეხება ზედა ზღვარს, ასაკს არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, იყოს ექიმისგან ნებართვა და რეკომენდაცია.

**— როგორც ვიცი, 1986 წლიდან არსებობთ, ამ ხნის განმავლობაში რომელ შეჯიბრებებში მონაწილეობდით და რა შედეგს მიაღწიეს თქვენმა მოწაფეებმა?**

— თავისი არსებობის მანძილზე ჩვენ ჯგუფს აღზრდილი ჰყავს 20 ათას სპორტსმენზე მეტი, რომელთა შორის ბევრია საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი, ასევე იაპონიის, ესპანეთის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ირანის, კავკასიის, აზიის, ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი. ასევე მონაწილეობა გვაქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში საზღვარგარეთ. **სხვათა შორის, იაპონია რადგან ვახსენე, საქართველო მსოფლიოში ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც 18 წლამდე სპორტსმენებს შორის ჰყავს იაპონიის ჩემპიონი.**

**«საქართველო მსოფლიოში ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც 18 წლამდე სპორტსმენებს შორის ჰყავს იაპონიის ჩემპიონი»**

**— თქვენს ფედერაციას, ძირითადად, სკოლის შენობებში აქვს სავარჯიშო დარბაზები. სულ რამდენ სკოლაში გაქვთ სექცია?**

— ამ ეტაპზე 28 სკოლაში გვაქვს სექცია და მომავალში კიდევ ვაპირებთ გაფართოებას. გარდა ამისა, გვყავს ჯგუფები ქუთაისში, გორში, კასპში, ხაშურში, ხარაგაულის რაიონსა და ბათუმში.

**— დაინტერესებული თუ არის დღეს ახალგაზრდობა სპორტით და კონკრეტულად, ამ სახეობით? მშობლებისგან ხშირად გვესმის, ბავშვები დიდ დროს უთმობენ კომპიუტერს, რის გამოც ფიზიკურ აქტივობას მოკლებულნი არიანო...**

— საერთოდ, კარატე, როგორც საბრძოლო ხელოვნება, მამაკაცის ბუნებაში თავისთავად დევს. აქედან გამომდინარე, როდესაც მოზარდი ხედავს, რომ ვითარდება ქუჩა, ვითარდება ეზო და გარემო, ბუნებრივია, თვითონაც უნდა განვითარდეს, თორემ დაიჩაგრება. ახლა კონკრეტულად სპორტით დაინტერესებას რაც შეეხება, ძალიან გონიერი თაობა მოდის, **გაცილებით მეტი იციან და მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე, ვთქვათ, ჩვენს თაობას ჰქონდა, მაგრამ არსებობს ერთი მინუსი — ეს თაობა უფრო მექანიკურია, ანუ ტექნოლოგიებზე უფროა დამოკიდებული, აზროვნებაზე კი — ნაკლებად.**

**— რა არის ამის მიზეზი, ეს ყველაფერი ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვია?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, რამ გამოიწვია, მაგრამ ფაქტია: **ადამიანი, რომელმაც არ იცის თავდაცვა, ხშირად ხდება აგრესიის მსხვერპლი. ეს ბუნებრივი პროცესია, როდესაც არ შეგიძლია საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ხარ სუსტი, ,სამწუხაროდ, შენს გარშემო მყოფთაგან ზოგს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, დაგჩაგროს.**

**— ასეთი ადამიანები, ალბათ, თვითონაც უფრო აგრესიულები არიან.**

— რა თქმა უნდა, **სუსტი შინაგანად ყოველთვის უფრო აგრესიულია იმიტომ, რომ დაკომპლექსებულია საკუთარი უსუსურობით. არ მინდა, საუბრის თემას გადავუხვიო, მაგრამ ამის შედეგი ჩვენ ვიწვნიეთ კიდეც, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა ბავშვობაში დაგროვილი ბოღმა ერთბაშად გადმოანთხია და უბედურებები დაატრიალა.** მსგავსი რამ რომ არ მოხდეს, ბავშვმა თავისი შესაძლებლობების რეალიზება უნდა შეძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება კომპლექსები, რამაც შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოუტანოს როგორც მას, ისე მის გარშემო მყოფთაც.

**«საქართველო, სამწუხაროდ, ჯერ არ არის ბოლომდე შემდგარი სახელმწიფო»**

**— სახელმწიფოს მხრიდან თუ გაქვთ ხელშეწყობა?**

— სახელმწიფო რომ დაგეხმაროს, პირველ რიგში, ის უნდა შედგეს, მაგრამ, **საქართველო, სამწუხაროდ, ჯერ არ არის ბოლომდე შემდგარი სახელმწიფო.** უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტები — რა გვინდა და რა სჭირდება ყველაზე მეტად ქვეყანას. და, როდესაც ვამბობთ, რომ მთავარია სამუშაო ადგილების შექმნა, უნდა ვიცოდეთ, **ვისთვის გვინდა ეს სამუშაო ადგილები — დაჩაჩანაკებული და გაურკვეველი ორიენტაციის შვილებისთვის თუ ძლიერი და ჯანსაღი თაობისთვის. ამით იმის თქმა მინდა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მომავალი თაობის სულიერ და ფიზიკურ აღზრდას.**

საბედნიეროდ, ქვეყანაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც აცნობიერებენ რა აღნიშნულ პრობლემას, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან ქვეყანას როგორც ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაში, ისე სპორტის აღორძინებაში. მაგრამ ჯერჯერობით პრობლემა პრობლემად რჩება. მოზარდი თაობა კვლავაც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ თითოეულ მოზარდს მიეცეს საშუალება, გამოავლინოს და განავითაროს თავისი სპორტული ნიჭი და შესაძლებლობები; გააცნოს იგი სხვა ქვეყნებსაც, მიიღოს გამოცდილება და ჩამოყალიბდეს ღირსეულ და სრულფასოვან მოქალაქედ.

**— აქვს კი დღეს საქართველოს ამის შესაძლებლობა?**

— დასაწყისშიც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ყველას გვესმის, რა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა დღეს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალიან ხშირად ფული არამიზნობრივად იხარჯებოდა. მაგალითად, იმ ფულით, რომელიც შაკირას ერთდღიან კონცერტზე დაიხარჯა, რამდენი კარგი სამომავლო საქმის გაკეთება შეიძლებოდა?!

ახლა, საზოგადოდ, რაც შეეხება სპორტის ხელშეწყობას. განსაკუთრებით კარგი პირობები სპორტის თითქმის არც ერთ სახეობაში არ არსებობს, თუმცა ზოგიერთ სახეობას (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ძიუდო და სხვ.), შედარებით მეტი მფარველობა და მზრუნველობა აქვს. სპორტის არაოლიმპიური სახეობები კი ყურადღების მიღმა რჩება. არადა, სწორედ სპორტული საბრძოლო ხელოვნება არის მოზარდთა სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის საუკეთესო გზა.

**— რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, რას აპირებთ და კონკრეტულად რომელ შეჯიბრებებში აპირებთ მონაწილეობას?**

— ახლო მომავალში ვაპირებთ მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირსა და ჩემპიონატში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, იაპონიაში. მომავალი წელი ჩვენი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რადგან 10 წელი გვისრულდება საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრებიდან. ამის აღსანიშნავად ვგეგმავთ საინტერესო ღონისძიებების ჩატარებას. ყველაზე მაშტაბური კი იქნება ამ დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს იაპონიის, ჩინეთის, კანადის, რუსეთის, ევროპისა და აზიის ქვეყნების ნაკრებებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ **საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა, ბატონმა იუკიო ნიშიდამ გამოთქვა სურვილი, ჩამოვიდეს და დაესწროს ამ ტურნირს.** ასე რომ, მიმდინარე და მომავალი წელი დახუნძლულია შეჯიბრებებით, შეკრებებით, სემინარებით, საჩვენებელი გამოსვლებითა და სხვა ღონისძიებებით, რაც ძალიან წაადგება ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდას.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ევროატლანტიკური პოლიტიკის მჭედლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ თაყვანისცემას პედერასტების, სექსუალური მანიაკების, ერთსქესიანთა ქორწინების და ამ ბინძური სიმახინჯის ტყვეთა აღლუმების მოწყობის ძალისმიერ მხარდაჭერას მომავალი თაობები ისევე მიაკრავენ სირცხვილის და წყევლა-კრულვის იარლიყს, როგორც ინკვიზიციას და ინდულგენციებით ვაჭრობას.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მტერი შინ, პარლამენტში გვიზის!

**დავით ბაქრაძეს მეურმის მამალივით უადგილოდ რომ აყივლებენ, რატომ პასუხს არ სთხოვენ პარლამენტის შენობის აოხრების გამო?! ხალხი დაიღალა ტელევიზორის ეკრანიდან ნაციონალთა უტიფარი ღავლავით. მათი ასეთი გათავხედება ხელისუფლების დამთმობი პოლიტიკის შედეგია.**




**ქართველ ხალხს ეგონა, რომ «ნაციონალური» ჭირისგან განიკურნა, მაგრამ რაღაც უცნაური ხდება — «ნაციონალური მოძრაობის» წარმომადგენლებმა ღავლავს უმატეს და, თუ ხელისუფლებამ სადმე წაიფორხილა, ზეიმის წუთები უდგათ. განა აშკარა არ არის, რომ მტერი სახლში, ბუხართან გვიზის და ცეცხლის ჩაქრობას ლამობს?!**

გერმანელმა ფაშისტებმა კაცობრიობის ყველაზე ღირსეული ადამიანების ნაწარმოებები კოცონზე დაწვეს. ნაცისტური შხამით მოწამლულ გერმანელთა ერთი ნაწილი „ჰაილ ჰიტლერის" ღრიალით ხვდებოდა ამ ვანდალიზმს, მეორე ნაწილი კი შიშით კრიჭაშეკრული ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. შედეგად გერმანიამ ისეთი საშინელი რბევა, ნგრევა, ხანძარი და განადგურება იწვნია, რომ მსგავსს ყველაზე საზარელ, კოშმარულ სიზმარშიც ვერ ნახავდა.

ქართველმა „ნაციონალებმა" ერის საამაყო მეცნიერები განათლების უწმინდეს ტაძარში, დედაუნივერსიტეტის აუდიტორიაში გამოკეტეს, მერე იქიდან კინწისკვრით გამოყარეს და ხულიგნობის ბრალდებით გაასამართლეს. ქართველმა ხალხმა კი ეს თავხედობა მოითმინა. შედეგად მოისპო მეცნიერება და დამახინჯდა განათლება, რომელსაც მოჰყვა ქვეყნის დამაქცევართა უამრავი ბოროტება. ასეთი საშინელი განსაცდელის ჟამს საკუთარ თავს თვითონვე უნდა უშველო — **უცხოეთში არავის სჭირდება განათლებული და ბედნიერი ცხოვრებით გაამაყებული, რადგან უვიცი და ბეჩავი ადვილად დასამორჩილებელი და სამართავია. სწორედ ამგვარ დავალებას ასრულებდა ხელისუფლებაში გამძვრალი „ნაციონალების" ბანდა, რაც საქართველოს დაქუცმაცებით, დაკნინებითა და გადაგვარებით დაგვირგვინდებოდა, ხელი რომ არ შეშლოდათ...** მაგრამ ჯერ ყველაფერი დამთავრებული არ არის.

**ქართველ ხალხს ეგონა, რომ „ნაციონალური" ჭირისგან განიკურნა, მაგრამ რაღაც უცნაური ხდება — „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა ღავლავს უმატეს და, თუ ხელისუფლებამ სადმე წაიფორხილა, ზეიმის წუთები უდგათ. განა აშკარა არ არის, რომ მტერი სახლში, ბუხართან გვიზის და ცეცხლის ჩაქრობას ლამობს?!**

**საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას „ნაციონალებმა" თვალთმაქცობის მთელი არსენალი შეალიეს და მაინც გაძვრნენ პარლამენტში. ახლა სხედან საკანონმდებლო ორგანოში და სათავიდან ამუხრუჭებენ საქართველოს აღორძინების მცდელობას.**

ზოგი რაღაც სისულელეს იგონებს პარლამენტის თბილისში დასაბრუნებლად,— ნაციონალების მიერ მიღებული კანონის გამო მისი გადმოტანა ვერ ხერხდებაო. **თუ ასე მიჰყვებიან ნაციონალების მიერ მიღებულ კანონებს, მაშინ რაღაზე იბრძვის ქვეყანა სააკაშვილისა და მისი ბანდის მიერ დანთხეული შხამის გასანეიტრალებლად?** განა საქართველოს დაკნინების, დაშლისა და დაქუცმაცების კანონების გაუქმება პრობლემად უნდა იქცეს ნაციონალთა დღევანდელი ავყიობის პირობებში?! პარლამენტის თბილისში დაბრუნება ხომ საქართველოს დაშლის მცდელობის ერთ-ერთი ეპიზოდის აღკვეთაა?!

**დავით ბაქრაძეს მეურმის მამალივით უადგილოდ რომ აყივლებენ, რატომ პასუხს არ სთხოვენ პარლამენტის შენობის აოხრების გამო?!** ხალხი დაიღალა ტელევიზორის ეკრანიდან ნაციონალთა უტიფარი ღავლავით. მათი ასეთი გათავხედება ხელისუფლების დამთმობი პოლიტიკის შედეგია. ამიტომ **ქართველი ხალხი, რომელმაც დაძაბული ბრძოლით აღკვეთა „ნაციონალთა" ძალადობა, ახლა მოითხოვს, დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რათა ბოლო მოეღოს „ნაციონალთა" თავხედობას.**

უკრაინის ამბებმა ხომ ფრთები შეასხა „ნაციონალებს". დასავლეთმა დაივიწყა ტალიავინის დასკვნა და სააკაშვილმაც უმატა ნაცრის ქექვით სინამდვილის დაფარვას. გაჰყვირიან, — ომი საქართველოს არ დაუწყიაო და ამით თავიანთ მუხთლობას საქართველოს სახელით ნიღბავენ. **აგვისტოს ომი საქართველოს არ დაუწყია. აგვისტოს ომი დაიწყო ავანტიურისტმა სააკაშვილმა და მან ამ დანაშაულისათვის პასუხი უნდა აგოს.**

ეს ამერიკულად შეფუთული ადამის მოდგმის სირცხვილი ახლა კიევიდან აფრქვევს ცრუპენტელობის, თავხედობისა და სიძულვილის დორბლს. **სვავმა ამერიკაში იგრძნო მძორის სუნი და ჩამოფრინდა,— საქართველოში სიმყრალისგან განწმენდის პროცესს ჩემი ბინძური ამქვეყნიურობა არ შეეწიროსო. არადა, შეეძლო ერის საამაყო მამულიშვილის სახელით შემკობილიყო, მაგრამ ეროვნული გმირის ეკლიან და მოწამებრივ გზას, კუჭამოყორილი ქოსმენის განცხრომით ღრუტუნი არჩია. ერის სიყვარული, სამშობლოსთვის თავდადება, პატიოსნება, ზნეობრივი სიწმინდე ქვეყნისა და ერის სიძულვილზე, ღალატზე, საქართველოს გაყიდვაზე გაცვალა. შედეგად, სახლიდან კეტით გაგდებული მყეფარივით კუდამოძუებული, ჩადენილი ცოდვებისთვის პასუხის მოთხოვნის შიშით წკავწკავებს და დაკითხვაზე მისვლას ვერ ბედავს; ტყავის გადასარჩენად კი თავის მფარველებს გაათკეცებული ენერგიით ულოკავს სველ ადგილებს.** მათაც უჭირთ „თავიანთი ძაღლიშვილის" უნიღბოდ წარმოჩენა, თუმცა მისმა ჩადენილმა საზარელმა საქმეებმა უკვე დაიწყო ნიღბიდან გამოჟონვა.

**„ნაციონალებმა" მოახერხეს ტერიტორიების დაკარგვა. რაც დარჩა, გაყიდეს და გაანიავეს. ენის, მამულის, სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლას ხომ კაბინეტებში ჩამოკიდებული ილია მართლის სურათის ფონზე აწარმოებდნენ. მართლმადიდებელ სარწმუნოებას უამრავი სექტა და ერის სალოცავების მაგინებელი დაასიეს, ჩქარობდნენ, მაგრამ დრო აღარ ეყოთ...**

დღეს ქართველი ხალხი მტკივნეულად განიცდის იმ საშინელი პარაზიტული დაავადების სიმწარეს, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა" ჰქვია.

საიდან მოვიდა ეს პარაზიტი? დააკვირდით დემოკრატიის ნიღბაფარებულ ევროატლანტიკური სივრცის წარმომადგენელთა ღავლავს და დასკვნას თვითონ გამოიტანთ.

რატომ დაიწყვიტა ევროკავშირმა ნერვები, — უკრაინამ თავი რატომ შეიკავა ჩვენთან შემოსვლაზეო? არადა, უკრაინამ თავისი ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის რეალური გზა აირჩია; ამით აღშფოთებულმა ევროკავშირმაკი მაიდანი მოუწყო და შეიარაღებულმა ბანდერელებმა „მოლოტოვის კოქტეილებით" გოჭებივით შეწვეს ბერკუტელები.

სწორედ შეიარაღებულმა ბანდერელებმა, დასავლეთის წაქეზებითა და ხელის შეწყობით, რუსეთის აუგად მოხსენიების ფონზე, უქციეს ჯოჯოხეთად უკრაინელ ხალხს ბედნიერი ცხოვრების იმედი.

როგორ ჰგავს უკრაინაში ბანდერელი ნეოფაშისტებისა და ტერორისტების „გაჯეჯილება" გერმანელ ფაშისტთა აღვირახსნილობისთვის ხელის შეწყობას საბჭოთა კავშირზე მიქსევის სურვილით?! მოხდა კი პირიქით — სხვის დასაგლეჯად დაგეშილი ქოფაკის მიერ ტყავდაფხრეწილებს მხსნელად მოევლინა საბჭოთა კავშირი, რომელმაც კაცობრიობის ამ საშინელი ჭირის მოსასპობად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. **საქართველოში კი „ნაციონალი" ვანდალები ცოფმორეულები ანგრევდნენ სამამულო ომის გმირთა უწმინდეს ობელისკებს.**

**უკრაინელი ნაცისტები ჯერ ძეგლებსა და საბჭოთა სიმბოლოებს დაეტაკნენ, შემდეგ ძალის მოზღვავება იგრძნეს და რუსული ენის სტატუსი დაამცრეს. ისე კი, როგორ ჰგვანან რუსული სიმღერების ამკრძალავ და საბჭოთა სიმბოლოებთან მებრძოლ ქართველ ნაცისტებს!** დაავიწყდათ, რომ უკრაინის მოსახლეობის ნახევარზე მეტი რუსულენოვანია. ეს უმადურობა დაუსჯელი არ დარჩა და ყირიმი ჩამოსცილდა უკრაინას, რასაც თეთრი შურით უმზერენ დანარჩენი რუსულენოვანი ოლქები.

ელცინის მიერ დაკნინებული რუსეთი დასავლეთის ალყაში აღარ არის, მას პრინციპული, ენერგიული და მაგარი ხელი მართავს. ნურც იმას დაივიწყებენ, მართლმადიდებელი სერბეთი რომ გაწეწეს, დაბომბვის შედეგად ათასობით მშვიდობიანი მოსახლე რომ ამოწყვიტეს და მისი ძირძველი ტერიტორია —კოსოვო — დამოუკიდებლად გამოაცხადეს. რომელ ევროპულ ქვეყანას არ აქვს სადავო ტერიტორია? აღიარონ მათი დამოუკიდებლობა და ისე დაიშლებიან, მათ საზღვრებს ვეღარავინ შეკრავს. რა, უკრაინაზე გაახსენდათ, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას დაცვა სჭირდება? მსოფლიო ჟერჟერობით მოთმინებით უყურებს ნატოს ძალადობას, რომელსაც შედეგები აუცილებლად მოჰყვება.

**როგორ შეიძლება ამერიკის პრეზიდენტ ობამას არ შეუქო მართალი და სადი აზრის საჯაროდ გამოთქმა, უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი არ განიხილებაო. ამით საქვეყნოდ გაუფანტა ბოლოქანქარა რასმუსენს საქართველოს ნატოში შესვლის ცრუ დაპირების ნისლის საბურველი.**

მაინც რისთვის არის საჭირო ნატოს გაფართოება? თუ რომელიმე ქვეყნის სერბეთივით გაწეწვა დასჭირდათ, საკმარისზე მეტნი არიან. თუ რუსეთს ულრჭენენ კბილებს, იმდენი კი უნდა ახსოვდეთ, რომ უკბილოდ დარჩენის შანსს გაფართოება ვერ მოუხსნით. **ხვალ და ზეგ ნატოც ისე დაიშლება, როგორც მრავალი ცნობილი აგრესიული სამხედრო ბლოკი. ცივილიზებული ევროპის მომავალ თაობებს კი სამარცხვინოდ შერჩებათ ნატოს სისხლიანი ნაფეხურები...**

ამჟამად **ევროატლანტიკურ ქვეყნებში დემოკრატიის ნიღბით მიმდინარეობს სქესობრივი გაუკუღმართების სიბინძურის ძალადობრივი ექსპორტი, რითაც სვრიან და სახელს უტეხენ დემოკრატიას**.

ევროატლანტიკური პოლიტიკის მჭედლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ ესოდენ თაყვანისცემას პედერასტების, სექსუალური მანიაკების, ერთსქესიანთა ქორწინების და ამ ბინძური სიმახინჯის ტყვეთა აღლუმების მოწყობის ძალისმიერ მხარდაჭერას მომავალი თაობები ისევე მიაკრავენ სირცხვილისა და წყევლა-კრულვის იარლიყს, როგორც ინკვიზიციას და ინდულგენციებით ვაჭრობას.

საქართველოს ხელისუფლება კი მაინც ცდილობს სამად დაჩეხილი ქვეყნის ევროკავშირისკენ გათრევას.

**ევროკავშირის სტანდარტებზე გასვლისთვის მომავალ წელს ავტომობილების ტექნიკური შემოწმება უნდა დავიწყოთ, რომელსაც გერმანული ფირმა ჩაატარებს და ხალხს ეს ღონისძიება ასი მილიონი ლარი დაუჯდებაო. ევროკავშირის მხოლოდ ეს ერთი მოთხოვნა რა უბედურებად დაატყდება თავს ისედაც გაჭირვებისგან სულშეხუთულ მოსახლეობას?! ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა, პირველ რიგში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებით უნდა დაიწყოს, თორემ ევროპულ დონეზე ხელისუფლების ნებივრობა სულაც არ ნიშნავს შიმშილის ზღვარზე მყოფი, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი ერის აყვავებას.**

ეს შოშია-მინისტრები ხომ საზიდრიდან აწყვეტილი ცხენებივით მიჭენაობენ ევროკავშირის მწვანე ბალახის მოსაძოვად, ვიდრე იქიდან კათოლიკობამიღებული სულხან-საბა ორბელიანივით არ გამოაპანღურებენ.

ამჟამად ძალიან მძიმე პირობებში ვართ — გაჭირვება, თაღლითობა, მუხთლობა, ღალატი, მომხვეჭელთა მიერ ხალხის ძარცვა, გაუმაძღრობა და ათასი უბედურება მკბენარივით დაგვსევია და წელში გამართვის საშუალებას არ გვაძლევს. ქართველი ხალხის ოცნება — ერთიან და გამთლიანებულ საქართველოში სიყვარულით ძმურად ცხოვრება — ოცნებად რომ არ დარჩეს, საჭიროა სწორი მოქმედების არჩევა, რომელსაც ვიღაც ამუხრუჭებს, ვისაც ქვეყნის გაუბედურება ხელს აძლევს. არადა, რუსეთთან მეგობრობის აღდგენა საქართველოს გაერთიანება-აღორძინების საწინდარია, რომლის სურვილს რუსეთი აშკარად ამჟღავნებს.

**დღეს საქართველო გზაჯვარედინზე იმყოფება. ერთია გზა, რომელიც მიშას მუხთლობამ გამოიწვია, ქვეყნის საბოლოო დაშლა-მოსპობისკენ მიდის; მეორე კი — გაერთიანებისა და აყვავებისკენ. არჩევანი ჩვენზეა.**

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემია „აია"-ს ნამდვილი წევრი

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ობამას ადმინისტრაციამ თავისი შეცდომებით რესპუბლიკელებს არაერთი კოზირი მისცა, თუმცა მათი გამოყენება, ავანსცენაზე კონსტრუქციული და, ამავე დროს, პოპულარული პროგრამით აღჭურვილი ძლიერი კანდიდატის, ასე ვთქვათ, „ახალი რეიგანის“ გამოყვანა ჯერჯერობით პრობლემატური ჩანს. ასე რომ, ქართველი „ნაციონალების“ ოცნებები და მოლოდინები რესპუბლიკელების გამარჯვებასთან დაკავშირებით (ის სააკაშვილის მიმდევრებს არ უშველის, მაგრამ მაინც) შეიძლება ერთობ გადაჭარბებული გამოდგეს.**



# ყველაზე ძლიერი გოგონა

**14 წლის მსოფლიო რეკორდსმენმა, ბოდიბილდერმა გოგონამ მარიანა ნაუმოვმა მსოფლიო აღაფრთოვანა, როდესაც 120 კილოგრამიანი შტანგა ყოველგვარი აღჭურვილობის გარეშე აზიდა.**

ასეთ პატარა ასაკში მარიანას უკვე მსოფლიო იცნობს და პირადად ბევრ ცნობილ ადამიანსაც შეხვედრია, მათ შორის კი მისი რეკორდით უზომოდ მოხიბლულა არნოლდ შვარცნეგერიც. რამდენიმე დღეა კოლუმბუსში, ოჰაიოს შტატში დასრულდა მულტიფესტივალი „შტანგების“ აზიდვაში სახელწოდებით „არნოლდ კლასიკი“. სწორედ ამ ფესტივალზე გაიმარჯვა მარიანამ და გახდა მთელი პლანეტის ყველაზე ძლიერი გოგონა თავის წონით და ასაკობრივ კატეგორიაში.

მან უკვე მიიღო მიწვევა ქასთინგზე ჰოლივუდის ერთ-ერთი კინოკომპანიიდან.



# 8 წლის გოგონა სიმსივნესა და შიდსს კურნავს

**ბრაზილიაში მცხოვრებ 8 წლის გოგონას — ალან სანტოსის სანახავად ხალხის ნაკადი არ წყდება. ის ავადმყოფებს კურნავს.**

ადგილობრივების თქმით, პატარა გოგონა ნამდვილ სასწაულებს ახდენს და ისეთ სნეულებებსაც კი კურნავს, როგორიც არის იმუნოდეფიციტის ვირუსი და სიმსივნე. სანტოსი მამასთან ერთად ფაველაში მდებარე ეკლესიაში მოღვაწეობს. როგორც მამამისი — პასტორი ადაუტო სანტოსი ამბობს, როგორც კი ბავშვი ავადმყოფს ხელით ეხება, პაციენტი მიწაზე უგონოდ ეცემა და შოკში ვარდება. კვირაში ორჯერ ნებისმიერ ადგილობრივს შეუძლია მივიდეს ეკლესიაში განკურნების იმედით.

2 წელია, ალანი ხალხს ეხმარება. როდესაც გაიზრდება, ექიმობას აპირებს. „მე ვლოცულობ, ღმერთი კი სასწაულებს ახდენს“, — ამბობს ბავშვი.

ალანის მამას ვებსაიტიც აქვს, რომელზეც პოსტერებსა და DVD-ის ყიდის. ამასთან, ნებისმიერს შეუძლია, გოგონას სკაიპით შეეხმიანოს. გოგონას მამა ყველას მოუწოდებს, გააცნობიერონ, რომ „ალანი ჩვეულებრივი გოგონაა. ხალხს იესო ქრისტე კურნავს — ბავშვი მხოლოდ ინსტრუმენტია“.

# ამერიკა ახალი რეიგანის ძიებაში

## ვინ ეპოტინება ოვალურ კაბინეტს?

**უკრაინულ კრიზისს საქართველოში ხმაურიანი დისკუსიები მოჰყვა. მათი მონაწილეები სოციალურ ქსელებში ხშირად ამტკიცებენ, რომ ბარაკ ობამას ადგილას სხვა პრეზიდენტი (რეიგანი, კენედი თუ რუზველტი) სხვანაირად იმოქმედებდა. ზოგადად, აშშ-ის პრეზიდენტი, ალბათ, უფრო ჰგავს მატარებლის მემანქანეს, რომელიც ლიანდაგიდან ვერ გადავა, ვიდრე გემის კაპიტანს, რომელსაც შეუძლია გეზი სწრაფად, რადიკალურად შეცვალოს და მსჯელობა იმაზე, რას გააკეთებდა სხვა ობამას ადგილას, ერთობ ინფანტილურ ხასიათს ატარებს. მაგრამ მან აქტუალური გახადა კითხვა „ვინ გახდება აშშ-ის პრეზიდენტი 2016-ში?“, რომელზეც პასუხს დღეს შტატებშიც ეძებენ, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე 2,5 წელიწადი რჩება, რადგან სწორედ ახლა, ე. წ. ფარული პრაიმერის პროცესში ორივე პარტიის ელიტა და მათთან დაკავშირებული გავლენიანი ჯგუფები ცდილობენ, საუკეთესო კანდიდატები შეარჩიონ.**



**თუ ჯანმრთელობა ან რაიმე სხვა გაუთვალისწინებელი გარემოება კანდიდატურის წამოყენებაში ხელს არ შეუშლის, ჰილარი კლინტონის შეჩერება როგორც თანაპარტიელებს, ისე რესპუბლიკელებს ამჯერად ძალიან გაუჭირდებათ**

### თეთრი სახლის 13 გასაღები

**ათწლეულების განმავლობაში არაერთი ამერიკელი მეცნიერი ცდილობდა, შეემუშავებინა ფორმულა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგის ზუსტი პროგნოზირების შესაძლებლობას მისცემდა და ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ შედეგს ამ მხრივ ისტორიკოსმა ალან ლიხტმანმა მიაღწია.** მან გააანალიზა 31 საპრეზიდენტო მარათონი (1860-1980) და გამოიყენა საბჭოთა გეოფიზიკოსის — ვლადიმერ კეილის-ბოროკის სტატისტიკური მეთოდები, რომლებიც მიწისძვრის პროგნოზირებისთვის შემუშავდა. ლიხტმანმა 13 ბინარული სკალა (ე. წ. „გასაღები“) შექმნა. იმისთვის, რომ ვუპასუხოთ კითხვას **„დარჩება თუ არა თეთრ სახლში იმავე (დღევანდელ სიტუაციაში — დემოკრატიული) პარტიის რჩეული?“** უნდა დავადგინოთ, შეესაბამება თუ არა სიმართლეს თითოეული მათგანი.

**გასაღები №1 — პარტიული მანდატი.** შუალედური არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მყოფი პარტია წარმომადგენელთა პალატაში უფრო მეტ ადგილს იკავებს, ვიდრე წინა შუალედური არჩევნების შემდეგ.

**გასაღები №2 — კონკურენცია.** მმართველი პარტიის შიგნით არ მიმდინარეობს სერიოზული ბრძოლა პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებისთვის.

**გასაღები №3 — მოქმედი პრეზიდენტის მონაწილეობა.** მმართველი პარტიის კანდიდატი მოქმედი პრეზიდენტია.

**გასაღები №4 — მესამე პარტია.** არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს მესამე პარტიის (ან დამოუკიდებელი) ძლიერი კანდიდატი (მაგალითად, ისეთი, როგორიც იყო როს პერო 1992-ში, რომელმაც არჩევნების შედეგებზე განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა).

**გასაღები №5 — მოკლევადიანი ეკონომიკური პერსპექტივა.** კამპანიის დროს რეცესიას ადგილი არ აქვს.

**გასაღები №6 — გრძელვადიანი ეკონომიკური პერსპექტივა.** ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლების ზრდა უდრის ან აღემატება ზრდას ორი წინა საპრეზიდენტო ვადის პერიოდში.

**გასაღები №7 — ცვლილებები პოლიტიკაში.** მოქმედი ადმინისტრაცია საშინაო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ატარებს.

**გასაღები №8 — სოციალური არეულობა.** მოქმედი ადმინისტრაციის მმართველობის წლებში მასშტაბურ არეულობას ადგილი არ ჰქონია (მაგალითად ისეთს, როგორიც თან სდევდა ვიეტნამის ომის ან შავკანიანთა უფლებებისთვის ბრძოლის დასკვნით პერიოდებს).

**გასაღები №9 — სკანდალი.** მოქმედი ადმინისტრაცია არ არის გარეული მასშტაბურ სკანდალში (მაგ. „უოტერგეიტი“).

**გასაღები №10 — საგარეოპოლიტიკური (ან სამხედრო) წარუმატებლობა.** მოქმედმა ადმინისტრაციამ არ დაუშვა სერიოზული შეცდომა საგარეო ან სამხედრო საქმეებში (ამ კონტექსტში, ალბათ, შეიძლება გავიხსენოთ ჯიმი კარტერის ადმინისტრაცია, რომელსაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ირანში ამერიკელ მძევლებთან დაკავშირებულმა კრიზისმა).

**გასაღები №11 — საგარეოპოლიტიკური (ან სამხედრო) წარმატება.** მოქმედმა ადმინისტრაციამ მიაღწია დიდ წარმატებას საგარეო ან სამხედრო საქმეებში.

**გასაღები №12 — მმართველი პარტიის კანდიდატის ქარიზმა.** მმართველი პარტიის კანდიდატი ქარიზმატულია ან ეროვნულ გმირად ითვლება.

**გასაღები №13 — ოპოზიციის კანდიდატის ქარიზმა.** ოპოზიციის კანდიდატი არ არის ქარიზმატული და ეროვნულ გმირად არ ითვლება.

ალან ლიხტმანის მტკიცებით, **თუ ჩამოთვლილი 13 „გასაღებიდან“ სიმართლეს არ შეესაბამება 5 ან ნაკლები, პარტია პრეზიდენტის პოსტს შეინარჩუნებს, ხოლო თუ 6 და მეტი — დაკარგავს მას.** 1984 წლის არჩევნებიდან ვიდრე დღემდე „13 გასაღების ფორმულამ“ უნაკლოდ იმუშავა და „ლიხტმანის მანქანის“ ყველა პროგნოზი უშეცდომო იყო. ერთადერთი პრობლემა 2000-ში შეიქმნა, როდესაც ლიხტმანმა დემოკრატების გამარჯვება იწინასწარმეტყველა. მაშინ ალბერტ გორს ხმა უფრო მეტმა ამომრჩეველმა მისცა, ვიდრე უმცროს ბუშს, მაგრამ არჩევნების ორსაფეხურიანი სისტემის თავისებურებებმა, ფლორიდაში ხმების სკანდალურ გადათვლასთან ერთად, გამარჯვება რესპუბლიკელებს მოუტანა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ლიხტმანის აქტივში 7 ზუსტი პროგნოზი ერთი (ფარდობითი) შეცდომის წინააღმდეგ.

**დღესდღეობით, თუ ჩამონათვალს გადავხედავთ, დემოკრატების შანსი, თეთრი სახლი შეინარჩუნონ, საკმაოდ მაღალია, თუმცა რისკებიც დიდია. ძნელი სათქმელია, რა შედეგს მიაღწევენ ისინი შუალედურ არჩევნებზე, მოახერხებენ თუ არა, შეინარჩუნონ უპირატესობა სენატში და გაიმყარონ პოზიციები წარმომადგენელთა პალატაში.** ბევრი გაუთვალისწინებელი რამ შეიძლება მოხდეს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და, საერთოდ, ობამას ადმინისტრაციის პოზიციები დღესდღეობით საკმაოდ არადამაჯერებლად გამოიყურება. მაგრამ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „ლიხტმანის მანქანა“ ჯერჯერობით მიუთითებს იმაზე, რომ ოვალურ კაბინეტს ისევ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი დაიკავებს.

### რესპუბლიკური კასტინგი

**ამერიკელი რესპუბლიკელების დღევანდელი მდგომარეობა, ალბათ, შეიძლება ერთი ფრაზით აღიწეროს: „ისინი ეძებენ ახალ რეიგანს და ვერ პოულობენ მას“. 2012 წლის არჩევნებში მიტ რომნის მძიმე მარცხის შემდეგ ისინი კანდიდატის შერჩევის პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.**

ფორმალური თვალსაზრისით, ყველაზე პოპულარული ამერიკელი რესპუბლიკელი დღესდღეობით **არკანზასის ყოფილი გუბერნატორი** მაიკ ჰაკაბია, მაგრამ პარტიის კანდიდატი ის, დიდი ალბათობით, ვერ გახდება, რადგან მისი რადიკალური შეხედულებები მთელ რიგ საკვანძო საკითხებზე მხოლოდ ასეთივე რადიკალ-კონსერვატორებს თუ მოი-

▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველი „ნაციონალების“ ოცნებები და მოლოდინები რესპუბლიკელების გამარჯვებასთან დაკავშირებით (ის სააკაშვილის მიმდევრებს არ უშველის, მაგრამ მაინც) შეიძლება ერთობ გადაჭარბებული გამოდგეს.

ზიდავენ. **მას, პრაქტიკულად, არ აქვს შანსი, შედარებით ზომიერი რესპუბლიკელი ამომრჩეველი მოხიბლოს და, მით უმეტეს, თამაში დემოკრატების ელექტორალურ მოედანზე გადაიტანოს.**

## ფლორიდის გუბერნატორი

ჯებ ბუში ყოფილი პრეზიდენტების შვილი და უმცროსი ძმაა, ბუშების დინასტიის მესამე წარმომადგენელი, რომელმაც შეიძლება თეთრი სახლი დაიკავოს. მას საინტერესო მეტსახელი აქვს — „ჭკვიანი ძმა“ და მას საკმაოდ კარგ გუბერნატორად თვლიან. ჯებ ბუშს ზომიერების გრძნობა შესაძლებლობას აძლევს, ამომრჩეველთა ფართო მასების კონსოლიდირება მოახდინოს, მაგრამ **მის წინააღმდეგ მუშაობს ელექტორატის საკმაოდ მოცულობითი ნაწილის გამოკვეთილი „ალერგია ბუშების მიმართ“, რომელიც განსაკუთრებით მისი ძმის მმართველობის წლებში გაძლიერდა.**

ასევე, მაკონსოლიდირებელი როლის შესრულება შეუძლია **სენატორს კენტუკიდან** — რენდ პოლს, მისი რეიტინგის სტაბილურ ზრდას ხელს უწყობს მუდმივი (და, შესაძლოა, ოდნავ პოპულისტური) კრიტიკა „ვაშინგტონში, თბილ სავარძლებში მომჯდარი“ პოლიტიკური ელიტის მიმართ, რომელმაც უბრალო ამომრჩეველი დაივიწყა. მაგრამ **მის წინააღმდეგ, ისევე, როგორც კიდევ ერთი პოტენციური კანდიდატის — პოლ რაიანის წინააღმდეგ** (წარმომადგენელთა პალატის წევრი ვისკონსინიდან და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი მიტ რომნის კამპანიის დროს) **ერთგვარი „საბიუჯეტო რადიკალიზმი“ მუშაობს.** ისინი მხარს ხარჯების მკვეთრ შემცირება-გადანაწილებას უჭერენ, კერძოდ, მათი აზრით, უზომოდ გაბერილი სოციალური დახმარებების შეკვეცას. ამასთანავე, რენდ პოლი ძალოვანი ბლოკის დაფინანსების რადიკალურ შემცირებაზე საუბრობს, რამაც შეიძლება რესპუბლიკელი ამომრჩევლების არცთუ მცირე ნაწილი გაანაწყენოს, სამაგიეროდ, სხვა ელექტორალურ ჯგუფებთან საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობას მისცეს. **რენდ პოლი ჯერჯერობით არ არის ყველაზე პერსპექტიული კანდიდატი, თუმცა ის, ალბათ, ყველაზე საინტერესოა, თუნდაც იმიტომ, რომ შედარებით თავისუფალი მანევრის და საკმაოდ საინტერესო კამპანიის დაგეგმვის პოტენციალი აქვს.**

ლათინოამერიკული წარმოშობის პოპულარული **სენატორები ტედ კრუზი და მარკო რუბიო (ტეხასი და ფლორიდა)** დღევანდელი რეიტინგების (და შიდაპარტიული გავლენის) მიხედვით „მეორე ეშელონად“ განიხილებიან, მაგრამ თითოეული მათგანი შეიძლება იქცეს კომპრომისის ფიგურად პარტიული ელიტისთვის, თუ ასეთებად არ იქცევიან ჯებ ბუში ან რენდ პოლი. უფრო სწორად, **შეიძლება მოხდეს დაახლოებით ის, რაც 2006-ში მოხდა დემოკრატიული პარტიის შიგნით, როდესაც მთელმა რიგმა ლიდერებმა დაინახეს ობამას პოტენციალი და პრაიმერის წინ, ერთი შეხედვით, მოულოდნელად, ჰილარი კლინტონის მხარდაჭერაზე უარი თქვეს.**

ჩვენ განგებ არ შევეხებით კიდევ ერთი წამყვანი კანდიდატის, **ნიუ ჯერსის გუბერნატორის — კრის კრისტის** პერსპექტივებს. რამდენიმე თვის წინათ იგი განიხილებოდა, როგორც ერთ-ერთი ფავორიტი, შესაშური საიმიჯო მახასიათებლებით, მაგრამ გასული წლის ბოლოს მოხდა ძალიან სერიოზული სკანდალი — **გუბერნატორის ხელქვეითები დაადანაშაულეს იმაში, რომ მათ განგებ შექმნეს გადაადგილების პრობლემები ნიუ იორკთან დამაკავშირებელ ხიდზე, რათა ერთ-ერთი ქალაქის მერი გუბერნატორის მიმართ გამოვლენილი არალოიალურობისთვის დაესაჯათ** (ამას მათი მიმოწერა ადასტურებს). ამ სკანდალს კრისტის რეიტინგის ვარდნა მოჰყვა, თუმცა ის ჯერ კიდევ ინარჩუნებს შესაძლებლობას, მისი შედეგები აღმოფხვრას, მეტიც, საქმე ისე წარმოაჩინოს, რომ კრიტიკულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება მიიღო და თავგასული ჩინოვნიკები თანამდებობიდან გაათავისუფლა. მაგრამ, **თუ გამოძიება ახლო მომავალში წარმოადგენს დამაჯერებელ მტკიცებულებებს იმასთან დაკავშირებით, რომ გუბერნატორმა იცოდა „სადამსჯელო აქციის“ შესახებ, კრისტის საპრეზიდენტო ამბიციებს წერტილი დაესმევა.**



## ამერიკელი რესპუბლიკელების დღევანდელი მდგომარეობა, ალბათ, შეიძლება ერთი ფრაზით აღიწეროს: «ისინი ეძებენ ახალ რეიგანს და ვერ პოულობენ»

საბოლოო ჯამში, რესპუბლიკურ პარტიას არ ჰყავს არათუ იდეალური, არამედ იდეალურთან მიახლოებული კანდიდატი და ნებისმიერ „საკადრო გადაწყვეტილებას“ არაერთი მინუსი დაუკავშირდება. ობამას ადმინისტრაციამ თავისი შეცდომებით რესპუბლიკელებს არაერთი კოზირი მისცა, თუმცა მათი გამოყენება, ავანსცენაზე კონსტრუქციული და, ამავე დროს, პოპულარული პროგრამით აღჭურვილი ძლიერი კანდიდატის, ასე ვთქვათ, „ახალი რეიგანის“ გამოყვანა ჯერჯერობით პრობლემატური ჩანს. ასე რომ, ქართველი „ნაციონალების“ ოცნებები და მოლოდინები რესპუბლიკელების გამარჯვებასთან დაკავშირებით (ის სააკაშვილის მიმდევრებს არ უშველის, მაგრამ მაინც) შეიძლება ერთობ გადაჭარბებული გამოდგეს.

## გაუმარჯოს დედოფალს?

**რესპუბლიკელების სავარაუდო კანდიდატების რეიტინგი ერთმანეთისგან რამდენიმე პროცენტით თუ განსხვავდება (10-15 პროცენტის ფარგლებში), დემოკრატებთან კი საქმე სხვაგვარადაა — ჰილარი კლინტონი უპირობოდ ლიდერობს, მის მოღვაწეობას გამოკითხული დემოკრატი ამომრჩევლების დაახლოებით 70% აფასებს დადებითად და არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მეორე ადგილზე მყოფი ვიცეპრეზიდენტი ბაიდენი მისთვის რეალური კონკურენციის გაწევას შეძლებს. ამ სიტუაციას ლიხტმანის მეორე „გასაღებამდე“ მივყავართ — როგორც პარტიული ელიტის, ისე დემოკრატი ამომრჩევლების დიდი ნაწილი თანახმაა, მხარი ჰილარი კლინტონს დაუჭიროს და, შესაბამისად, სერიოზულ შიდაპარტიულ ბრძოლას ადგილი, ალბათ, არ ექნება.**

ჯოზეფ ბაიდენისგან განსხვავებით, ჰილარი კლინტონს არჩევნებში მონაწილეობის მზადყოფნა ჯერჯერობით არ დაუდასტურებია, თუმცა ამერიკული მედია უკვე აჭრელებულია სტატიებით იმის თაობაზე, თუ ვინ გაუძღვება კლინტონის კამპანიას, ვინ შევა მის გუნდში ან, სულაც, მსჯელობით იმაზე, როგორი იქნება „ჰილარის ეპოქა“. სახელმწიფო მდივნის თანამდებობიდან წასვლამ მისთვის, როგორც პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატისთვის, დადებითი როლი შეასრულა. დღეს ის საკმარისად დისტანცირებულია ობამას ადმინისტრაციისგან და ყოველდღიური კრიტიკისგან უნიათო საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც მისი თანამდებობაზე ყოფნის ბოლო პერიოდში დაიწყო, თუმცა, ძირითადად, ოპონენტების რისხვა თავს ახალ სახელმწიფო მდივანს — ჯონ კერის დაატყდა. ამ პაუზის დროს **ჰილარი კლინტონი საზოგადოების წინაშე მხოლოდ მისთვის მომგებიან სიტუაციებში ჩნდებოდა და, იმ ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც მისი გარემოციდან პერიოდულად „ჟონავდა“, წინასწარ კონსულტაციებს აწარმოებდა მომავალ პოლიტიკურ მოკავშირეებთან, წამყვან პოლიტტექნოლოგთან და მისი კამპანიის სავარაუდო მსხვილ დამფინანსებლებთან.**

იმის შანსი, რომ დემოკრატიული პარტიის წიაღში „ახალი ობამა“ გამოიჩეკება, რომელიც კლინტონს გზას გადაუღობავს, დღეს შედარებით მცირეა. თანაც ნაკლებად სავარაუდოა, დემოკრატი ამომრჩეველი ასეთ კანდიდატს ახლაც ისეთივე ენთუზიაზმით გაჰყვეს, როგორც 2008-ში. დემოკრატიული პარტია ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შევა და 2016 წლის არჩევნებში მსგავსი პოლიტიკური სტილის მქონე კანდიდატის წამოყენება, ალბათ, უფრო რესპუბლიკელების პრეროგატივა იქნება, თუ ავანსცენაზე რენდ პოლს ან სხვა დინამიურ ლიდერს გამოიყვანენ. ამ კონტექსტში **საინტერესო ფიგურად შეიძლება მემარჯვენე რესპუბლიკელების ამომავალი ვარსკვლავი, შავკანიანი ნეიროქირურგი ბენ კარსონი მოგვეჩვენოს. დღესდღეობით მისი ძალზე პოპულარული გამოსვლები ზედმეტად რადიკალური და პოპულისტური ჩანს, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ 2016 წლის თუ არა, 2020 წლის არჩევნებისთვის ელექტორატს შესაბამისი მოთხოვნა ჩამოუყალიბდება და რესპუბლიკური პარტიის ელიტა** (ერთხელ მაინც) **გარისკავს.**

თუ ჯანმრთელობა (ამასთან დაკავშირებით ბევრი ჭორი ვრცელდება) ან რაიმე სხვა გაუთვალისწინებელი გარემოება ჰილარი კლინტონს კანდიდატურის წამოყენებაში ხელს არ შეუშლის, ის, თავისი უკიდურესობებისგან თავისუფალი, „საშუალო არითმეტიკული“ პოლიტიკური პლატფორმით, გავლენით, რესპექტაბელური (ყველაფრის მიუხედავად) იმიჯით, შესაშური კავშირებითა და კლინტონების კლანის მიერ გამოზრდილი ჩინოვნიკების მთელი არმიით, დიდი ალბათობით, ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ქალი-პრეზიდენტი გახდება; მისი შეჩერება როგორც თანაპარტიელებს, ისე რესპუბლიკელებს ამჯერად ძალიან გაუჭირდებათ.



## ყველაზე ძვირად ღირებული წითელი ღვინო

**დუბაის საერთაშორისო აეროპორტში მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ღვინო იყიდება. ერთი მოზრდილი 12-ლიტრიანი ბოთლის ფასი 195 000 აშშ დოლარია. ეს არის Balthazar of Chateau Margaux-ის მიერ დამზადებული 2009 წლის სპეციალური ჩამოსხმა შეზღუდული რაოდენობით — სულ 6 ცალი, მათ შორის 3 გასაყიდად გამოიტანეს.**

მსოფლიოში ამ ყველაზე ძვირადღირებული წითელი ღვინის მყიდველს შესაძლებლობა ექნება, პირველი კლასით გაფრინდეს საფრანგეთში — ბორდოში, სადაც იგი კერძო ვენახებსა და ღვინის საწარმოებს მოინახულებს.

Chateau Margaux–ის ვენახებს 4-საუკუნოვანი ისტორია აქვს და შესაბამისად საინტერესო იქნება მის მიერ კონკრეტული წითელი ღვინის ტექნოლოგიური პროცესების გაცნობა.



## პიცა ადგილზე მიფრენით

**Dominos Pizza-ში შეკვეთის ადგილზე მიტანის ახალი სერვისის ტესტი ჩაატარეს. მფრინავი კურიერის საშუალებით პიცის მიტანა უკვე ბუნების დაბინძურების გარეშე შეიძლება.** იდეა სააგენტო T + Biscuits ეკუთვნის, მფრინავი აპარატის კონსტრუქცია AeroSight-ს. eco-friendly აპარატს მხოლოდ ერთი მინუსი აქვს — მისი საშუალებით მხოლოდ მოკლე მანძილზეა გადატანა შესაძლებელი.

როგორც ჩანს, კურიერები ამ აპარატის გამო სამსახურს დაკარგავენ.



## ყველაზე მოულოდნელი მშობიარობა

**კონექტიკუტში მცხოვრებმა ჯენიფერ სქოლინმა დილით მუცელში ძლიერი ტკივილი იგრძნო. თავდაპირველად ქალს ეგონა, რომ მოწამლული იყო, თუმცა მიზეზი სულ სხვა რამ აღმოჩნდა: მალე სქოლინმა წყლები დაღვარა და 4 კილოგრამამდე წონის ბიჭუნა გააჩინა.**

ექიმებმა პაციენტის საავადმყოფოში გადაყვანა ვერ მოასწრეს, ბავშვი სახლთან ახლოს, სასწრაფო დახმარების მანქანაში დაიბადა. 9 თვის მანძილზე ქალი მხოლოდ წონის მომატების გამო წუწუნებდა და ორსულისთვის დამახასიათებელი არც ერთი სიმპტომი არ უგრძვნია. **„როგორ არ უნდა მცოდნოდა, რომ კვირიდან კვირამდე ეს პატარა საოცრება მეზრდებოდა მუცელში“,** — ამბობდა გაოგნებული და ბედნიერი დედა. ჯენიფერს და მის ბოიფრენდ მეთიუ დილმანს უკვე ჰყავთ ერთი შვილი — 4 წლის კელსი.

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

1991 წელს ბილდერბერგის კლუბის კონფერენციაში მონაწილეობდა ბილ კლინტონი, რომელიც იმხანად არკანზასის გუბერნატორი იყო, ორი წლის შემდეგ — ტონი ბლერი, იმხანად ინგლისის პარლამენტის წევრი. ევროკავშირის კომისიების თავმჯდომარეებიც (ამ პოსტზე დანიშვნამდე) მონაწილეობდნენ კლუბის შეხვედრებში.

# ვინ მართავს მსოფლიოს?

**არსებობს უამრავი მტკიცებულება, თუ როგორ ახდენს გავლენას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე ბილდერბერგის კლუბი, როცა მისი ძალისხმევით, დემოკრატიული პრინციპების ულეგებელყოფით, ინიშნებიან და თავისუფლდებიან პრეზიდენტები და პრემიერმინისტრები.**




„ბილდერბერგის კლუბის 62-ე კონფერენცია 2014 წლის მაისის ბოლოს დანიაში გაიმართება“ — ნათქვამია ბილდერბერგის კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

**კონფერენციის გამართვის ადგილი — ქალაქი ან სასტუმრო — ჯერჯერობით მითითებული არ არის, თუმცა კლუბი კონფერენციებს ყოველთვის დიდ ქალაქებთან ახლოს მდებარე მდიდრულ კურორტებზე მართავს.**

**რა გავლენას ახდენენ მდიდრების და ამა ქვეყნის კლუბთა გაერთიანებები საერთაშორისო ურთიერთობებზე და მთავრობების პოლიტიკაზე? ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას, ბილდერბერგის კლუბს, ხშირად მოიხსენიებენ გლობალურ ჩრდილოვან მთავრობად.**

ყოველ წელს, დაწყებული 1954 წლის 13 მაისიდან, მდიდარი და გავლენიანი ადამიანების ჯგუფი აწყობს შეხვედრას, რომელზეც მსჯელობენ ტრანსატლანტიკური კავშირის, ევროპისა და ამერიკის პრობლემებზე.

**ბილდერბერგის კლუბი — ეს არის მსოფლიოს წამყვანი ქსელური სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს „გლობალურ ელიტას“ მიკუთვნებულ პოლიტიკოსებს, ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმომადგენლებს, საიდუმლო სამსახურებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს.**

კლუბში გაწევრებულია 383 ადამიანი, მათგან 128, ანუ მესამედი ამერიკელია, დანარჩენი — ევროპელები და აზიელები (იაპონელები, კორეელები, სინგაპურელები, ტაივანისა და ჰონგკონგის წარმომადგენლები). ყოველწლიურ კონფერენციაში მონაწილეობს კლუბის 130 წევრი, რომელთა დიდი ნაწილი პოლიტიკის, ბიზნესისა და საბანკო სფეროების წარმომადგენელია, აგრეთვე, — დასავლური მედიის ხელმძღვანელი.

**კონფერენციის სხდომები გასაიდუმლოებულია, რის გამოც ბევრი კონსპიროლოგი ამტკიცებს, რომ ბილდერბერგის კლუბი მსოფლიოს საიდუმლო მთავრობაა და მსოფლიოს მართავს.**

კონსპიროლოგიურ წყაროებში ხშირად არის მოყვანილი **ამონარიდი დევიდ როკფელერის სიტყვიდან, რომელიც მან 1991 წლის 8 ივნისს ესენში (გერმანია) სამმხრივი კომისიის სხდომაზე წარმოთქვა: „ჩვენ მადლიერნი ვართ The Washington Post-ის, The New York Times, Time Magazine-ს და სხვა პოპულარული გამოცემების, რომელთა ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ ჩვენს შეხვედრებს და თითქმის 40 წლის განმავლობაში იცავდნენ კონფიდენციალურობას. ჩვენ ვერ შევძლებდით მსოფლიოსთვის გეგმის შემუშავებას, თუკი იმ წლებში ეს გეგმა გახმაურდებოდა, მაგრამ ახლა მსოფლიო განვითარდა და ის მზად არის მსოფლიოს მთავრობისთვის.**

**მსოფლიოზე ნაციონალური ინტელექტუალური ელიტისა და ბანკირების უზენაესი ბატონობა, უეჭველია, უფრო უკეთესია, ვიდრე ნაციონალური თვითგამორკვევა, რაც გასული ასწლეულის განმავლობაში იყო დამკვიდრებული“.**

2010 წელს ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა და ბილდერბერგის კლუბის წევრმა **ვილი კლაასმა** აღიარა, რომ კლუბის წევრებს აქვთ უფლება, აღასრულონ შეკრებაზე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

გარდა ამისა, **არსებობს უამრავი მტკიცებულება, თუ როგორ ახდენს გავლენას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე ბილდერბერგის კლუბი, როცა მისი ძალისხმევით, დემოკრატიული პრინციპების ულეგებელყოფით, ინიშნებიან და თავისუფლდებიან პრეზიდენტები და პრემიერმინისტრები**.

ბილდერბერგის კლუბის შეხვედრებში ხშირად მონაწილეობენ მომავალი პოლიტიკური ლიდერები და ეს ხდება მანამ, სანამ მათი სახელები საყოველთაოდ გახდება ცნობილი. მაგალითად, **1991 წელს ბილდერბერგის კლუბის კონფერენციაში მონაწილეობდა ბილ კლინტონი, რომელიც იმხანად არკანზასის გუბერნატორი იყო, ორი წლის შემდეგ — ტონი ბლერი, იმხანად ინგლისის პარლამენტის წევრი. ევროკავშირის კომისიების თავმჯდომარეებიც (ამ პოსტზე დანიშვნამდე) მონაწილეობდნენ კლუბის შეხვედრებში**.

ბოლო 50 წლის განმავლობაში ბილდერბერგის კლუბმა მსოფლიოს პოლიტიკის გლობალურ პროცესებზე უდიდესი გავლენა მოახდინა, რითაც, ექსპერტთა აზრით, ძირი გამოუთხარა დემოკრატიის პრინციპებს. ასეთი ორგანიზაციები კი მანამდე იარსებებს, ვიდრე ბიზნესი და პოლიტიკა დამოკიდებული იქნება ერთმანეთზე.

**დევიდ როკფელერი:**

**«მსოფლიოზე ნაციონალური ინტელექტუალური ელიტისა და ბანკირების უზენაესი ბატონობა, უეჭველია, უკეთესია, ვიდრე ნაციონალური თვითგამორკვევა, რაც გასული ასწლეულის განმავლობაში იყო დამკვიდრებული»**



## ამერიკელმა მეგობარს თავი მოაჭრა და მას დროდადრო ესაუბრებოდა

**აშშ-ის სასამართლოს წინაშე წარდგება ქალაქ ტოპიკას (კანზასის შტატი) მცხოვრები, 29 წლის ჯეიმს პოლ ჰარისი, რომელიც თავის მეგობარს სასტიკად გაუსწორდა. ჰარისმა მეგობარი მოკლა, შემდეგ კი კულტ ვუდუს რიტუალების შესასრულებლად თავი მოაჭრა.**

ეს მხეცური მკვლელობა 2011 წელს მოხდა, თუმცა 49 წლის ჯეიმს ჯერეტის ნეშტი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იპოვეს. მკვლელი ჩადენილი ბოროტმოქმედების შესახებ მოუყვა ყოფილ მეგობარ ქალს, რომელმაც ეს ამბავი პოლიციას აცნობა.

ჰარისმა ჯერეტი გიტარის სიმით დაახრჩო, შემდეგ კი თავი მოაჭრა. მკვლელის ყოფილმა მეგობარმა ქალმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ მისი ექსშეყვარებული კულტ ვუდუს მიმდევარია და მამაკაცის თავი რიტუალების ჩასატარებლად სჭირდებოდა — ჰარისი მეგობრის მოკვეთილ თავს ტილოს ტომარაში ინახავდა და დროდადრო იღებდა, მასთან რომ „ესაუბრა“. მოგვიანებით კი მოკვეთილი თავი სახლიდან 25 კმ-ის მოშორებით მიწაში ჩამარხა.



## Mozilla-ს გენდირექტორი ლგბტ-ს საწინააღმდეგო პოზიციისთვის გაათავისუფლეს

**ტრადიციული ფასეულობების დაცვის მსხვერპლი Mozilla-ს ხელმძღვანელი ბრენდან აიკი, რომელიც ჰომოფობიაში დაადანაშაულეს, თანამდებობიდან გადადგა — ახალი გენდირექტორის პოზიცია კომპანიის კონცეფციას ეწინააღმდეგებოდა.**

ბრენდან აიკმა, Java Script-ის პროგრამირების ენის შემქმნელმა და Mozilla-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, გენდირექტორის პოსტზე სულ რამდენიმე დღეს იმუშავა. ის იძულებული შეიქნა, განცხადება დაეწერა, როდესაც გახმაურდა ინფორმაცია, რომ გეების საწინააღმდეგო კამპანიაში იყო ჩართული, კერძოდ, ფინანსურად უჭერდა მხარს კამპანიას, რომელიც მიმართული იყო ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ. სწორედ ამან გამოიწვია კოლეგებისა და პარტნიორების აღშფოთება Mozilla-ში. ვინ იქნება Mozilla-ს ახალი გენდირექტორი, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.




## ხოცვა-ჟლეტა ამერიკულ სამხედრო ბაზაში — «ერაყულმა სინდრომმა» თავი აშშ-ში იჩინა

**2 აპრილს სამხედრო ბაზა ფორტ-ჰუდში (ტეხასი, აშშ) ატეხილი სროლის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, 16 — დაიჭრა, ხოლო მან, ვინც სროლა ატეხა, თავი მოიკლა. ყველა — დაღუპულიც და დაჭრილიც — სამხედრო მოსამსახურეა.**

სამხედრო ბაზა ფორტ-ჰუდში დატრიალებულ ტრაგედიას პენტაგონის პირველი ოფიციალური კომენტარი მოჰყვა. გენერალ-ლეიტენანტმა მარკ მელიმ განაცხადა, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა ტერორისტული აქტი არ ყოფილა და დამნაშავე, 34 წლის სამხედრო მოსამსაურე ივან ლოპესი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ერაყის სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის შემდეგ ე. წ. ერაყის სინდრომით იყო დაავადებული.

ამ ტრაგედიას აშშ-ში დიდი რეზონანსი ჰქონდა. სამხედრო ბაზა, სადაც მოხდა ხოცვა-ჟლეტა, ყველაზე დიდია ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, იქ 40 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხოლო სულ 70 ათასი კაცი მსახურობს.

**აღსანიშნავია, რომ ფორტ-ჰუდში მსგავსი ტრაგედია 2009 წელსაც მოხდა. სამხედრო ექიმმა-ფსიქიატრმა, მაიორმა ნიდალ მალიქ ჰასანმა ყოფილი თანამშრომლები დახოცა — მოკლა 13 და დაჭრა 30 ადამიანი. 2013 წელს ნიდან მალიქ ჰასანს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა — მიუსაჯეს**.



ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 8. ედვარდ სნოუდენის მამხილებელი დოკუმენტები

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს „უძლეველობის“ რეპუტაციას მტკივნეულად დაარტყა ედვარდ სნოუდენის მიერ გამოქვეყნებულმა მამხილებელმა დოკუმენტებმა. ედვარდ სნოუდენი, რომელმაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო საყოველთაო მოსმენებსა და თვალთვალში ამხილა, ჯერჯერობით რუსეთში რჩება.



# აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 8 ბრიყვული შეცდომა




**ახლახან გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა მასალა, რომელშიც ნათქვამია, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები ექჳმიტანილებისგან სასურველ ჩვენებას მათი წამებით იღებდნენ, ამასთან, ამ მეთოდით ჩვენების მიღების მცდელობა ხშირად უშედეგო იყო. მასალაში მოყვანილია კუბაში, გუანტანამოში მდებარე ამერიკულ საპყრობილეში პატიმრების წამების ფაქტები. აღსანიშნავია, რომ ამ საპყრობილის დახურვის შესახებ პრეზიდენტმა ობამამ არაერთხელ განაცხადა, თუმცა ის დღემდე ფუნქციონირებს.**
**ქვემოთ კი გაეცანით აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაშვებულ ბრიყვულ შეცდომებს.**



## 1. უცნობი ბომბი

1949 წლის 20 სექტემბერს ცსს-მ აშშ-ის მთავრობას წარუდგინა პროგნოზი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ „სსრკ ატომურ ბომბს 1950-იან წლებში შექმნიდა, სავარაუდოდ, 1953 წელს“.

აღსანიშნავია, რომ ცსს-ს ამ პროგნოზამდე 22 დღით ადრე — 1949 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა თავისი პირველი ატომური ბომბი სემიპალატინსკის პოლიგონზე გამოსცადა.



## 4. ტროას «სტელსი»

1970 წელს სსრკ-სა და აშშ-ს შორის დაიწყო შეიარაღების რბოლის ახალი ეტაპი, რომელიც თავდაცვის საწინააღმდეგო სისტემებისთვის თვითმფრინავების აღმოჩენის ალბათობის შემცირებასთან იყო დაკავშირებული. ამ მიმართულებით სამუშაოებს ორივე მხარე აწარმოებდა, მზვერავები კი მოწინააღმდეგის მთავარი საიდუმლოების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. ეს 1980-იანი წლების დასაწყისში მოახერხა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ, ოღონდ საიდუმლო ოპერაციის შედეგად ისეთი „ღირებული“ ინფორმაცია მიიღეს, რომ მათი თვითმფრინავები — „სტელსები“ — თავიანთი რადარებისთვის შეუმჩნეველი აღმოჩნდნენ, საბჭოთა რადარები კი მათ მშვენივრად ხედავდნენ.

## 2. ბერლინის გვირაბი

1953-56 წლებში აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (ცსს) ბრიტანულ სპეცსამსახურ MI 6-თან ერთად თავხედური ოპერაციის განხორციელება განიზრახა — დასავლეთ ბერლინიდან გათხარეს გვირაბი და ჩაერთნენ იმ სატელეფონო კომუნიკაციებში, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას მოსკოვთან აკავშირებდა. საიდუმლო საინჟინრო-ტექნიკური სამუშაოები წარმატებით ჩატარდა, რადგან ამას ხელი საბჭოთა დაზვერვამაც შეუწყო. სსრკ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა ამ ოპერაციის შესახებ დაგეგმვისთანავე შეიტყვეს და ისე იქცეოდნენ, თითქოს არაფერი ხდებოდა — საბჭოთა მზვერავები ერთი წლის განმავლობაში დეზინფორმაციით კვებავდნენ ამერიკელ კოლეგებს. ცსს-ს თანამშრომლებმა, საერთო ჯამში, 443



ათას „საუბარს“ მოუსმინეს, რომელთა გაშიფვრასაც 2 წელზე მეტი დასჭირდა. ოპერაცია კი ასე დასრულდა: 1956 წლის 22 აპრილს ამერიკული გვირაბი „შემთხვევით“ აღმოაჩინეს მუშებმა, რომლებიც სარემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ. ამის შემდეგ კი გვირაბში ჟურნალისტები მიიწვიეს.




## 5. კუბური ილუზია

1962 წლის 19 სექტემბერს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლებმა პრეზიდენტი კენედი დაარწმუნეს, რომ კუბის ტერიტორიაზე საბჭოთა რაკეტების განლაგება „შეუთავსებელია საბჭოთა პოლიტიკისთვის“. ამის მიუხედავად, იმავე წლის 14 ოქტომბერს ამერიკული მზვერავი თვითმფრინავის, U-2-ის მიერ გადაღებული ფოტოებით დადგინდა, რომ კუბაზე უკვე 40 საბჭოთა ატომური რაკეტა იყო განლაგებული. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ ცსს-ს საბჭოთა სამხედრო კონტინგენტშიც შეცდა — კუბაზე საბჭოთა სამხედროები სამჯერ მეტი იყვნენ, ვიდრე ამას ლენგლი ვარაუდობდა.



## 3. ჯაშუში თვითმფრინავის აღსასრული

1960 წლის 1 მაისს ფრენსის პაუერსი, ამერიკელი მფრინავი და ცსს-ს აგენტი ჩვეულ სადაზვერვო ფრენას ახორციელებდა. მისი მიზანი იყო სსრკ-ის ტერიტორიაზე სამრეწველო და სამხედრო ობიექტებისთვის ფოტოების გადაღება, აგრეთვე, რადიოსალოკაციო სადგურების სიგნალების ჩაწერა. ასეთი ფრენა პაუერსისთვის პირველი არ ყოფილა, თუმცა, ამჯერად საბჭოთა მესაზღვრეებმა სადაზვერვო საქმიანობა არ დაასრულებინეს. პაუერსის ჯაშუშ თვითმფრინავს (U-2), რომელიც 10 კილომეტრის სიმაღლეზე ფრენდა, რაკეტები ესროლეს და ჩამოაგდეს. პაუერსმა კატაპულტირება კი მოახერხა, მაგრამ შეიპყრეს, გაასამართლეს და 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მოგვიანებით ის საბჭოთა მზვერავ რუდოლფ აბელში გაცვალეს.



## 6. ცსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის შეფი — რუსეთის სპეცსამსახურის აგენტი

„ცივი ომის“ პერიოდში ცსს-ს მთავარ ჩავარდნად კა-გე-ბეს მიერ **ოლდრიჩ ჰაიზენ ეიმსის** გადაბირება ითვლება. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თითქმის 10 წლის განმავლობაში მუშაობდა ჯერ სსრკ-ს, შემდეგ კი რუსეთის დაზვერვისთვის და მათ გადასცემდა უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას, რომლის წყალობითაც ცსს-ს ყველა მცდელობა, ადამიანები სსრკ-ში აგენტურული საქმიანობისთვის გადაებირებინა, წყალში იყრებოდა. ეიმსი მომავალშიც აპირებდა რუსეთის სპეცსამსა-



ხურებთან თანამშრომლობას, მაგრამ 1994 წელს დააპატიმრეს და ახლა სამუდამო პატიმარია.

## 7. «გამოუცდელი ჯაშუში»



2013 წლის მაისში რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ეფ-ეს-ბე) თანამშრომლის გადაბირების მცდელობისას დააკავეს აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების მესამე მდივანი რაიან ფოგლი. ცსს-ს თანამშრომელი გადასაბირებელ პირთან ღია ტექსტით საუბრობდა თანამშრომლობის დეტალებზე, ოპერაციის ადგილას პარიკით მივიდა, დაკავების შემდეგ კი მას კიდევ ერთი პარიკი, ორი სათვალე, დანა, კომპასი და მოსკოვის რუკა უპოვეს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს ფლობენ, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკა მაინც უწესრიგოდ რჩება, რადგან სინამდვილეში მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან დამოუკიდებელი სუვერენული ერთეულები, რომლებიც არ აღიარებენ არანაირ ზემდგომ უფრო მაღალ ხელისუფლებას.**





## ყველაზე დიდი ბეჭდები

**ჩვეულებრივ, ბეჭდები იმისთვის იქმნება, რომ ადამიანმა თითზე გაიკეთოს, ხაზი გაუსვას კარგ გემოვნებას, ოჯახურ მდგომარეობასა და კეთილდღეობას, თუმცა ზოგიერთი ამ სამკაულს იმისთვის ქმნის, რომ გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს.**

პაკისტანელ იუველირებს 74-კილოგრამიანი ბეჭდის დასამზადებლად 577 დღე, ანუ წელიწად-ნახევარი დასჭირდათ. 18-კარატიანი ოქროსა და 10-კარატიანი ვერცხლისგან შექმნილ სამკაულს, რომლის ზომა 1,27მ/1,45მ-ია, 120 ქვეყნის დროშა ამშვენებს, ცენტრში კი უზარმაზარი კრისტალია მოთავსებული, რომელიც 4 650 გრამს იწონის.

იუველირებმა მიზანს მიაღწიეს – რეკორდების წიგნში მოხვდნენ. ამ ბეჭდის წინამორბედი რეკორდსმენი, რომელიც საუდის არაბეთში დამზადდა, 64 კილოგრამს იწონიდა.

„სიყვარულის სურნელი“ – ასე ეწოდება 71.6 კილოგრამი წონის უდიდეს ვერცხლის ბეჭედს. ბეჭდის დიამეტრი 85 სანტიმეტრია და მის 97.83 პროცენტს სუფთა ვერცხლი შეადგენს. ეს ბეჭედიც, ისევე, როგორც ზემოხსენებული, პაკისტანშია დამზადებული.

ყველაზე დიდი და მძიმე ოქროს ბეჭედი – ტაიბას ვარსკვლავი, 63.85 კილოგრამს იწონის და დუბაიში ინახება. იგი 2000 წელს 21-კარატიანი ოქროსგან, 5.17 კილოგრამი ძვირფასი და 615 ცალი სვაროვსკის ქვისგანაა დამზადებული. ბეჭედზე 45 დღის განმავლობაში 55 იუველირი მუშაობდა.

ბეჭდის ღირებულება 3 მილიონი დოლარია.



# საერთაშორისო ორგანიზაციების კრიზისი და უმართავი მსოფლიო

**მრავალმხრივი ინსტიტუტები ძალზე შენელებულნი და სწორხაზოვნები არიან, საჭიროა დამატებითი შეთანხმებები — არაგულგრილთა კოალიციები, რეგიონული და სუბრეგიონული დაწესებულებები, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა და ქცევის არაფორმალური კოდექსები.**

საპრეზიდენტო კომპანია-2008-ის დროს ბარაკ ობამამ პირობა დადო, რომ განაახლებდა იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამონგრეულ შენობებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნა. მან საკადრისი მიაგო ფრანკლინ რუზველტის, გარი ტრუმენისა და ჯორჯ მარშალის თაობას, მათ, ვისი წყალობითაც გაჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ბრეტონ-ვუდსისეული ინსტიტუტები და ნატო. მათმა გენიამ, განაცხადა მან, საშუალება მოგვცა, გაგვეგო, რომ **„ეს ორგანიზაციები კი არ შეზღუდავდნენ, არამედ გაზრდიდნენ ჩვენს ძალასა და შესაძლებლობებს“.** მაგრამ ახლა, აღნიშნა ობამამ, ომისშემდგომი პერიოდის მოძველებული კონსტრუქციები ჭრიალებს და ფამფალებს და **„იმისათვის, რომ შევესაბამებოდეთ სწრაფად ცვალებად საფრთხეებს, რომლებსაც ვეჯახებით“,** საჭიროა მსოფლიო ინსტიტუტების შექმნის ახალი ერა.

ობამას პრეზიდენტობის ხუთი წლის მანძილზე ამ ფრონტზე დიდი წარმატებების მიღწევა ვერ მოხერხდა და მათი მიღწევის იმედიც დიდი არ არის. ოფიციალური მრავალმხრივი ორგანიზაციები არაეფექტურად მოქმედებენ — ატარებენ შეკრებებს, გამოსცემენ ანგარიშებს, ტრანსნაციონალური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად უმნიშვნელო ნაბიჯებს დგამენ, მაგრამ ჯერჯერობით მინიშნებაც კი არ ჩანს, გაძლიერების გზაზე მდგომი სახელმწიფოების პროცესში სრულუფლებიან პარტნიორებად ჩართვის თაობაზე. **ამავე დროს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია კომატოზურ მდგომარეობაშია, ნატო მთელი ძალით ცდილობს, გაიგოს საკუთარი არსებობის არსი და სტრატეგიული მიზნები, ხოლო ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო უსიამოვნებების წინაშეა, რადგან ჩინეთსა და ინდოეთს წევრობაზე უარი განუცხადა.**

საერთაშორისო თანამშრომლობაზე მოთხოვნა არ მცირდება. სინამდვილეში ახლა ის, როგორც ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების, გარემოს მდგომარეობის გაუარესების, ტრანსნაციონალური საფრთხეების გავრცელების და ტექნოლოგიური ცვლილებების დაჩქარების შედეგი უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე.

მაგრამ მსოფლიო საზოგადოების რეაქცია წარმოშობილ გამოწვევებზე გაცილებით უფრო ქმედითია ფორმალური ორგანიზაციების ფარგლებს მიღმა, როდესაც იმედგაცრუებული მოქმედი სუბიექტები მიმართავენ ურთიერთქმედების ისეთ მეთოდებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება კონკრეტულ ამოცანებს. გაეროს მსგავსი მსოფლიო ორგანიზაციებისა და იურიდიული შეთანხმებების ფარდობითი მნიშვნელობა იკლებს, რადგან **ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა სახელმწიფოები უპირატესობას ანიჭებენ რა ნაკლებად მასშტაბურ თანამშრომლობას დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის, ქცევის გარკვეულ კოდექსებს და არასახელმწიფოებრივ მოქმედ სუბიექტებთან პარტნიორობას, უფრო მეტად ეყრდნობიან რეგიონულ სტრუქტურებს.** და ეს ტენდენციები მომავალში მხოლოდ გაძლიერდება. აწი საეჭვოა, მოვესწროთ ახლანდელი ორგანიზაციების განახლებას ან ახალი ბრწყინვალე საერთაშორისო არქიტექტურის წარმოშობას. უფრო მოსალოდნელია, გავხდეთ იმ მრავალმხრივი ურთიერთობების ნაკლებმიმზიდველი, მაგრამ ადაპტური სისტემის შემდგომი გავრცელების მოწმენი, რომლებიც გვთავაზობენ საერთაშორისო თანამშრომლობის ამოცანების ნაწილობრივ და შუალედურ გადაჭრას არაფორმალური შეთანხმებების ქაოტური ნარევით და პრობლემების ეტაპობრივ, ნაგლეჯ-ნაგლეჯ მოგვარებას.

ტერმინი **„გლობალური მმართველობა“** მიანიშნებს არა მსოფლიო ხელისუფლებაზე (რომელსაც აღარავინ ელის და რომელიც აღარავის სურს), არამედ რაღაც გაცილებით უფრო პრაქტიკულზე:



**სუვერენული სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა არასახელმწიფოებრივი მოქმედი სუბიექტების კოლექტიურ ძალისხმევაზე საერთო გამოწვევების საპასუხოდ და სახელმწიფო საზღვრებიდან გამავალი შესაძლებლობების გამოყენებაზე.**

შიდა პოლიტიკაში მართვა პირდაპირ ხორციელდება. მას უზრუნველყოფს მთავრობა ფორმალური იერარქიული სტრუქტურებით, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება, შემოიღონ წესები და თვალი ადევნონ ამ წესების დაცვას.

საერთაშორისო საქმეებში ან ტრანსნაციონალურ სფეროში ყველაფერი გაცილებით რთულად და არა ერთმნიშვნელოვნადაა. არსებობს რაღაც იერარქია. მაგალითად, **გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს ფლობენ, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკა მაინც უწესრიგოდ რჩება, რადგან სინამდვილეში მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან დამოუკიდებელი სუვერენული ერთეულები, რომლებიც არ აღიარებენ არანაირ ზემდგომ უფრო მაღალ ხელისუფლებას.** რა თქმა უნდა, თანამშრომლობა ამგვარი ანარქიის პირობებშიც შეიძლება. ნაციონალური ხელისუფლებები ხშირად ერთობლივად მოქმედებენ ქცევის ერთიანი სტანდარტების დასამკვიდრებლად ვაჭრობაში ან უშიშროებაში, ნერგავენ ნორმებს და წესებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საერთო კეთილდღეობა ან შეამცირონ მსოფლიოში ნეგატიური მოვლენები. მაგრამ გაცილებით უფრო მჭიდროდ მოთანამშრომლე მრავალმხრივი ორგანიზაციები, მათ შორის ისინიც, რომლებიც საერთაშორისო სამართალს ემორჩილებიან, არ ფლობენ რეალურ უფლებამოსილებას, რომ იბრძოლონ კოლექტიური გადაწყვეტილებების დაცვის მისაღწევად. ამრიგად, ის, რასაც მმართველობად ასაღებენ, ფორმალური და არაფორმალური სტრუქტურების ნაკუწებისგან ცუდად შეკერილ საბანს ჰგავს.

გარდა ოფიციალური წევრებისგან შემდგარი დიდი ხნის არსებული მსოფლიო ორგანიზაციებისა, არსებობს უამრავი რეგიონული ბლოკი, მრავალმხრივი ალიანსები და ჯგუფები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მუდმივი საკონსულტაციო ორგანოები და მექანიზმები, კლუბები, კოალიციები და კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმებები, ტრანსნაციონალური პროფესიული ქსელები, ტექნიკური ორგანიზაციები, რომლებიც შეიმუშავებენ სტანდარტებს, ერთობლივი ქმედებების საკოორდინაციო გლობალური ქსელები და ა.შ. **ჯერჯერობით მსოფლიო არენაზე სახელმწიფო დომინირებს, თუმცა არასახელმწიფოებრივი მოთამაშეები სულ უფრო ხშირად ეხმარებიან საერთაშორისო სიახ-**

## სამმაგი ჯეკპოტი

**ისინი მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი წყვილის ტიტულს იმსახურებენ. აშშ-ის შტატ ვირჯინიაში მცხოვრებმა წყვილმა, კალვინ და ზატერა სპენსერებმა, ლატარეაში ჯეკპოტი სამჯერ მოიგეს და თანაც ერთ თვეში. ისინი ერთ თვეში მილიონრები გახდნენ.**

1 მილიონი დოლარი წყვილმა თვის დასაწყისში მოიგო. 2 კვირის შემდეგ ლატარეაში ისევ გაიმარჯვეს და ამჯერად ანგარიშზე 50 000 დოლარი დაერიცხათ, ხოლო თვის ბოლოს კიდევ 1 მილიონი დოლარი ჯილდოს სახით ბარათზე დაერიცხათ. მსგავსი შემთხვევა 5 მილიონში ერთია.

„ამას არ დავჯერდებით. ძალიან ბედნიერები ვართ და ლატარიის თამაშს გავაგრძელებთ“, — ამბობენ ისინი.




## ყველაზე ძვირადღირებული ქალის ჩექმა

**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ქალის ჩექმა წარმოადგინეს ჰონკონგში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე. პრეზენტაცია ორგანიზებულ იქნა 400 VIP-პერსონისთვის. რაც შეეხება ყველაზე ძვირადღირებულ ფეხსაცმელს, ეს იყო ბელგიაში დაფუძნებული 2 კომპანიის: A.F. Vandevorst-ისა და Diarough/ UNI-Design-ის მიერ შექმნილი ჩექმა, რომლის საფასურიც 3.1 მილონი აშშ დოლარია.**

ჩექმის შესაქმნელად გამოყენებულ იქნა 4,7 კილოგრამი ოქრო და ასევე რუხი, ვარდისფერი და შამპანურის შეფერილობის ბრილიანტები, რომელთა რაოდენობამ სულ 39083 შეადგინა. ექსკლუზიურობისთვის ჩექმაზე დატანილია A.F. Vandevorst-ის უნიკალური ლოგოტიპი, რომლისთვისაც ვარდისფერი შეფერილობის იშვიათი ბრილიანტებია გამოყენებული.



## მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია კომატოზურ მდგომარეობაშია, ნატო მთელი ძალით ცდილობს, გაიგოს საკუთარი არსებობის არსი და სტრატეგიული მიზნები. გაეროს უშიშროების საბჭოს ლეგიტიმურობის კრიზისი კი მხოლოდ ღრმავდება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლეების ფორმირების, ახალი წესების შექმნის და ვალდებულებების დაცვის კონტროლის საქმეს.**

ეს თითქოს ქაოსია, მაგრამ მას უპირატესობებიც აქვს. ვერც ერთი მრავალმხრივი ორგანიზაცია ვერ შეძლებდა, მარტო გამკლავებოდა ყველა რთულ ტრანსნაციონალურ პრობლემას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რამდენად ენერგიულად და ეფექტურად გააკეთებდა ამას. უამრავი ორგანიზაციისა და ფორუმის არსებობა ყოველთვის არაეფექტური არაა, რადგან მხარეებს საშუალებას აძლევს, იმოქმედონ უფრო დაჟინებით და მოქნილად, სწრაფად მოახდინონ რეაგირება ახალ გამოწვევებზე. მიუხედავად იმისა, თუ ვინ რას ფიქრობს ახლანდელ მსოფლიო უწესრიგობაზე, ახლო მომავალში ის არსად წავა, ამიტომ მთავარი ამოცანაა, როგორმე ვაიძულოთ ეს უწესრიგობა, უკეთ იმუშაოს.

მსოფლიო მეურნეობის თანამედროვე მმართველობის ცენტრში კვლავაც გაერო დგას, მის მთავარ საყრდენად კი კვლავაც რჩება უშიშროების საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილი ქვეყნები არიან გაერთიანებულნი. **თეორიულად გაეროს უშიშროების საბჭოს შეეძლო კოორდინირება გაეწია მსოფლიო საზოგადოების პასუხისთვის ყველაზე მთავარ საფრთხეებზე, მაგრამ პრაქტიკაში მისი მოღვაწეობა იმედგაცრუებას იწვევს, რადგან ხუთი მუდმივი წევრი (აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი) ხშირად ვერ ახერხებს ერთმანეთთან შეთანხმებას და, თითეული ფლობს რა ვეტოს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ბლოკავს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას.** რა თქმა უნდა, ასე იყო დასაწყისიდანვე, მაგრამ უშიშროების საბჭოს მნიშვნელობა ბოლო პერიოდში კიდევ დაეცა, რადგან მისი შემადგენლობა არ ასახავს სწრაფად ცვალებად მსოფლიოში ძალთა გადანაწილებაში მომხდარ ძვრებს.

ობამას ადმინისტრაცია, ისევე, როგორც მისი წინამორბედები, ათამაშებდა გაეროს წესდებაში უშიშროების საბჭოს შემადგენლობის განახლების იდეას, მაგრამ ვერ გადაწყვიტა ამის დაჟინება, რადგან შიშობდა, რომ დიდი უფლებამოსილების მქონე ახალი წევრების გარემოცვაში აშშ-ის გავლენა დაეცემოდა. მაგრამ ვაშინგტონს უფრო დაბეჯითებით რომ მოეთხოვა ცვლილებები, ახლანდელი სიტუაციის შეცვლა მაინც ძნელი იქნებოდა. გაფართოების ნებისმიერ გეგმას მხარი უნდა დაუჭიროს გაეროს გენერალური ასამბლეის 193 წევრმა ქვეყანამ, მის რატიფიცირებას კი ახორციელებენ უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი ქვეყნის პარლამენტები. იმ სახელმწიფოებსაც კი, რომლებიც მხარს უჭერენ გაფართოებას, არ შეუძლიათ საერთო ენის გამონახვა, როდესაც დაისმის კითხვა, თუ ვინ დარჩება მოგებული. ამიტომ, მართალია, სიტყვიერად ყველა გაფართოების მომხრეა, საქმეს ეს არ ეტყობა — მოლაპარაკებები უსასრულოდ იწელება და კონკრეტული შედეგები არ არსებობს.



**ვიდრე აშშ შედარებით ვარდნას განიცდის, ევროპა და იაპონია კი — უძრაობას, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, რუსეთი, თურქეთი, ინდონეზია და სხვები აფართოებენ საკუთარ რეგიონულ გავლენას და მოითხოვენ, რომ მათი ხმა უკეთ ისმოდეს**

**არ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ ეს მდგომარეობა ახლო მომავალში შეიცვლება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ უშიშროების საბჭოს ლეგიტიმურობის კრიზისი მხოლოდ გაღრმავდება. მსოფლიო საზოგადოება უკვე იხრება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ბოიკოტირებისკენ, რადგან ამ ორგანოს შემადგენლობა სულ უფრო ნაკლებად შეესაბამება მსოფლიოში ძალთა გადანაწილებას.**

უკმაყოფილო მოთამაშეებს შეეძლოთ, გადამწყვეტი იერიში მიეტანათ უშიშროების საბჭოზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი გვერდს აუვლიან მას და საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად ალტერნატიულ საერთაშორისო სტრუქტურებს მოძებნიან.

გაერთიანებული ერების ფუნქციური შეუმდგარობა, რა თქმა უნდა, ბევრად სცილდება უშიშროების საბჭოს საზღვრებს. მიუხედავად მმართველობის, სამდივნოსა და მრავალი სააგენტოს ზომიერი რეფორმირებისა, გაერო კვლავაც გაუმჭვირვალია. ბიუჯეტისა და ქმედებების დაგეგმვა სუსტდება პერსონალის მართვის მოძველებული პოლიტიკით და თანამდებობების ნაცნობობით დარიგებით. გენერალურ ასამბლეაზე დებატებისას კი არც თუ იშვიათად იმარჯვებენ უპასუხისმგებლო მოქმედი პერსონაჟები, რომლებიც პუბლიკაზე მუშაობენ და დემაგოგიას აფრქვევენ. ძალიან ბევრი გადაწყვეტილება ასახავს იმ რეგიონული და იდეოლოგიური ბლოკების პოზიციას, რომლებიც წინააღმდეგობას მათი „ვარგისიანობის ვადის" ამოწურვის შემდგომაც განაგრძობენ.

**ვინაიდან უშიშროების საბჭოში დომინირებული მდგომარეობა ძველ გვარდიას უკავია, განვითარებულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ალტერნატიული გზების შესწავლა, რათა ხელში ჩაიგდონ გავლენა და გამოხატონ საკუთარი აღშფოთება. დღეს ჩვენ თვალწინაა ძალთა მრავალრიცხოვანი ცენტრების წარმოშობის პროცესი, ცენტრებისა, რომლებსაც ჯერ რეგიონული, პერსპექტივაში კი გლობალური ამბიციები აქვთ.**

**ვიდრე აშშ შედარებით ვარდნას განიცდის, ევროპა და იაპონია კი — უძრაობას, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, რუსეთი, თურქეთი, ინდონეზია და სხვები აფართოებენ საკუთარ რეგიონულ გავლენას და მოითხოვენ, რომ მათი ხმა უკეთ ისმოდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში, თუმცა, მიუხედავად ამ გეოპოლიტიკური ძვრებისა, დასავლური წესრიგის სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა ჯერ არ ჩანს.**

ბოლო წლებში БРИКС-ის ქვეყნებს ზოგიერთ საკითხზე საერთო აზრი ჩამოუყალიბდათ. ყველა მათგანი იზიარებს ტრადიციულ წარმოდგენას სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტზე და ეწინააღმდეგება რომელიმე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში დასავლეთის შეიარაღებული ჩარევის შესაძლებლობასაც კი. ისინი განიკითხავენ დოლარის, როგორც მსოფლიოს ძირითადი სარეზერვო ვალუტის, უპირატესობებს და დაჟინებით მოითხოვენ საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მმართველობათა დაჩქარებულ რეფორმირებას. ეს ქვეყნები შეთანხმდნენ БРИКС-ის სრულფასოვანი ბანკის შექმნაზე, რათა წევრებს დაეხმარონ განვითარებასა და პრიორიტეტული პრობლემების მოგვარებაში, დასავლელი დონორების მიერ წამოყენებული წინასწარი პირობების გარეშე. ზოგიერთი დამკვირვებელი პროგნოზირებს „დიდი ოცეულის" შემადგენლობაში БРИКС-ის დამოუკიდებელი ფრაქციის გაჩენას, რომელიც „დიდი შვიდეულის" ქვეყნებს შეეჯიბრება.

მაგრამ მსოფლიო წესრიგის ამგვარად დაყოფა განვითარებულ და მსხვილ განვითარებად ქვეყნებს შორის შორეულ პერსპექტივას ჰგავს, რადგან „БРИКС"-ის შიგნით უთანხმოება თანხმობაზე ნაკლები არ არის. ჩინეთი და რუსეთი არ არიან დაინტერესებულნი, რომ მათი ჰიპოთეზური პარტნიორებიდან რომელიმე გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი გახდეს. ჩინეთსა და ინდოეთს შორის ძლიერდება სტრატეგიული კონკურენცია სასაზღვრო კამათებითა და ზღვაზე განსხვავებული ინტერესებით. ციმბირის საზღვრის გასწვრივ საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა ჩინეთსა და რუსეთს შორისაც. შიდა მოწყობის სხვადასხვაგვარობაც ზღუდავს თანამშრომლობას. **ინდოეთმა, ბრაზილიამ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, რომლებშიც გამოცოცხლდა მრავალპარტიული დემოკრატია, საკუთარი კოალიცია IBSA ჩამოაყალიბეს, ჩინეთი და რუსეთი კი ურთიერთქმედებენ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში. ურთიერთსაწინააღმდეგო ეკონომიკური ინტერესები ასევე ართულებს ურთიერთობებს БРИКС-ში, უთანხმოება შეიძლება გამწვავდეს, თუ წევრ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპი შემცირდება.**

Foreign Affairs



## ქოლგა-ღრუბელი

**ზაფხულში მასზე ძვირფასი არაფერია. ნიდერლანდურ კომპანია Toer-ში შექმნეს ქოლგა, რომელიც მზეში თავისით იშლება. ქოლგა ჰაერით იბერება, იშლება და მზის სხივებისგან გიცავთ. ამასთან, ქოლგას ღრუბლის ფორმა აქვს.** ის წყალგაუმტარი სილიკონის ფენითაა დაფარული, რომლის წყალობითაც არ დაზიანდება, თუ მზე მოულოდნელად კოკისპირული წვიმით შეიცვალა. როდესაც მზე მიიმალება, ქოლგა ავტომატურად იფუშება.



## ყველაზე ჭარბწონიანი ბავშვი

**კოლუმბიაში ყველაზე მსუქანი ბავშვი 8 თვის სანტიაგო მენდოზაა. ბიჭუნა ასაკთან შედარებით 3-ჯერ მეტს — თითქმის 21 კილოგრამს იწონის და სკოლის მოსწავლეს ჰგავს. „ის ძალიან მშფოთვარე ბავშვია. რომ არ ეტირა, ვაჭმევდი და მაშინვე ჩუმდებოდა", — თავს იმართლებს ბავშვის დედა.**

შეწუხებულმა მშობლებმა დაარეგისტრირეს საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ბავშვის წონის რეგულირებისთვის შეაგროვებს თანხას. სანტიაგოს მდგომარეობას ექიმები შეაფასებენ, შემდეგ პატარას მკაცრი დიეტის დაცვა და ჯანსაღი პროდუქტების მიღება მოუწევს.



## ყველაზე პატარა ჩლიქოსანი

**აზიური ირმები (Tragulus) – ჩლიქოსან ძუძუმწოვართა ოჯახს განეკუთვნებიან.** ამ ყველაზე პატარა ჩლიქოსნების სხეულის სიგრძე 40-დან 75 სანტიმეტრამდე მერყეობს, წონა — 0,7-დან 8-კილოგრამამდე. ბეწვის შეფერილობა ღია ან მუქია. ისინი ურქო ირემთა სახეობას განეკუთვნებიან. ბინადრობენ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. აქტიურები არიან ღამით. ტყეში ცხოვრობენ დაფარულად და უმეტეს შემთხვევაში ორი ნაშიერი უჩნდებათ.

წყლის ირმის მსგავსად, აზიური ირმებიც საკმაოდ კარგი მცურავები და მყვინთავები არიან. თუმცა ისინი ცხოვრებას მშრალ ადგილებში ამჯობინებენ; აგრეთვე, წყლის ირმებისგან განსხვავებით, მტრის თავდასხმისგან სხვაგვარად იცავენ თავს. საფრთხის დროს ეს პატარა ცხოველები ცდილობენ სადმე შეძრომას, დამალვას, მაგრამ, თუკი ეს არ გამოუვათ, მაშინვე იწყებენ მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევას საკუთარი ბასრი ეშვების მეშვეობით, რომლებიც ზედა ყბაზე აქვთ განლაგებული, მათ შეუძლიათ საკმაოდ მტკივნეულად უკბინონ მტაცებელსაც და ადამიანსაც.



## ყველაზე დიდი აუზი

**მსოფლიოს უამრავი ქვეყანა დაიკვეხნის სხვადასხვა საკურორტო ზონითა და იქ არსებული მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურით. ერთ-ერთი ასეთია ჩილე, აქ კურორტ სან ალფონსო დელ მარზე მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე დიდი აუზი.**

მისი სიგრძე 1013 მეტრს შეადგენს. აუზის ფართობი 8 ჰექტარია და მასში 250 მილიონი ლიტრი წყალი ჩადის, იმდენი, რამდენიც 6000 ჩვეულებრივი აუზის გასავსებადაა საჭირო. ოფიციალურად აღნიშნული აუზი გინესის რეკორდების წიგნში ჯერ კიდევ 2006 წელს შეიტანეს, 5-წლიანი სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანები ამერიკას აგრესორად მიიჩნევენ დაუფარავი მისწრაფების გამო, მოახვიოს საკუთარი იდეოლოგია ყველა სხვაგვარად მოაზროვნე ქვეყანასა თუ ხალხს.**





## სასტუმრო ჩანჩქერში

**ჯადოსნური მთის სადგომი, რომელსაც სხვანაირად მონადირის სახლს უწოდებენ. ეს არის კერძო სასტუმრო, რომელიც ჩილეში მდებარეობს და შთამბეჭდავი და ღირსშესანიშნავია იმით, რომ ვულკანს ჰგავს, ოღონდ ლავის ნაცვლად წყალს ამოაფრქვევს. „მაიმუნის ხიდი“ სასტუმროსთან მისასვლელი ერთადერთი გზაა.**

სასტუმროს ფანჯრებიდან იხსნება პეიზაჟი „Arenal“-ის ნამდვილ ვულკანზე. თვით სასტუმრო კლიენტებს სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს, რომელშიც შედის სპეციფიკური ჯიშის გიგანტური ხის ღეროების აბაზანები, ფანჯრები ტროპიკული ტყის ხედით.

ინტერიერი კომფორტულადაა მოწყობილი რბილი სამეულით, აბაჟურებით, როიალით, წყნარი საძინებლებით, ულტრათანამედროვე სამზარეულოთი და სველი წერტილებით....

მთელი შენობის ფასადზე ჩამომდინარი წყლის შხეფები ისევე პოზიტიურად მოქმედებს სტუმრებზე, როგორც ზღვის ტალღები.





# რატომ არ ჰყოფნით ფული მდიდრებს

**ოდესმე გაგიგიათ მილიონერისგან, რომ სულაც არ გრძნობს თავს მდიდარ ადამიანად? ასე ფიქრობს მილიონერთა 72%. მათგან, ვისაც სულ რაღაც ერთი საცოდავი მილიონი აქვს, თავს მდიდრად მხოლოდ 28% მიიჩნევს. 1-დან 5-მილიონამდე ქონების მფლობელთა, ანუ მოკრძალებული მილიონერების კატეგორიაში თავს მდიდრად მხოლოდ 60% თვლის.**

ამ ყველაფერში არის რაღაც საოცარი და გამაღიზიანებელიც კი. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ **საფრანგეთში მდიდრების 1%-ში მოხვედრა წელიწადში 88 000 ევროს გამომუშავებით შეიძლება. როგორც არ უნდა იყოს, ამ ყველაზე მდიდარ 1%-ს რაღაც მიზეზი აქვს საიმისოდ, რომ თავს მდიდრად არ თვლიდეს.**

მაგალითად, უოლ-სტრიტზე ჩივიან, რომ ცხოვრება უწევთ წელიწადში 350 000 დოლარის ამარა და ეს მაშინ, როდესაც იხდიან გადასახადებს, როგორიცაა სახლის კრედიტი, ძიძის ხელფასი, მგზავრობის ხარჯები და ბავშვების განათლების უზარმაზარი საფასური. ისინი ცრემლებს ღვრიან, იმის მიუხედავად, რომ მდიდრების 1% დღითიდღე უფრო მდიდარი ხდება და სულ უფრო სცილდება დანარჩენ 99% მოსახლეობას შემოსავლებში სხვაობით.

მართალია, ყველაზე მდიდრები სულ უფრო ბევრს გამოიმუშავებენ, აუცილებელი არაა, ეს მათ ქონებას უკავშირდებოდეს. კვლევების მიხედვით, სინამდვილეში მდიდრების 1%-ის ქონება ბოლო წლებში შემცირდა. ქონების გაზრდა მხოლოდ ყველაზე მდიდრების 0,01%-მა მოახერხა (0,001%-ის ქონება გაოთხმაგდა).

**გამომუშავებულ ფულსა და ქონებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. გამომუშავებული ფული არის ის, რასაც ყოველწლიურად დებს ადამიანი თავის საბანკო ანგარიშზე; ქონება კი არის ის, რაც ამ ანგარიშზე უკვე დევს, ასევე აქციები, ობლიგაციები და უძრავი ქონება, ანუ ყველაფერი ერთად, რაც ვალების გამოკლებით რჩება.**

გარდა ამისა, ყველაზე მდიდრების 0,5%-ის შემოსავლები უფრო მეტად მერყეობს, ვიდრე მთელი დანარჩენი მოსახლეობისა: ყველაფერი საბირჟო მაჩვენებლებზეა დამოკიდებული. ყველაზე მდიდრებს შორის ყველაზე ნაკლებად მდიდართა სიმდიდრე მუდამ განგაშის რეჟიმშია — **არ მთავრდება შიში იმისა, რომ მათი შვილები ვერ მიაღწევენ მათსავე ცხოვრების დონემდე. ამის გამო ამ კატეგორიის მდიდრები უდიდეს თანხებს ხარჯავენ მასწავლებლებსა და განათლებაზე.** ეს ეხება პირველ რიგში აშშ-ს, სადაც განათლების მიღება ნამდვილი ფუფუნებაა. ამრიგად, რაც უფრო მდიდარია 1%-ის წარმომადგენელი, მით უფრო სახიფათოა მისთვის საქმიანობის შეწყვეტა. ამის გამო მდიდარი 1%-ის ქვედა სეგმენტი მაინცადამაინც ვერ მდიდრდება, ისინი ბევრ ფულს შოულობენ, მაგრამ ასევე ბევრს ხარჯავენ საკუთარ შვილებზე.

ეს პრობლემა ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან დადგა. ტომ ვულფის წიგნში „ამბიციის კოცონები“



### შერმან მაკკოი:

### პრაქტიკულად ჯიბეში გროშიც არ მრჩება, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადში მილიონ დოლარს გამოვიმუშავებ...

უოლ სტრიტის მდიდარი ფინანსისტი შერმან მაკკოი ჩიოდა ხარჯების თავბრუდამხვევ ზრდაზე: კრედიტი და სახლის გადასახადი, ქალაქგარეთ მდებარე სახლი, მიღებები და რესტორნებში გამართული საღამოები, ტანსაცმლისა და ავეჯის შეძენა, დამატებითი გადასახადები, დაზღვევები, ავტოსადგომების გადასახადები, საჭმელი, სპორტული კლუბი... **„პრაქტიკულად ჯიბეში გროშიც არ მრჩება, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადში მილიონ დოლარს გამოვიმუშავებ“,** — ჩიოდა იგი.

Slate.fr

# რატომ არ უყვართ ამერიკა

**საერთაშორისო კვლევითი ცენტრ Gallup International-ის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ აშშ-ის მხრიდან საფრთხე ემუქრება. კვლევის ფარგლებში 65 ქვეყანაში 70 000 ადამიანი გამოკითხეს.**

**ამერიკის მხრიდან მომდინარე საფრთხეებით ყველაზე მეტად მოსახლეობა შეშფოთებულია რუსეთში (54%), ჩინეთში (49%), ბოსნიაში (49%), არგენტინაში (46%), თურქეთში (45%), სერბეთში (45%) და პაკისტანში (44%).**

აღმოსავლეთ ევროპაშიც კი, რომელიც ამერიკის შედარებით ახალბედა „პარტნიორს“ წარმოადგენს, აშშ-თან დაკავშირებული შესაბამისი რისკები 4-5-ჯერ მეტადაა შეფასებული, ვიდრე სხვა ქვეყნების. თავად ამერიკაში მოსახლეობის მხოლოდ 3% მიიჩნევს, რომ რუსეთი სახიფათო ქვეყანაა.

**საერთო ჯამში მსოფლიო მოსახლეობის წარმოდგენები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ქვეყანაა ყველაზე დიდი საფრთხის მატარებელი, შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველ ადგილზე მნიშვნელოვანი სხვაობით გაიჭრა აშშ, მეორე ადგილზეა პაკისტანი, მესამეზე კი — ჩინეთი.**

რით შეიძლება აიხსნას აშშ-ის მოწინავე პოზიცია ამ რეიტინგში? პირველ რიგში მისი გადამეტებულად აქტიური და აგრესიული საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობით, ასევე სხვა ქვეყნების კონფლიქტებში ჩარევისაკენ მიდრეკილებით.

„The News“-ის თანამშრომლებმა დაითვალეს აშშ-ის მონაწილეობით მიმდინარე სამხედრო კონფლიქტები და შედეგად აღმოჩნდა, რომ აშშ სხვა ქვეყნების საქმეში 130-ზე მეტჯერ ჩაერია და ამ ჩარევის მსხვერპლი მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყანა გახდა. **ამერიკული ჯარების უშუალო მონაწილეობით მიმდინარე საომარი კონფლიქტების დეტალური სია გამოქვეყნდა კიდეც. გარდა ამისა, ამერიკა დღეისათვის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ბირთვული იარაღი გამოიყენა.**

გარდა ამისა, აშშ რეიტინგში პირველ ადგილზე იმის გამოც მოხვდა, რომ მის სამხედრო ბიუ-



ჯეტს ნამდვილად შემაშფოთებელი გაქანებით ზრდიან და დღეისათვის ის მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ანალოგიურ ბიუჯეტს რამდენიმეჯერ აღემატება.

**აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა სამხედრო ბიუჯეტის ოფიციალურად დადგენილი თანხისა, ამერიკა სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს ახარჯებს სამხედრო გამოგონებებს სამეცნიერო კვლევების ფარგლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად ამერიკა სამხედრო მიზნებისათვის ბიუჯეტში ნაჩვენებზე ბევრად მეტს ხარჯავს და, მრავალი ექსპერტის შეფასებით, ეს თანხა 700 000 მილიარდს შეადგენს.**

**და ბოლოს, ადამიანები ამერიკას აგრესორად მიიჩნევენ დაუფარავი მისწრაფების გამო, მოახვიოს საკუთარი იდეოლოგია ყველა სხვაგვარად მოაზროვნე ქვეყანასა თუ ხალხს.**

rusrand.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრანგეთიდან ესპანეთამდე და ბელგიიდან შვედეთამდე ევროპული წყობისადმი უკმაყოფილება მატულობს. თვით მდიდარ გერმანიაშიც კი, სადაც ყველაზე მეტად იგრძნეს ერთობლივი ვალუტისა და ევროკავშირის პოლიტიკის სარგებელი, ანტიევროპული განწყობა თანდათან ღვივდება.**







# ევროკავშირში ჩატარებული გამოკითხვის შოკისმომგვრელი შედეგები

**ევროპელთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ ბრიუსელის მიზეზით მათი ცხოვრება გაუარესდა. იტალიელები, რომლებიც ყველაზე აქტიურად მიესალმებოდნენ ევროკავშირის შექმნას, ევროსკეპტიკოსებად იქცნენ.**

იტალიელებს ყოველთვის სურდათ ევროკავშირის შექმნა. გასული წლების ყველა გამოკითხვა და სოციალური კვლევა იმას ადასტურებდა, რომ იტალია კმაყოფილი იყო ევროკავშირის შექმნითა და ევროს შემოღებით და დიდი ოპტიმიზმით ელოდა უპირატესობებს, ეკონომიკური თვალსაზრისით.

იტალიის სუსტი ნაციონალური იდენტურობა, მისი ინსტიტუტების სისუსტე, პოლიტიკური ბრძოლის დემოკრატიულობის დაბალი დონე, შესაძლოა, ლოგიკურად ხსნის იმ ფაქტს, რომ სწორედ იტალია აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელიც ყველაზე მეტად მოხიბლა ევროპეიზმის იდეამ, იდეამ, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ინტელექტუალები აცხადებდნენ.

დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა: ევროპის ჩავარდნა, მისი გადაქცევა ხალხის საჭიროებებისგან შორს მდგომი ბიუროკრატების საბჭოდ, ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მუხლებზე დააჩოქა ქვეყნის საწარმოო სისტემა და მიწასთან გაასწორა სოციალური ერთობა, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ევროპული პროექტის შესახებ საზოგადოებრივი აზრი რადიკალურად შეცვლილიყო. ახლა ეს პროექტი იტალიაში განიხილება, როგორც მომავლისთვის შექმნილი საფრთხე.

მაგრამ ეს ტენდენცია მხოლოდ იტალიისთვის არაა დამახასიათებელი: საფრანგეთიდან ესპანეთამდე და ბელგიიდან შვედეთამდე ევროპული წყობისადმი უკმაყოფილება მატულობს. თვით მდიდარ გერმანიაშიც კი, სადაც ყველაზე მეტად იგრძნეს ერთობლივი ვალუტისა და ევროკავშირის პოლიტიკის სარგებელი, ანტიევროპული განწყობა თანდათან ღვივდება.

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ანალიტიკური ცენტრი „Ipsos Mori" მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპულ მთავრობებთან და სწორედ მან ჩაატარა გამოკითხვა, რომელმაც ევროკავშირის წევრ ათ ქვეყანაში მოსახლეობაში არსებული განწყობა ასახა. ბრიუსელელი ევროკრატების უუნარობის გამო, გაიგონ, თუ რა იმალება ძველი ევროპის ნანგრევებქვეშ, შედეგები შენელებული მოქმედების ბომბია.

ევროპელთა 68% თვლის, რომ ევროკავშირი აბსოლუტურად არასწორი მიმართულებით მიდის. ყველაზე მეტად უკმაყოფილონი არიან იტალიელები (77%), მათ კი ფრანგები და ესპანელები მოსდევენ (76%). ევროსკეპტიციზმი ვრცელდება იმ ქვეყნებშიც, რომლებიც სულ ახლახან შეუერთდნენ ევროკავშირს, მაგალითად, უნგრეთსა და პოლონეთში.

გერმანიაში ევროკავშირით უკმაყოფილოა მოსახლეობის 61%.




**ევროპელთა 68% თვლის, რომ ევროკავშირი აბსოლუტურად არასწორი მიმართულებით მიდის. ყველაზე მეტად უკმაყოფილონი არიან იტალიელები (77%), მათ კი ფრანგები და ესპანელები მოსდევენ (76%)**

გამოკითხვამ ცხადყო, რომ ევროპელთა 50% ნაკლები ცენტრალიზაციის მომხრეა, 34% ისურვებდა, რომ საერთოევროპულ ინსტიტუტებს ნაკლები ძალაუფლება ჰქონოდათ, 20%-ს კი ევროკავშირიდან გასვლა სურს.

ყველაზე მეტად ინგლისელები და შვედები ბრაზობენ. ევროპელები თვლიან, რომ ევროპის გაერთიანება ნეგატიურად აისახა ისეთ სტრატეგიულ სექტორებზე, როგორიცაა ეკონომიკა (59%), ფინანსები (65%), გადასახადები (68%), სოფლის მეურნეობა (60%), იურიდიული სფერო (59%) და იმიგრაცია (59%).

მონაცემები ადასტურებს, რომ ყველაზე დიდ პრობლემად მოქალაქეები საგადასახადო ტვირთთან და სახელმწიფო ვალის შემცირებისკენ მისწრაფებასთან დაკავშირებულ მკაცრი ეკონომიკის პოლიტიკას მიიჩნევენ, ასევე — ფინანსური სისტემის ცუდად ფუნქციონირებას. ეს ყველაფერი ბადებს ეჭვს იმასთან დაკავშირებით, მოაქვს თუ არა სარგებელი ევროკავშირში ქვეყნების ერთობლივ თანაარსებობას.

გამოკითხულთა 65% მიიჩნევს, რომ მათი პირადი საცხოვრებელი სტანდარტები გაუარესდა მას შემდეგ, რაც მათი ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდა. ყველაზე ნეგატიური გამოხმაურებები დაფიქსირდა იტალიასა და შვედეთში. ყველაზე ცხელი თემა სუვერენიტეტის დაკარგვაა. გამოკითხული მოქალაქეების 64% თვლის, რომ ერთიანი ევროპის შექმნამ ნეგატიური გავლენა მოახდინა ცალკეული ქვეყნების არჩეული ხელისუფლებების უნარზე, მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარი ერის სასარგებლოდ. არ არსებობს სამართლიანობა: ევროპელთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ ევროკავშირი ღარიბი ქვეყნების ხარჯზე მდიდარ ქვეყნებს ემხრობა. ეს აზრი განსაკუთრებით გავრცელებულია ესპანეთში, იტალიასა და გერმანიაში.

ეს გამოკითხვა იმ მოვლენის მაჩვენებელია, რომლის შედეგების წინასწარ გათვლაც ძალზე ძნელია. უკანასკნელი თვეების მანძილზე მთელ კონტინენტზე ჩნდება ანტიევროპული მოძრაობები, შოტლანდიასა და კატალონიაში ძლიერია დამოუკიდებლობისკენ მისწრაფება, ვენეტოს რეგიონში კი ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც საუბრობენ მთელ მსოფლიოში, მაგრამ არა იტალიაში.

ევროპა არ იცვლება, მაგრამ იცვლებიან ევროპელები. ბრიუსელში მყოფი ბატონები შორს არიან და ღიმილის უკან მალავენ მიმდინარე მოვლენების გაგების უუნარობას. მათ წაშალეს ქვეყნებისა და ხალხების ევროპა, რათა შეექმნათ ბანკებისა და ელიტარული საზოგადოებების ევროპა. ახლა ქვეყნები და ხალხები ცდილობენ, დააბრუნონ წარსული.

**Il Giornale**



**ევროპელები თვლიან, რომ ევროპის გაერთიანება ნეგატიურად აისახა ისეთ სტრატეგიულ სექტორებზე, როგორიცაა ეკონომიკა (59%), ფინანსები (65%), გადასახადები (68%), სოფლის მეურნეობა (60%), იურიდიული სფერო (59%) და იმიგრაცია (59%)**

## «ზეციური ბილიკი»

**რამდენიმე ხნის წინ შედგა დაკვირვების მოედნის — „Sky Trail"-ის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. ეს მოედანი არიზონას შტატში მდებარე დიდ კანიონზე დააშენეს.**

„Sky Trail"-ის მშენებლობა 30 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა თავისი ხელოვნური მინის ფსკერით, რომელიც ზედ მოსიარულეთათვის ძალიან ხშირად შიშისმომგვრელიცაა. ის ხომ ზღვის დონიდან 1,2 კილომეტ სიმაღლეზე... მდებარეობს.

„Sky Trail"-ის პირველი სტუმარი იყო ასტრონავტი ბაზ ოლდრინი – მეორე ადამიანი, რომელმაც 45 წლის წინ დააბიჯა მთვარეზე.

დედამიწიდან 1969 წელს გაემგზავრა „აპოლო-11", რომლის ეკიპაჟის წევრებიც იყვნენ ეკიპაჟის მეთაური ნილ არმსტრონგი, სამეთაურო მოდულის მფრინავი მაიკლ კოლინზი და მთვარის მოდულის მფრინავი ბაზ ოლდრინი. ბაზ ოლდრინი გამოვიდა სიტყვით, რომლის დროსაც მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციას, დაეწყოთ მზადება მარსზე პილოტირებადი ხომალდის გასაგზავნად....

ოლდრინმა „Sky Trail"-ზე გასეირნების შემდეგ აღნიშნა, რომ ეს ბრწყინვალე და დაუვიწყარი გასეირნება იყო.



ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვილთა მკვლელობის (აბორტიციდი) რაოდენობა შოკისმომგვრელად იზრდება, და ბევრად აღემატება ჩვენი საჰაერო ძალების მსხვერპლთა რაოდენობას პირველ მსოფლიო ომში და ასევე, კორეისა და ვიეტნამის ომებში ერთად.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-12 (236-247)

**პრეზიდენტმა ჯეფერსონმა ერთხელ თქვა, რომ ეცოდება ისინი, ვისაც ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან მიმდინარე მოვლენების თაობაზე გაზეთებიდან. ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა დიზრაელიმ თითქმის იგივე თქვა. მართლაც, საუკუნეების მანძილზე მმართველები კულისებიდან მართვით ტკბებოდნენ. ადამიანს ყოველთვის ამოძრავებდა ბატონობის სურვილი, რომელიც ჩვენს დროში განსაკუთრებით იგრძნობა.**

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, არც საიდუმლო საზოგადოებები იქნებოდა საჭირო. ჩვენ რომ ღია სისტემა გვმართავდეს, რომელსაც დემოკრატიული გზით არჩეული მოხელეები ხელმძღვანელობენ, რა საჭირო იქნებოდა აშშ-ის ყველა სოფელში, დასახლებასა და ქალაქში საიდუმლო მასონური ლოჟები? როგორ მოხდა, რომ ფრანკმასონობა ასე ღიად მოქმედებდა და, ამავე დროს, ასე კარგად მალავდა თავის საიდუმლოებებს? ჩვენ ამ კითხვას ვერც „ცხრა დის ლოჟის“ (Nine Sisters Lodge) „ცხრა უცნობს“ დავუსვამთ პარიზში და ვერც მათ ცხრა კოლეგას „ოთხი გვირგვინის“ ლოჟიდან (**Quatuar Coronati**) ლონდონში. მიუხედავად ამისა, ეს 18 ადამიანი წარმოადგენს კიდევ უფრო საიდუმლო ხელისუფლების — „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის“ და შემდეგ — „300-თა კომიტეტის“ ნაწილს.

**როგორ მოხდა, რომ შოტლანდიური წესის ფრანკმასონობამ შეძლო იდეოლოგიურად დაემუშავებინა ჯონ ჰინკლი, რათა მას პრეზიდენტ რეიგანისთვის ესროლა? რაში გვჭირდება ისეთი საიდუმლო ორდენები, როგორიცაა „წმ. იოანე იერუსალიმელის რაინდები“, „მრგვალი მაგიდა“, „მილნერის ჯგუფი“ და სხვა მსგავსი საიდუმლო საზოგადოებები?** ისინი „რომის კლუბის“, „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის“ და ბოლოს და ბოლოს, პირდაპირ თავად შეთქმულთა იერარქიის — „300-თა კომიტეტის“ მიერ განხორციელებული მსოფლიოს მართვისა და კონტროლის ჯაჭვის ნაწილს ქმნიან. **ეს საიდუმლო საზოგადოებები საჭიროა იმიტომ, რომ მათი საქმეები დანაშაულებრივია და უნდა იმალებოდეს. ბოროტება სიმართლის სხივს ვერ აიტანს.**

ამ წიგნში ჩვენ ვიპოვით შეთქმულთა, მათ დაწესებულებათა, მათ მფარველ ორგანიზაციათა და გამოცემათა თითქმის სრულ სიას. 1980 წელს „მერწყულის შეთქმულება“ (Aquarian Conspiracy) აყვავების ხანაში იყო და მისი წარმატება ჩვენი კერძო და ეროვნული ცხოვრების ყველა ასპექტში შეგვეძლო გვეხილა. უაზრო ძალადობის, სერიული მკვლელობების, მოზარდთა თვითმკვლელობების, ლატერგიის — „ღრმად შეღწევადი ხანგრძლივი დაძაბულობის“ უეჭველი ნიშნები გახდა ჩვენი ახალი გარემოს ნაწილი, რომელიც ისევე საშიშია, როგორც მოწამლული ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ.

**მოახლოებულმა „მერწყულის ხანამ“ ამერიკა მოულოდნელად მოიცვა. ჩვენ, როგორც ერი, არ ვიყავით მზად თავსმოხვეული ცვლილებებისთვის. ვინმეს ერთხელ მაინც თუ სმენია ტავისტოკზე, კურტ ლევინზე, უილის ჰარმონსა და ჯონ როულინს რიზზე? ისინი ამერიკის პოლიტიკურ სცენაზეც კი არ იმყოფებოდნენ. ყველაფერი, რისი შემჩნევაც შეგვეძლო, საერთოდ თუ არ დავზარდებოდით თვალის გახელას, იყო მომავალი დარტყმებისთვის წინააღმდეგობის უუნარობა, რადგანაც ჩვენ უფრო დავიღალეთ, დავსუსტდით და ბოლოს და ბოლოს შევედით ფსიქოლოგიური შოკის პერიოდში, რომლის შემდეგაც მოდის საყოველთაო აპათია, როგორც „ღრმა ყოველმხრივ შეღწევასთან“ ომის გარეგნული გამოვლინება.**

„მერწყულის ხანა“ ყველაზე უკეთ აღწერილია „ტავისტოკის ინსტიტუტის“ მიერ, როგორც არასტაბილურობის გავრცელების საშუალება: „არის სამი მკაფიო ფაზა სტრესზე პასუხსა და რეაქციაში, რომლებსაც დიდი სოციალური ჯგუფები ავლენენ. პირველი ფაზა ზედაპირულია; ზემოქმედებას დაქვემდებარებული მოსახლეობა დაიცავს თავს ლოზუნგებით; ეს



**ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების ღია წახალისებისათვის მათი «უფლებების» დასაცავადაც ყოველ წელს სულ უფრო მეტი კანონი მიიღება**

არ ხსნის კრიზისის წყაროებს და რეალური დაპირისპირება არ ხდება — აქედან გამომდინარე, კრიზისი გაგრძელდება. მეორე ფაზაა ფრაგმენტაცია, დაშლა. ეს ხდება, როდესაც კრიზისი გრძელდება და საზოგადოებრივი წესრიგი ინგრევა. შემდეგ მოდის მესამე ფაზა, როდესაც მოსახლეობის ჯგუფი ბოლოს და ბოლოს შედის „თვითრეალიზაციის“ მდგომარეობაში და ზურგს აქცევს ინსპირირებულ კრიზისს. შემდეგ მოდის სუსტი რეაქცია, რომელსაც მოსდევს აქტიური სინოპტიკური იდეალიზმი და გამიჯვნა“.

**ვინ უარყოფს იმას, რომ ნარკოტიკების მოხმარება კოლოსალურად იზრდება – ყოველ დღე ათასობით ახალი ნარკომანი იწყებს „კრეკის“ გამოყენებას; ჩვილთა მკვლელობის (აბორტიციდი) რაოდენობა შოკისმომგვრელად იზრდება, და ბევრად აღემატება ჩვენი საჰაერო ძალების მსხვერპლთა რაოდენობას პირველ მსოფლიო ომში და ასევე, კორეისა და ვიეტნამის ომებში ერთად; ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების ღია წახალისებისათვის მათი „უფლებების“ დასაცავადაც ყოველ წელს სულ უფრო მეტი კანონი მიიღება; შიდსის საშინელი ჭირი, რომელმაც ჩვენი ქალაქები მოიცვა; მკვლელობების დონე, რომელიც დანარჩენ მსოფლიოს შიშსა და ურწმუნობაში აგდებს; სატანისტური სერიული მკვლელობები; ათასობით პატარა ბავშვის გაუჩინარება, რომლებიც სექსუალურად გარყვნილმა ადამიანებმა ქუჩიდან გაიტაცეს; პორნოგრაფიის ზვავი... ვინ უარყოფს ამის შემდეგ, რომ ჩვენი ქვეყანა იმყოფება კრიზისში, რომლისთვის წინააღმდეგობის გაწევასაც არ ვცდილობთ და რომელსაც ზურგს ვაქცევთ.**

ხალხი, რომელიც მოქმედებს საუკეთესო მოტივაციით და სპეციალიზდება ამ პრობლემებზე, დიდწილად ბრალს განათლების სისტემის ნაკლოვანებებში ხედავს ან უფრო იმაში, რასაც აშშ-ში ასე უწოდებენ. ახლა დამნაშავეები ბევრნი არიან 9-15 წლის ასაკის ჯგუფში. მოძალადეები ჩვეულებრივი მოვლენაა 10 წლის ასაკის ბავშვებს შორის. ჩვენი სპეციალისტები, ჩვენი მასწავლებელთა კავშირები, ჩვენი ეკლესიები ამბობენ, რომ ეს ყველაფერი არასრულფასოვანი განათლების სისტემის ბრალია. ამას ამტკიცებს შეფასებითი მონაცემების ვარდნა. სპეციალისტები გოდებენ იმის გამო, რომ აშშ ახლა 39-ე ადგილზეა მსოფლიოში განათლების დონით.

რატომ მივტირით იმას, რაც ამდენად ცხადია? **ჩვენი განათლების სისტემა დაპროგრამებული იქნა თვითგანადგურებაზე, სწორედ ამიტომ გააგზავნა ნატომ აშშ-ში დოქტორ ალექსანდრ კინგი. სწორედ ამის განხორციელება უბრძანეს ჯასტის ჰუგო ბლეკს. საქმე ისაა, რომ „300-თა კომიტეტს“, ჩვენი ხელისუფლების თანხმობით, უნდა, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ არ მიიღოს შესაბამისი განათლება.** განათლების არსი, რომელიც ფრანკმასონ ჯასტის ჰუგო ბლეკს (**Justice Hugo Black**), ალექსანდრ კინგს, გუნარ მერდალს (**Gunnar Myrdal**) და მის მეუღლეს უნდათ, მისცენ აშშ-ის ბავშვებს, მდგომარეობს იმაში, რომ **დანაშაული გამოისყიდება, ხოლო მიზანშეწონილობა უმთავრესია.**

ისინი ასწავლიან ჩვენს ბავშვებს, რომ შეერთებული შტატების კანონები არასამართლიანად გამოიყენება და ასეც უნდა იყოს. ჩვენი ბავშვები ათი წლის ასაკში იზრდებიან ამგვარად კორუფციის მაგალითებზე; რონალდ რეიგანი და ჯორჯ ბუში მოხვდნენ სიხარბის ქსელში, რომელმაც სრულად მოიცვა ისინი. ჩვენი განათლების სისტემა არ დაკნინებულა. კინგის, ბლეკისა და მერდალების ხელმძღვანელობით მან, ფაქტობრივად, მეტ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ყველაფერი იმ თვალსაზრისზეა დამოკიდებული, რომლითაც ჩვენ მას ვუყურებთ. „300-თა კომიტეტი“ **აღფრთოვანებულია** ჩვენი განათლების სისტემით და არ დაუშვებს მის ოდნავ ცვლილებასაც კი.

სტენფორდის ინსტიტუტისა და უილის ჰარმონის თანახმად, ღრმა და ყოველმხრივი შეღწევის ინდუცირებული სულიერი ტრავმა, რომლის ნაწილიც არის ჩვენი განათლება, ჩვენ მიმართ უკვე 45 წლის მანძილზე გამოიყენება, მაგრამ რამდენი ადამიანი გრძნობს ამ ვერაგ ზეწოლას, რომელიც ჩვენს საზოგადოებაზე ხორციელდება; რამდენი ადამიანი გრძნობს მუდმივ იდეოლოგიურ დამუშავებას და ტვინის გამორეცხვას, რომელიც ყოველდღე ხდება? ქუჩის ბანდების იდუმალი ომები, რომლებიც ნიუ იორკში 1950-იან წლებში დაიწყო, იმის მაგალითია, თუ როგორ შეუძლიათ შეთქმულებს, შექმნან ნებისმიერი ძირგამომთხრელი ელემენტები და მართონ ისინი. საიდან გაჩნდა ეს ბანდების ომები, 1980-იან წლებამდე არავინ იცოდა, სანამ მკვლევარებმა არ გამოამჟღავნეს საიდუმლო ხელმძღვანელები, რომლებიც ამ ე.წ. სოციალურ ფენომენს მართავდნენ.

**ქუჩის ბანდების ომები საფუძვლიანად იყო დაგეგმილი სტენფორდის მიერ, რათა განზრახ შეეძრწუნებინათ ჩვენი საზოგადოება, გამოეწვიათ შფოთვა და მღელვარება. 1958 წლისთვის უკვე 200 ბანდაზე მეტი არსებობდა. ისინი მიუზიკლმა და ჰოლივუდის ფილმმა „ვესტსაიდის ისტორია“ გახადეს პოპულარული. მას შემდეგ, რაც ეს ბანდები მთელი ათწლეულის მანძილზე მუდმივად იყვნენ ახალი ამბების სათაურებში, 1966 წელს უეცრად გაქრნენ ნიუ იორკის, ლოს ანჯელესის, ნიუ ჯერსის, ფილადელფიისა და ჩიკაგოს ქუჩებიდან.**

მთელი ათწლეულის მანძილზე ქუჩის ბანდების ომებზე საზოგადოება რეაგირებდა სტენფორდის ინსტიტუტის შესაბამისი პროგრამის შესაბამისად; საზოგადოებას მთლიანობაში არ ესმოდა ბანდების ომები და არაადეკვატურად რეაგირებდა. რომ მოძებნილიყო ბრძენი ადამიანები, რომლებიც ამ ბანდების ომში სტენფორდის ინსტიტუტის სოციალური ინჟინერინგისა და ტვინის გამორეცხვის ექსპერიმენტს ამოიცნობდნენ, შეთქმულებას ფარდა აეხდებოდა. ან ჩვენ არ გვყავდა კვალიფიცირებული სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლოთ მიმდინარე მოვლენების რეალური შეფასება, რაც ნაკლებად სავარაუდოა, ან ისინი მუქარის ქვეშ გააჩუმეს. მედიის თანამშრომლობამ სტენფორდის ინსტიტუტთან მიგვიყვანა ჩვენი ცხოვრების წესზე „ახალი ხანის“ („ნიუ ეიჯ“) კონცეფციის ▶

**როგორ მოხდა, რომ შოტლანდიური წესის ფრანკმასონობამ შეძლო იდეოლოგიურად დაემუშავებინა ჯონ ჰინკლი, რათა მას პრეზიდენტ რეიგანისთვის ესროლა?**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბითლზის“ ფენომენი არ იყო სპონტანური ახალგაზრდული ბუნტი ძველი სოციალური სისტემის წინააღმდეგ. პირიქით, ეს იყო მოუხელთებელ შეთქმულთა მიერ მოსახლეობის დიდ სამიზნე ჯგუფში უკიდურესად დამანგრეველი ელემენტის შეტანის ზედმიწევნით შემუშავებული გეგმა.**

სახით ახალ თავდასხმამდე, რაც ნაწინასწარმეტყველები იყო ტავისტოკელი სოციალური ინჟინრებისა და „ახალი მეცნიერებების“ სპეციალისტების მიერ.

1989 წლისთვის ლოს ანჯელესის ქუჩებში კვლავ ინსპირირებული იყო ქუჩის ბანდების ომები, როგორც სოციალური ცვლილებებისთვის პირობების შექმნის საშუალება. რამდენიმე თვის პირველი ინციდენტების მანძილზე ბანდებმა ლოს ანჯელესის ისტ ენდის ქუჩებში გამრავლება დაიწყეს ჯერ ათობით, შემდეგ კი ასობით. **გავრცელდა ნარკოტიკული ბუნაგები და თავაშვებული პროსტიტუცია; ქუჩებში ნარკოტიკებით მოვაჭრეები მეფობდნენ. ყველას, ვინც მათ გზაზე ელობებოდა, ხვრეტდნენ. ხმაური პრესაში ხმამაღალი და ხანგრძლივი იყო. სტენფორდის მიერ შერჩეულმა მოსახლეობის დიდმა სამიზნე ჯგუფმა დაიწყო თავის დაცვა ლოზუნგებით. ტავისტოკმა ამას პირველი ფაზა დაარქვა, როდესაც სამიზნე ჯგუფს არ შეუძლია კრიზისის წყაროს აღმოჩენა.**

განგსტერული ომის მეორე ფაზა იყო „ფრაგმენტაცია“. ადამიანები, რომლებიც არ ცხოვრობდნენ ბანდების აქტივობის ადგილებში, ამბობდნენ: „მადლობა ღმერთს, ჩვენ არ გვეხებიან“. კრიზისი გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, ცნობდნენ მას თუ არა, ხოლო საზოგადოებრივი წესრიგი ლოს ანჯელესში ამ დროს ინგრეოდა. როგორც იყო დაპროგრამებული ტავისტოკის მიერ, ჯგუფები, რომლესაც არ შეეხოთ ბანდების ომები, „გამოეყვნენ, რათა საკუთარი თავი დაეცვათ“, იმიტომ, რომ კრიზისის წყარი არ იყო გარკვეული. დაიწყო ე. წ. „არაადეკვატური ადაპტაციის“ პროცესისა და გამიჯვნის, იზოლაციის პერიოდი.

**რა იყო ქუჩების ომების მიზანი, ნარკოტიკების გავრცელების გარდა? პირველი — ეჩვენებინათ სამიზნე ჯგუფისთვის, რომ ისინი უსაფრთხოდ არ არიან, ანუ შეექმნათ საფრთხის შეგრძნება; მეორე — ეჩვენებინათ, რომ ორგანიზებული საზოგადოება უმწეოა ასეთი ძალადობის პირისპირ; და მესამე — გამოეწვიათ იმ ფაქტის აღიარება, რომ ჩვენი სოციალური წესრიგი ინგრევა. ქუჩის ძალადობის ახლანდელი ტალღა შეჩერდება ისევე სწრაფად, როგორც გაჩნდა, როგორც კი სტენფორდის პროგრამის სამივე ფაზა შესრულდება.**

# «როკ-მუსიკის» კონტექსტში შექმნილი ყოველი სიტყვა განკუთვნილი იყო ახალი სამიზნე ჯგუფის, ანუ ამერიკული ახალგაზრდობის მასობრივი მართვისთვის



საზოგადოების დამუშავების ნათელი მაგალითი იყო თუნდაც მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ არასასურველად აღიარებული „მოვლენა“ „ბითლზზე“. ჯგუფი „ბითლზი“ აშშ-ში ჩამოიყვანეს, როგორც სოციალური ექსპერიმენტის ნაწილი, რომელსაც ტვინის გამორეცხვისთვის უნდა დაექვემდებარებინა მოსახლეობის დიდი ჯგუფები, რომელთა შესახებაც მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

როდესაც ტავისტოკმა „ბითლზი“ აშშ-ში ჩამოიყვანა, ვერავინ წარმოიდგენდა იმ კულტურული კატასტროფის ფარგლებს, რომელიც ამას უნდა მოჰყოლოდა. „ბითლზი“ იყო „მერწყულის შეთქმულების“, ცოცხალი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც „ადამიანის სახის ცვლილებიდან“ დაიბადა („kontraqti N URH (489)-2150, ანგარიში პოლიტიკური კვლევების შესახებ № 4/4/74, მომზადებულია სკი „სოციალური პოლიტიკის შესწავლის ცენტრის“ მიერ, ხელმძღვანელი უილის ჰარმონი“).

„ბითლზის“ ფენომენი არ იყო სპონტანური ახალგაზრდული ბუნტი ძველი სოციალური სისტემის წინააღმდეგ. პირიქით, ეს იყო მოუხელთებელ შეთქმულთა მიერ მოსახლეობის დიდ სამიზნე ჯგუფში უკიდურესად დამანგრეველი ელემენტის შეტანის ზედმიწევნით შემუშავებული გეგმა, რომლის ცნობიერების შეცვლაც მისი სურვილის წინააღმდეგ იგეგმებოდა. „ბითლზთან“ ერთად ამერიკაში შეიტანეს ახალი სიტყვები და გამონათქვამები, რომლებიც ტავისტოკმა გამოიგონა. ისეთი სიტყვები, როგორიცაა „როკი“ მუსიკალურ ბგერებთან დაკავშირებით, „თინეიჯერი“ („მოზარდი“), „კულ“ (cool — „ასწორებს“), discovered („ღია“, „ამოცნობილი“) და „პოპმუსიკა“ გახდა კოდური სიტყვების ლექსიკონის ნაწილი, რომელიც ნარკოტიკების მიღებას და მოხმარებას ნიშნავდა. ეს სიტყვები „ბითლზთან“ ერთად შემოვიდა და ჩნდებოდა ყველგან, სადაც ჩადიოდა „ბითლზი“. ამასთან, „თინეიჯერები“ მათ მაშინვე „ცნობდნენ“. სხვათა შორის, სიტყვა „თინეიჯერი“ არსად გამოიყენებოდა, სანამ ადამიანური ურთიერთობების ტავისტოკის ინსტიტუტის წყალობით სცენაზე „ბითლზი“ არ გამოჩნდა.

როგორც ქუჩის ომების შემთხვევაში, ამ ამოცანის ამოხსნა შეუძლებელი იყო მედიასთან, უპირველეს ყოვლისა, ელექტრონულ მედიასთან თანამშრომლობის გარეშე. განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა უხამს ტიპს – ედ სალივანს, რომელიც შეთქმულთა მიერ საგანგებოდ იყო იმ როლისთვის მომზადებული, რომელიც უნდა ეთამაშა. არავინ მიაქცევდა ყურადღებას ჯამბაზების ჯგუფს ლივერპულიდან და მათი „მუსიკის“ ოცატონალურ სისტემას, პრესას რომ მათ გარშემო ნამდვილი აჟიოტაჟი არ აეტეხა. ოც-ატონალური სისტემა შედგებოდა მძიმე განმეორებითი ხმებისგან, რომლებიც დიონისესა და ვაალის კულტის ქურუმების მუსიკიდან იყო აღებული და გათანამედროვებული ადორნოს (Adorno) მიერ, რომელიც ინგლისის დედოფლის და, შესაბამისად, „300-თა კომიტეტის“ ახლო მეგობარი იყო.

**ტავისტოკმა და მისმა სტენფორდის კვლევითმა ცენტრმა შექმნეს სპეციალური სიტყვები, რომლებიც შემდეგ შევიდა „როკ-მუსიკისა“ და მათი მოყვარულების ლექსიკონში. ამ მოდურმა საკვანძო სიტყვებმა შექმნეს სოციუმისგან გამოყოფილი ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი, რომელსაც სოციალური ინჟინერიისა და დამუშავების წყალობით დააჯერეს, რომ „ბითლზი“ მართლაც მათი საყვარელი ჯგუფია. „როკ-მუსიკის“ კონტექსტში შექმნილი ყოველი სიტყვა განკუთვნილი იყო ახალი სამიზნე ჯგუფის, ანუ ამერიკული ახალგაზრდობის მასობრივი მართვისთვის.**

„ბითლზმა“ მშვენივრად იმუშავა, უფრო სწორად ტავისტოკმა და სტენფორდმა იმუშავეს შესანიშნავად, ხოლო „ბითლზმა“ უბრალოდ იმოქმედა, როგორც დაპროგრამებულმა რობოტმა „მათი მეგობრების მცირედი დახმარებით“ („with a little help from their friends“) — ნარკოტიკების მოხმარების კოდური სიტყვებით და მათი „გასწორებულ“ მდგომარეობამდე მიყვანით. „ბითლზი“ გახდა თვალში საცემი „ახალი ტიპი“ — ტავისტოკური ჟარგონის კიდევ ერთი მარგალიტი — იგი ცოტა ხნით ადრე გაჩნდა, ვიდრე „ბითლზმა“ ახალი სტილი შექმნა (ექსტრავაგანტული ტანსაცმელი, ვარცხნილობები და მეტყველება), რომელმაც აღაშფოთა უფროსი თაობა, რაც იყო დაგეგმილი. ეს იყო გენური ინჟინერიის სფეროში უილის ჰარმონისა და მისი მეცნიერ-სოციოლოგებისა და სპეციალისტების მიერ ამოქმედებული „ფრაგმენტაცია-არაადეკვატური ადაპტაციის“ პროცესის ნაწილი.

ჩვენს საზოგადოებაში მოსახლეობის დიდი ჯგუფების ტვინის ეფექტური გამორეცხვის საქმეში გადამწყვეტი როლი ბეჭდურ და ელექტრონულ მედიას ეკუთვნის. ქუჩის ბანდების ომები ლოს–ანჯელესში 1966 წელს დასრულდა, როგორც კი მედიამ მათი კომენტირება შეწყვიტა. ქუჩის ბანდები იწყებენ დაშლას მედიის ყურადღების შესუსტებისთანავე, ხოლო შემდეგ საერთოდ ქრებიან. ისევე, როგორც 1966 წელს, პრობლემა უბრალოდ „გაქრა“. ქუჩის ბანდებმა შეასრულეს თავისი ამოცანა არასტაბილურობისა და საფრთხის ატმოსფეროს შექმნის მიზნით. ზუსტად ასეთივე სცენარი ელის „როკ“ მუსიკასაც. მედიისგან ყურადღების არქონის შემთხვევაში, იგი ჩუმად დაიკავებს თავის ადგილს ისტორიაში.

**„ბითლზის“ კვალდაკვალ, რომელიც, სხვათა შორის, ერთად ტავისტოკის ინსტიტუტმა შეკრიბა, ჩამოვიდნენ სხვა „Made in England“ როკ-ჯგუფები, რომელთათვის, როგორც „ბითლზისთვის“, ტეო ადორნო წერდა საკულტო „ლირიკას“ და ქმნიდა თავის „მუსიკას“. ჩემთვის არაა სასიამოვნო ამ მშვენიერი სიტყვების გამოყენება „ბითლომანიის“ კონტექსტში; ეს მახსენებს, თუ რამდენად არასწორად გამოიყენება სიტყვა „შეყვარებული“, როდესაც მას იყენებენ ორ ჰომოსექსუალს შორის ბინძური კონტაქტის აღსანიშნავად, რომლებიც ღორული ავხორცობით იკლაკნებიან. დაუძახო მუსიკას „როკი“, მუსიკის ისეთივე შეურაცხყოფაა, როგორც „როკლირიკა“ ენისა.**

შემდეგ ტავისტოკი და სტენფორდი შეუდგნენ სამუშაოს მეორე ფაზის განხორციელებას, რომელიც მათ „300-თა კომიტეტმა“ დაუკვეთა. ახალმა ფაზამ ამერიკაში სოციალურ ცვლილებებს ცეცხლი შეუნთო. როგორც ამერიკულ სცენაზე „ბითლზი“ გაჩნდა, ისევე სწრაფად წარმოიქმნა „დამსხვრეული თაობა“ (beat generation) — კოდური სიტყვა, რომელიც განკუთვნილია საზოგადოებრივი ჯგუფების დასაშლელად და გასამიჯნად. ახლა მედიამ მთელი თავისი ყურადღება „დამსხვრეულ თაობაზე“ გადაიტანა. ტავისტოკისეული წარმომავლობის ახალი სიტყვები ერთი შეხედვით არსაიდან მოვიდნენ: „ბიტნიკი“, „ჰიპი“, „ყვავილების შვილები“ — ეს სიტყვები ამერიკულ მეტყველებაში მტკიცედ შემოვიდა. პოპულარული გახდა „საზოგადოებიდან ამოვარდნა“ (drop out), ბინძური ჯინსებისა და გრძელი, დაუბანელი თმების ტარება. „დამსხვრეული თაობის“ წარმომადგენლები საკუთარ თავს ამერიკისგან მიჯნავდნენ. მათ ისეთივე ცუდი რეპუტაცია დაიმსახურეს, როგორც ბევრად უფრო სალუქმა „ბითლზმა“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გავრცელდა ნარკოტიკული ბუნაგები და თავაშვებული პროსტიტუცია; ქუჩებში ნარკოტიკებით მოვაჭრეები მეფობდნენ





# სუპერვულკანის ამოფრქვევა დედამიწაზე კატასტროფას გამოიწვევს

**„ვულკანმა იელოსტოუნმა გაიღვიძა და შეიძლება დიდი კატასტროფა გამოიწვიოს!“ — ასეთი სათაურებით გამოვიდა გაზეთები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. პანიკის შემქმნელები ძირითად არგუმენტად ასახელებენ იმას, რომ იელოსტოუნის ნაკრძალის** (იელოსტოუნის ნაციონალური პარკი, რომელიც ვაიომინგის, მონტანას და აიდაჰოს შტატების ტერიტორიების ნაწილს მოიცავს (ფართობი — 898,3 ათასი ჰა), 1872 წელს დაარსდა და მსოფლიოში პირველი ნაციონალური პარკია. მას ყოველწლიურად 3 მლნ ადამიანი სტუმრობს) **რაიონში ბოლო ხანს ძალიან მოიმატა სეისმურმა აქტივობამ — 2014 წლის დასაწყისიდან ნაციონალური პარკის ტერიტორიაზე უკვე 60 მიწისქვეშა ბიძგი აღირიცხა, რომელთაგან ყველაზე მძლავრი მაგნიტუდისა 30 მარტს მოხდა და 4,8 ბალს შეადგენდა, გარდა ამისა, პარკის ზოგიერთ გეიზერულ ტბაში ტემპერატურამ ძალიან მოიმატა, ამასთანავე, ცხოველებმა ჯოგებად დატოვეს ადგილები, ადრე რომ ბინადრობდნენ.**

სპეციალისტები, რომლებიც იელოსტოუნს აკვირდებიან, ამბობენ, რომ ვულკანის ამოფრქვევა საშინელ კატასტროფას გამოიწვევს, რადგან ეს ამოფრქვევა რამდენიმე ატომური ბომბის აფეთქების ტოლფასი იქნება — შედეგად, **რამდენიმე ათასი კილომეტრის რადიუსში დედამიწის ზედაპირი, შესაძლოა, 10-12 სმ სისქის ფერფლით დაიფაროს. პლანეტაზე ხედვის სიშორე 20-30 სმ იქნება, წლიური ტემპერატურა კი — 21 გრადუსი. ვულკანის ამოფრქვევა გამოიწვევს ცუნამის,** რომელიც წალეკავს იაპონიას და, საერთოდ, წყნარი ოკეანის სანაპიროს. სპეციალისტთა ვარაუდით, იელოსტოუნის ამოფრქვევის შემთხვევაში დედამიწაზე მცხოვრები ყოველი 1000 კაციდან მხოლოდ ერთი გადარჩება.

**იელოსტოუნის სუპერვულკანი დედამიწაზე არსებულ ვულკანებს შორის ყველაზე დიდია, მისი კალდერას (ღრმული ციცაბო კედლებით) ფართობი 4 ათას კვ. კმ-ს შეადგენს. ვულკანი ბოლოს 640 ათასი წლის წინათ ამოქმედდა და ატმოსფეროში 1 ათასი კუბ. მ მტვერი და ლავა ამოაფრქვია.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორც ჩანს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში, ძალზე მსუბუქად რომ ვთქვათ, უყაირათოდ ეკიდებიან ფინანსების ხარჯვას!

# როცა საქართველოს თეატრალური საზოგადოება ასე აგდებულად ეპყრობა თავისი სახელოვანი თავმჯდომარის 70 წლისთავის საიუბილეო გამოცემას, საზოგადოების ჩვეულებრივი წევრის მიმართ რას იზამს?!



## კიდევ ერთი «სერიოზული გაფრთხილება» ბატონ გოგი ქავთარაძეს

**გოგი ქავთარაძემ პარლამენტში მაინც ამოიღოს ხმა და სხვას რას დავეძებ — ზის პარლამენტში გაბუსუნებული და, ჩვენი საყვარელი ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, ნაბავს თვალებს... ასეთ ხალხზე ხომ არ წუხდა პოეტი — მე ერთ პატარა სოფელს დავაკლდი, მაგრამ დიდ ქალაქს ვერ შევემატეო?!**

**ორი თვის წინათ (19.II.2014) ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნე სტატია („რაც მოგივა..., ანუ ვინ უნდა მოუხადოს ბოდიში გოგი ქავთარაძეს?"), რომელიც არსებითად იმ საკითხს მიეძღვნა, რომ ჩვენი ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, პარლამენტარისა და ჩემი ნახევარსაუკუნოვანი მეგობრის — გოგი ქავთარაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სქელტანიანი კრებული „გიორგი ქავთარაძე" (შემდგენელ-რედაქტორი კ. ნინიკაშვილი, თბილისი, 2012) ან ჩვენთან რედაქციაში განგვეხილა, ან თეატრალურ საზოგადოებაში, რათა ასეთი სამარცხვინო გამოცემა ამიერიდან მაინც აღარ მიეწოდოს მკითხველს. უფრო მეტიც, პირადად მოვუბოდიშე ბატონ გოგი ქავთარაძეს, რაკი ჩემი კალამი ისე ბასრი ვერ გამოდგა, რომ დაეძლია-მეთქი თეატრალურ საგამომცემლო სივრცეში გამეფებული ბაქქანალია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჩემს გულწრფელ მოწოდებას რეაგირება არ მოჰყოლია არათუ საქართველოს თეატრალური საზოგადოებიდან, სადაც „იშვა" ეს ყოვლად უწიგნური გამოცემა, არამედ, რაც ყველაზე საგანგაშოა, არც თვითონ ბატონი გ. ქავთარაძისგან.**

ასეთ უპასუხისმგებლობას რაც ჰქვია, თავად მკითხველმა განსაჯოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ნამდვილად ვიმსახურებ იმ საყვედურს, რომელიც ერთმა ჩემმა კოლეგამ მომახალა, ზოგადად რომ ილაპარაკე და კონკრეტული არაფერი თქვი, ახია შენზეო. რა მიკიბ-მოკიბვაზეა საუბარი, როცა არც მეტი, არც ნაკლები, ყოვლად უვარგისი გამოცემა ვუწოდე, მაგრამ, თუ ცალკეული კონკრეტული შენიშვნები არ გავაკეთე, მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც მსგავს შემთხვევაში იტყვიან, საზოგადოების მაღალი ინტერსებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, ერთად (ჩვენი გაზეთის რედაქციასა და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას) განგვეხილა ასე ცნობილი ხელოვანისა და საზოგადო მოღვაწისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, მაგრამ რაკი, ასე ვთქვათ, მეორე მხარე ტრადიციულად გატრუნულია, რაღა დაგვრჩენია, მკითხველს დაწვრილებით მოვახსენებთ ჩვენს აზრს ამ ვაიგამოცემაზე. საქართველოს თეატრალური საზოგადოება თავისი **ხელმძღვანელის** 70 წლისთავის საიუბილეოდ ასეთ სამარცხვინო გამოცემას რომ მიაწვდის მკითხველს, სხვა შემთხვევაში მისგან რას უნდა ველოდოთ?! **თუმცა საერთოდ, მიეწოდა კი იგი მკითხველს, ამ ფრაზის პირდაპირი გაგებით, თუ ე. წ. მაკულატურაში წავიდა? ეგებ ეს მაინც გვიპასუხოს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ? ამასთან, რა თანხა იქნა გაღებული ამ ძვირფასი (ისევ პირდაპირი გაგებით) გამოცემისთვის?**

**ისე, სულო ცოდვილო, შემდგენელ-რედაქტორს მასალები კი შეუგროვებია გულდასმით და ბლომად, მაგრამ ფინაჩი მშენებლის ხელში რა სახლს ააშენებ, რაც უნდა კარგი მასალები მოაზღვაო?!** აქაც ასეა და, **როგორც ჩანს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში, ძალზე მსუბუქად რომ ვთქვათ, უყაირათოდ ეკიდებიან ფინანსების ხარჯვას!**

ახლა მაინც სრულად რომ წარმოვაჩინო, რა ფინაჩურადაა ნაგები ეს საიუბილეო კრებული (რასაც ნამდვილად არ იმსახურებს ჩვენი ძვირფასი გ. ქავთარაძე), თავდაპირველად, ისევ ჩემს ახალ „გატაცებას" — მინილექსიკონებს






(ამას ჩემი ძვირფასი კოლეგა-ლექსიკოგრაფები, იმედია, გურულობის გამო, შემინდობენ) უნდა მივმართო. ეს მინილექსიკონები, როგორც მკითხველთა გამოხმაურებიდან ჩანს, ერთობ საშური სტრუქტურა გამოდგა ნააზრევის სრულყოფილად და, რაც მთავარია, უმტკივნეულოდ წარმოსაჩენად (რა გამოხმაურებებზეა საუბარი, თუ ჩამეძიება მავანი, შემიძლია, ზუსტად დავასახელო, თქვენ წარმოიდგინეთ, უცხოეთიდანაც კი შემოსული ერთობ პოზიტიური რეაქცია ჩვენს გაზეთში ბოლო ხანებში ჩემ მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა სერიალზე):

**I. ქართული ენის განმარტებითი მინილექსიკონი, რომელსაც საფუძვლად დაედო ბატონი გიორგი ქავთარაძის საიუბილეოდ გამოცემული კრებული „გიორგი ქავთარაძე" (შემდგენელ-რედაქტორი — კ. ნინიკაშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამოცემა. თბილისი, 2012, A4 ფორმატი, 300 გვ., ცარცის ფურცელი).**

**ლექსიკონი შეადგინა და კომენტარი დაურთო პროფ. გოგი დოლიძემ.**

### ა

ადეზახათ (226) — **დაეძახათ** (კონტექსტის მიხედვით, ასე უნდა ყოფილიყო)

ავღვნიშნეთ (133) — **აღვნიშნეთ**

ავტოგრაფეს (211) — **ავტოგრაფებს**

ათმავლობას (195) — **აღმავლობას**

ალბად (18, 195) — **ალბათ**

ამასწინათ (93) — **ამას წინათ**

აპოირებდნენ (226) — **აპირებდნენ**

არაუშავდა (262) — **არა უშავდა**

არა-რა (130, 133) — **არარა**

არცერთი (5, 53, 100, 177) — **არც ერთი**

არც თუ (93, 104, 253) — **არცთუ**

აქმამდე (226) — **აქამდე**

აქედამ (73) — **აქედან**

ახლახანს (32) — **ახლახან**

აწი (75) — **ამიერიდან** (როგორც ხაზგასმულია ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში, გვ. 79)

### ბ

ბაჩაბნა (37) — **ბაჩანა** (პერსონაჟი)

ბედნერად (109) — **ბედნიერად**

ბევრჯელ (61) — **ბევრჯერ**

ბოლოსდაბოლოს (101) — **ბოლოს და ბოლოს**

ბრწყივნალებით (184) — **ბრწყინვალებით**

### გ

გადამუშავებულ გადმოქართულებულ (143) — **გადამუშავებულ-გადმოქართულებულ**

გაიმეოროს—მეთქი (13, 65, 265 და ა. შ.) — **გაიმეოროს-მეთქი** (ნაწილაკი „მეთქი"

წინა სიტყვას უერთდება მხოლოდ დეფისით, როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექსიკონში, გვ. 34)

გამოხაატულება (119) — **გამოხატულება**

განსხვაებას (6) — **განსხვავებას**

გარადა (226) — **გარდა**

გარეშე — ნამდვილად არსებობს ასეთი სიტყვა, მაგრამ ხშირად იგი სრულიად უადგილოდ იხმარება: ჩემ გარეშე (16), კონფლიქტის გარეშე (20), რომლის გარეშე (61, 93, 136), შესწავლის გარეშე (248), შეთანხმების გარეშე (268), რეპეტიციის გარეშე (271), თარჯიმნის გარეშე (98), ემოციის გარეშე (190), და ა. შ. **როცა გაიხსენებ გალაკტიონს („უსიყვარულოდ..."), ცხადია, უნდა იყოს:**

**უჩემოდ, უკონფლიქტოდ, ურომლისოდაც, შეუსწავლელად, შეუთანხმებლად, ურეპეტიციოდ, უთარჯიმნოდ, უემოციოდ და ა. შ.**

### დ

დავაშკაცდი (236) — **დავაჟკაცდი**

დაგვანახა (130) — **დაგვანახვეს** (კონტექსტის მიხედვით)

დამაბრალებთო (226) — **დაგვაბრალებთო** (კონტექსტით)

დაიღიპა (124) — **დაიღუპა**

დას (226) — **დასს** („ხელმძღვანელობდა დასს")

დასსმა (122) — **დასმა**

დაცაგრეს (226) — **დაჩაგრეს**

დაჯილდოვებულია (29, 245) — **დაჯილდოებულია**

„დედა ენა" (80) — **„დედაენა"** (მეტიც, ამ გვერდზე ორივე ფორმაა გამოყენებული)

დღე და ღამ (108) — **დღედაღამ**

### ე

ეგრეთწოდებული (148) — **ეგრეთ წოდებული**

ერთერთი (17) — **ერთ-ერთი**

ერთად-ერთი (42) — **ერთადერთი**

ერთის მხრივ (42, 61, 177) — **ერთი მხრივ**

ეს ეს (211) — **ეს-ეს**

ეხლა (53, 104) — **ახლა**

### ვ

ვერცერთს (100-II, ანუ ორჯერ) — **ვერც ერთს** (ანუ ეს შეცდომა ორჯერ

მეორდება ამ გვერდზე)

ვილაცეები (214) — **ვილაცები**

### ზ

ზიზილ-პიპილოებით (29) — **ზიზილ-პიპილებით**

ზოგიერთი სპეციალისტებისაგან (97) — **... სპეციალისტისაგან**

ზოგს (107) — **ზოგი** (კონტექსტით)

„ზღაპარიყო" (239) — **„ზღაპარ იყო"** (სპექტაკლის სახელწოდება)

### თ

თავჯდომარის (172, 223) — **თავმჯდომარის**

თატრებში (136) — **თეატრებში**

თავისი (52) — **თავიანთი** (კონტექსტით)

თანხებიტ (226) — **თანხებით**

თეტრის (168, 169) — **თეატრის**

თეტრმა (173) — **თეატრმა**

თვალ-ყური (52-II) — **თვალყური** (როცა თვალყურის დევნებაზეა საუბარი)

თვითოეული (19, 100, 126, 198) — **თითოეული**

თქო (207) — **ეს ნაწილაკი იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა I პირის**

**დანაბარები II პირმა III პირს უნდა გადასცეს** („უთხრა, ჩქარა შინ

დაბრუნდი-თქო"), როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია

მითითებული, გვ. 243 და არა „მეთქის" ნაცვლად, როგორც აქაა — „ამ წარმატებებში ჩემი ხელიც ურევია-თქო, ვიბრალებ..." (გვ. 207).

### ი

იუბილაური (207) — **იუბილარი**

### კ

კინო გადაღება (5) — **კინოგადაღება**

კინო მსახიობი (253) — **კინომსახიობი**

კინო რეჟისორი (254) — **კინორეჟისორი**

კინოს-ვარსკვლავები (143)

---

ამერიკა

## ჯორჯ ბუშმა პუტინი დახატა

**აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსი) თავისი ნამუშევრები — მსოფლიოს ქვეყნების ლიდერთა პორტრეტები, რომელთა შორისაც არის რფ-ის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის პორტრეტიც.** „ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ბევრჯერ შევხვდი პუტინს და კარგად გავიცანი. ურთიერთობა ყოველთვის კარგი გვქონდა, თუმცა დროდადრო დაძაბულობაც ჩნდებოდა", — განაცხადა ჯორჯ ბუშმა რუსეთის პრეზიდენტზე.

რაც შეეხება სხვა ქვეყნების ლიდერებს, აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა თქვა: „ვიმედოვნებ, რომ ისინი ამ პორტრეტებს აღიქვამენ ისეთივე გრძნობით, როგორითაც მე ისინი დავხატე. ეს კი მეგობრული გრძნობა იყო. მე მათი პიროვნებებით აღფრთოვანებული ვიყავი და ვიფიქრე, ხომ არ მეცადა, მეჩვენებინა, რა დამოკიდებულება მაქვს მათ მიმართ".

თეთრი სახლის ყოფილი მეთაურის ტილოები წარმოდგენილია გამოფენაზე სახელწოდებით „ლიდერობის ხელოვნება: პრეზიდენტის პირადი დიპლომატია". გამოფენა გაიხსნა 5 აპრილს დალასში (ტეხასის შტატი) ბუში-უმცროსის სახელობის საპრეზიდენტო ცენტრში. ექსპოზიციაზე, ვლადიმერ პუტინის პორტრეტის გარდა, შეგიძლიათ ნახოთ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის, ავღანეთის პრეზიდენტ ხამიდ კარაზაის, იტალიის ყოფილ პრემიერმინისტრ სილვიო ბერლუსკონისა და სხვათა პორტრეტები.



# გოგი ქავთარაძემ პარლამენტში მაინც ამოიღოს ხმა და სხვას რას დავეძებ — ზის პარლამენტში გაბუსუნებული და, ჩვენი საყვარელი ნოდარ დუმბაძის თქმისა არ იყოს, ნაბავს თვალებს... ასეთ ხალხზე ხომ არ წუხდა პოეტი — მე ერთ პატარა სოფელს დავაკლდი, მაგრამ დიდ ქალაქს ვერ შევემატეო?!

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— **კინოვარსკვლავები**
კორიოლა-ნუსი (263) — **კორიოლანუსი** (პერსონაჟი)

**ლ**

ლოპახინებისათვის და იაშკებისათვის (134) — **ლოპახინებისა ...**

**მ**

მაინც და მაინც (89) — **მაინცდამაინც**
მამა-შვილობას (57) — **მამაშვილობას**
მართველის (226) — **მმართველის**
მარცხნივ (კადრში) გ. გოიანი (18, 19) — **არადა, ორივე შემთხვევაში გ. გოიანი, გინდ კადრი დაარქვი და გინდ ფოტო, მარჯვნივაა**
მასიური (26) — **მასობრივი** (კონტექსტით)
მითუმეტეს (48, 94, 109, 110, 243, 251) — **მით უმეტეს**
მთელ რიგ (192) — **ზოგ, მრავალ**
მივაკუთნოთ (5) — **მივაკუთვნოთ**
მზაობა (159) — **მზადყოფნა**
მიყავთ (251) — **მიჰყავთ**
მისსავე მიერ (137) — **მის მიერვე**
მისსივე (98, 147) — **მისივე**
მეორეშე (7) — **მეორეში**
მეორეს მხრივ (42, 61, 177) — **მეორე მხრივ**
მსახოიბი (250) — **მსახიობი**
მსხვილი ხედით (17-II, 139, 192) — **ახლო ხედით (**კინემატოგრაფიული ტერმინია)
მუსიკლური (170) — **მუსიკალური**
მოტყვილება (208) — **მოტყუება**
მტერბის (89) — **მტრების**
მხატრული (169) — **მხატვრული**

**ო**

ოპოზიციაშ (226) — **ოპოზიციაში**

**პ**

პირაზე (89) — **პინაზე**
პრობლემათა მთაწვდომის (197) — ... ჩაწვდომის (ალბათ)

**ჟ**

ჟურნალში „თეატრი" (136) — **ჟურნალში** „Театр" (კონტექსტით)
რიგი იმ... მოღვაწეთა (72) — **ზოგიერთი... მოღვაწე**
რომელსაც (74) — **რომელთაც** (კონტექსტით)
რატო? (89) — **რატომ?**
რომლის გარეშეც (93) — **რომელთა გარეშეც** (კონტექსტით)
რო (250) — **რომ**

**ს**

სადაოც (130) — **სადავოც**
სალამოაზე (287) — სალამოზე
საგულდაგულოთ (282) — **საგულდაგულოდ**
სემოიღეს (226) — **შემოიღეს**
სპე-ქტაკლი (226) — **სპექტაკლი**
სპექტაკლმა (130) — **სპექტაკლებმა** (კონტექსტით)
სულით-ხორცამდე (87) — **სულითხორცამდე**
სცენიური (241) — **სცენური**
სუბარი (189) — **ბატონი სოზარ სუბარი არ გეგონოთ! უნდა იყოს — „საუბარი"**
სუცხოო (199) — **საუცხოო**
სხვა და სხვა (69) — **სხვადასხვა**
სტილისტურად (6) — **სტილისტურ** (კონტექსტით)
სხვათაშორის (200, 211) — **სხვათა შორის**
სცენა მონოლოგს (64) — **სცენა-მონოლოგს**
სოსოია და ხატია ჩამომჯდარა (13) — ... **ჩამომსხდარან**

**ტ**

ტოლვილობის (226) — **ლტოლვილობის** (თუმცა, კონტექსტით) — დევნილობით
ტეატრს (226) — **თეატრს**
ტაგან-როგი (157) — **ტაგანროგი** (ქალაქი რუსეთში)
ტიპიურ (72) — **ტიპურ**

**უ**

უგალსტუკოდ (244) — **უჰალსტუხოდ**
უნებლიედ (136) — **უნებლიეთ**
უნდგულქვაობის (165) — **„უნდ" გერმანულად არის კავშირი „და", რომელიც აერთიანებს ფრაზის ორ ერთგვარ წევრს; „გულქვაობაც" გასაგებია, „უგულო", „ულმობელ" ადამიანს ნიშნავს, მაგრამ მათი ერთმანეთთან ასე დაკავშირება, ჯერჯერობით ვერ გამირკვევია, ეგებ გერმანისტებსაც დავეკითხო...**
უამრავი გასტროლები (87) — **... გასტროლი**
უამრავი შეცდომები (250) — **... შეცდომა**

**ქ**

ქაოტური (73) — **ქაოსური** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექ-ში, გვ. 499)
ქონდეს (254) — **ჰქონდეს**

**ღ**

ღირსების შენარჩუნებისათვის (169) — **... შესანარჩუნებლად** (ასეთ ფორმას მიხეილ ჯავახიშვილი დაკუტებულ წინადადებას ეძახდა)

**ყ**

ყავდა (69) — **ჰყავდა**
ყელამ (207) — **ყველამ**
„ყვარყვარე თითაბერში" (111) — **„ყვარყვარე თუთაბერში"**
ყველაზე მთავარია (153) — **უმთავრესია**

**შ**

შარვალკოსტუმში (186) — **კოსტიუმში** (ე.ი. აქ ორი შეცდომაა)
შთაბაეჭდილებას (174) — **შთაბეჭდილებას**
შემ (101) — **შენ**
შრომის მოყვარეობით (104) — **შრომისმოყვარეობით**
შთამოვავლობა (181) — **შთამომავლობა** (სპექტაკლი)
შტაგონება (130) — **შთაგონება**

**ჩ**

ჩაბსკვნილი (60) — **ჩასკვნილი**
ჩამვარდა (247) — **ჩამივარდა**
ჩემს გარეშე (16) — **ჩემ გარეშე**
ჩემის აზრით (109, 130, 254) — **ჩემი აზრით**
ჩვევნ (226) — **ჩვენ**
ჩვენთაგანი (19, 109, 197) — **ჩვენგანი**
ჩვოდმეტრი (226) — **ჩვიდმეტი**
ჩინ-მენდლებს (41) — **...მედლებს**

**ც**

ცდოლობდნენ (251) — **ცდილობენ**
ცერჩეტი (281) — **ცერცეტი, ჩერჩეტი**
ციხე-სიმაგრე (119, 184) — **ციხესიმაგრე**

**წ**

წელს (130) — **წლეულს** (კონტექსტით უმჯობესია ასე)
წინ (5, 29, 53, 73, 86, 103, 104-II, 109, 159—II, თანაც ერთ სტრიქონში, 175) — **წინათ** („წინ" იმას გულისხმობს, ვინც (რაც) პირდაპირ, პირისპირ არის, „წინათ" კი — იმას, რაც „უწინ", „ადრე", მოხდა...)

**ხ**

ხნია (104) — **ხნის**
ხელოვნებათმცოდნეობის დირექტორი (189, 195) — ... **დოქტორი** (აქ, რომ იტყვიან, კომენტარი მართლაც ზედმეტია!)
ხელსტაკოვი (114) — **ხლესტაკოვი** (პერსონაჟი)

**ჰ**

ჰომერიული სიცილი (97) — **ჰომერული ...**

**II. უცხო სიტყვათა მინილექსიკონი, რომელსაც საფუძვლად დაედო ბატონი გ. ქავთარაძის საიუბილეოდ გამოცემული კრებული „გიორგი ქავთარაძე" (შემდგენელ-რედაქტორი — კ. ნინიკაშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამოცემა. თბილისი, 2012, A4 ფორმატი, 300 გვ., ცარცის ფურცელი).**

**ლექსიკონი შეადგინა და კომენტარი დაურთო პროფ. გ. დოლიძემ.**

**ა**

აბსოლიტურად (164) — **აბსოლუტურად**
ადექვატური (96, 146) — **ადეკვატური** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს-ში გვ. 27)
არიალს (214) — **არეალს**

**ბ**

ბალეტმეისტერი (263) — **ბალეტმაისტერი**
ბალლერინა (48-II) — **ბალერინა**
ბუღალტერულად (148) — **ბუღალტრულად**

**დ**

დინამიური (8, 38, 143) — **დინამიკური**
დიპლომატსაც (189) — **დიპლომანტსაც**
დიქტაფონზე (5) — **დიქტოფონზე**

**ე**

ეპიური (38-II) — **ეპიკური**
ელასტიურობა (111) — **ელასტიკურობა**
ეკონომიური (149, 251) — **ეკონომიკური**
ეროტიული (77) — **ეროტიკული**
ექვივალენტი (129) — **ეკვივალენტი** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს-ში, გვ. 271)

**ვ**

ვანაში (208) — **აბაზანაში**

**ი**

ინსტიქტი (53, 60, 63) — **ინსტინქტი**
ისტორია (126, 158, 171) — **ამბავი (**კონტექსტით)

**კ**

კომფლიქტი (48, 87) — **კონფლიქტი**
კოსტუმი (25, 29-II, 32, 73, 75, 77, 80, 169, 193, 225, 260, 280) — **კოსტიუმი**
კოპირება (16) — **რუსულია — იგულისხმება: ასლის, პირის გადაღება**

**ლ**

ლაკონური (38, 42, 161, 199) — **ლაკონიური**
ლეიტმოტივი (90) — **ლაიტმოტივი**
ლირიული (122, 126) — **ლირიკული**

**მ**

მაშტაბური (53, 56, 78, 79, 167, 175, 193) — **მასშტაბური**
მასიური (26, 88) — **მასობრივი** (კონტექსტით)
მიკრო-მოდელი (72) — **მიკრომოდელი**
მსხვილი პლანებით (17-II, 139, 192) — **ახლო ხედებით**

**ნ**

„ნედელიან" (178) — **„ნედელიამ"** (იგულისხმება გაზ. „იზვესტიის" დამატება)

**ო**

ოფიციალირმა (178) — **ოფიციალურმა**

**პ**

პროფესიონალური (17, 45, 101) — **პროფესიული**
პლიუს (263) — **პლუსი**
პრინციპალ (194) — არსებობს ასეთი სიტყვაც და იგი „უფროსს", „პატრონს" ნიშნავს, მაგრამ აქ, კონტექსტით, უნდა იყოს — **პრინციპულ** (პოზიციაზეა საუბარი)

**რ**

რომანტიული (38) — **რომანტიკული**

**ს**

სპეციფიურად (7) — **სპეციფიკურად**
სოციალდემოკრატიის (113) — **სოციალ-დემოკრატიის**
სპექტაკლებიდან (132) — **სპექტაკლიდან** (კონტექსტით)

**ტ**

ტარგედია (165) — **ტრაგედია**
ტიპიური (73, 223) — **ტიპური**

**ფ**

ფანტასია (20) — **ფანტაზია**
ფნტასმაგორული (219) — **ფანტასმაგორიული**
ფაქტიურად (38, 49, 53-II, 101, 152, 252, 278) — **ფაქტობრივად**
ფისკულტურის (236) — **ფიზკულტურის**

**ქ**

ქაოტური (5) — **ქაოსური** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს-ში, გვ. 499)

Еонид (265) — Леонид
Роезииа (252) — Поэзия
Бить (252) — Быть
Гпуповатои (252) — Гпуповатой

**III. როგორც ჩანს, ერთ მინილექსიკონსაც უნდა მოვკიდო ხელი — იგულისხმება, ახლა ესოდენ მოდური WHO IS WHO? ანუ ვინ ვინ არის? Aმის საფუძველც იძლევა კრებული „გიორგი ქავთარაძე", რომელშიც თვით გ. ქავთარაძისა და სხვა ცნობილი მოღვაწეების სახელი და გვარებიც დასალაგებელია:**

აგიორგი (210) — **გ. ქავთარაძე**
გალაქტიონი (23, 269) — **გალაკტიონი**
გოგო ქავთარაძე (5, 162) — **გოგი ქავთარაძე**
გ. ქავთრაძე (253) — **გ. ქავთარაძე**
გოგიქავთარაძე (137) — **გოგი ქავთარაძე**
გოგი ქავთარაძეის (184) — **გოგი ქავთარაძე**
გოგი სიხარულიძე (207) — **გივი სიხარულიძე**
დიმიტრი ჯაიანაია (151) — **დიმიტრი ჯაიანი**
დიმი ჯაიანი (226) — **დიმა ჯაიანი**
თამაზ ბიბილაური (13) — **თამაზ ბიბილური**
თენგიზ მასურაძე (207) — **თენგიზ მაისურაძე**
ლამარ ყარაშვილი (31) — **ლამარა ყარაშვილი**
მარჯანიშვილის (175) — **კ. მარჯანიშვილი**
ჯაინაის (226) — **ჯაიანის**

ახლა სხვა მხრივაც შევხედოთ ამ ჩემი ცოდვით სავსე საიუბილეო კრებულს, რომლის მესვეურებს საერთოდ წარმოდგენა არ აქვთ წიგნზე, როგორც პოლიგრაფიულ ერთეულზე: უნებურად გადაბმული სიტყვები როგორ არ შემხვედრია სხვაგანაც, მაგრამ მთელი სტრიქონი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი აბზაციც რომ სწორედ ასე, მოკრიმანჭულე გურულებივით ხელიხელგადახვეულები იყვნენ — არა და ვერც წარმომედგინა. ძველი OTK („ტექნიკური კონტროლის განყოფილება") ამას წუნად ჩათვლიდა და დაბლოკავდა...

ნეტავ ქალბატონმა **ნანი ჩიქვინიძემ** თუ ნახა, რა დღეშია იუბილარისადმი მიძღვნილი მისი გულწრფელი მისალმება (გვ. 210) ან ბატონმა **დიმიტრი ჯაიანმა** თუ გადახედა (გვ. 226), რა თანაგრძნობას უცხადებს მას გ. ქავთარაძე. არც ბატონი **რობერტ სტურუას** ტექსტია კარგ დღეში, ბოლო ორი სტრიქონი (გვ. 102) პირწმინდად მეორდება! მკითხველის მერიდება, თორემ სკანერით გადავიღებდი ამ თავხედობას, მაგრამ წინ თურმე „უკეთესი" მელოდა: წარმოგიდგენიათ, რა ნიშნებს გამოსცემს კომპიუტერი, ჩიტირეკია მთვლემარე მბეჭდავის ხელში? გადაშალეთ 244-249 გვერდები და წეროების გადაფრენა გეგონებათ, ისეა ჩამწკრივებული დეფისი და ტირე...

ამას გარდა, **გინახავთ ოდესმე კრებული, რომელშიც ათეულობით ავტორია წარმოდგენილი სტატიის, რეცენზიის, წერილის, მისალმებისა და მისთ. სახით და ამ კრებულს არ ჰქონდეს სარჩევი? კრებულს არც საძიებლები აქვს, ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, სახელთა საძიებელი და, მით უმეტეს, სპექტაკლებისა თუ ფილმების საძიებლები. შეიძლება ასეთი უპასუხისმგებლობა და უპატივცემულობა იუბილარისა და მკითხველის მიმართ?! სად უნდა ეძიო ამ ზღვა მასალაში შენთვის საჭირო ავტორი და მისი დამოკიდებულება იუბილარისა თუ, საერთოდ, პრობლემური საკითხებისადმი?**

პუნქტუაციაზე, ისევე როგორც ფოტოსურათების წარწერებზე, ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ისეთი ქაოსია ამ მხრივაც. **აბსოლუტური უვიცობა იმისა, თუ როდის იხმარება დეფისი (-) და როდის ტირე (—), რაც წამდაუწუმ თვალში გვხვდება ამ სპეციფიკურ ტექსტებში, ძალიან არასასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს** და ა. შ. და ა. შ.

**როცა საქართველოს თეატრალური საზოგადოება ასე აგდებულად ეპყრობა თავისი სახელოვანი თავმჯდომარის 70 წლისთავის საიუბილეო გამოცემას, ვიმეორებ, სხვის მიმართ, საზოგადოების ჩვეულებრივი წევრის მიმართ, რას იზამს?!** გურულად რომ მოვუქციო, სწორედ ამას ვჩივი რა ხანია, მაგრამ ვინაა პასუხის გამცემი?!

ისე, მე და ჩემმა ღმერთმა, ნეტავ, იმას მომასწრო, რომ **გოგი ქავთარაძემ პარლამენტში მაინც ამოიღოს ხმა და სხვას რას დავეძებ — ზის პარლამენტში გაბუსუნებული და, ჩვენი საყვარელი ნოდარ დუმბაძის თქმისა არ იყოს, ნაბავს თვალებს... ასეთ ხალხზე ხომ არ წუხდა პოეტი — მე ერთ პატარა სოფელს დავაკლდი, მაგრამ დიდ ქალაქს ვერ შევემატეო?!**

**ნუთუ ასე „პატარა სოფელია" ქართული ხელოვნება, პარლამენტი კი — „დიდი ქალაქი"?!**

**ვინ იცის?!**

**გოგი დოლიძე**

გარემო

## ცენტრალური აზია — გვალვების საფრთხის წინაშე

**ცენტრალური აზია დიდი გვალვის ზღურბლზე დგას, — ნათქვამია კლიმატის ცვლილებების შემსწავლელი სამთავრობოთაშორისი ექსპერტების ჯგუფის მოხსენებაში.**

მეცნიერთა აზრით, ხშირი გვალვების გამო საჭირო გახდება ბამბისა და ბრინჯის ნათესების უფრო ხშირად მორწყვა, რაც წყლის უფრო მეტ რესურსს მოითხოვს, გვალვები გამოიწვევს მოსავლის შემცირებას, შესაბამისად, შემცირდება პროდუქციის ექსპორტი უცხოეთში და ამის გამო ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩება.

ექსპერტთა აზრით, ცენტრალურ აზიაში კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობაზე, წყლის რესურსზე და, აქედან გამომდინარე, რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაზე.

თუმცა ცვლილებები უარესობისკენ ახლაც შესამჩნევია — ინგრევა ეკოსისტემა, გამოიფიტა მიწა, შემცირდა ბიომრავალფეროვნება. ანგარიში, რომელსაც ხელს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი აწესებს, კლიმატის ცვლილებების შესახებ გაეროს სამიტამდე ნახევარი წლით ადრე ქვეყნდება.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 12-მეტრიანი ხის სკულპტურა

**ხეზე კვეთა სულ უფრო პოპულარული ხდება. ეს გრანდიოზული ხის სკულპტურა შექმნილია ჩინელი ხელოვანის — ჩჟენ ჩუნჰუის მიერ. ჩჟენის თქმით, სკულპტურის შექმნის პროცესი დაახლოებით 4 წელიწადი გრძელდებოდა.** აღნიშნული შედევრის დეტალიზაცია და შესრულების სირთულე დამთვალიერებელთა აღფრთოვანებასა და გაოცებას იწვევს. რაც შეეხება მის გაბარიტებს, იგი 12 მეტრზე მეტი სიგრძის, 3 მეტრზე მეტი სიმაღლის და 2,4 მეტრი სიგანისაა. ეს უნიკალური ნამუშევარი ჩინეთის Palace Museum-შია გამოფენილი. ამ ხის „ტილოს" მეშვეობით ავტორი მოგვითხრობს პატარა ქალაქში მდიდრებისა და ღარიბების ცხოვრების შესახებ. სკულპტორმა უმცირესი დეტალების, პატარა სახლების, ნავებისა და 550 ადამიანის ფიგურის ამოტვიფრვით გადმოსცა ერთი ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების წესი. ეს ნამუშევარი უპირობოდ გახდება ჩინეთის თანამედროვე კულტურის ნამდვილი ღირსშესანიშნაობა.



# ყველაზე ლამაზი დღესასწაულები



## კარნავალი რიო-დე-ჟანეიროში

**კარნავალი რიოში ერთ-ერთი ულამაზესი დღესასწაულია მსოფლიოში. ეს არის ფერების, მუსიკის, კოსტიუმებისა და მოცეკვავეების გიჟური კოქტეილი.**

კარნავალი რიოში ეს არის სამბის სკოლების აღლუმი, რომელსაც ორგანიზებას უწევენ ქალაქის ტურიზმის სამინისტრო, სამბის შემსწავლელი სკოლების ლიგა და ტელეკომპანიები, რომლებიც ტრანსლირებენ წარმოდგენას.

თითოეული სკოლა ირჩევს თემას და აფორმებს თავის მოძრავ მოედანს, აფორმებს კოსტიუმებს, დგამს ცეკვას, აკეთებს პრეზენტაციას. კარნავალის დასრულების შემდეგ ვლინდება გამარჯვებული სკოლა, რომელსაც გადაეცემა ფულადი პრიზი. გამარჯვებულ სკოლაში ცეკვის შესწავლა ძალიან დიდ პრესტიჟად ითვლება.




## ჰოლი — საღებავების ფესტივალი ინდოეთში

**ჰოლი არის გაზაფხულის მოსვლისა და ბუნების გამოღვიძების დღესასწაული ინდოეთში, რომელიც აღინიშნება მარტში ან თებერვალში. დღესასწაულის დროს აწყობენ ბრძოლას კაცებსა და ქალებს შორის, ხტებიან ცეცხლზე და ასე შემდეგ.**

დღესასწაულის ყველაზე სანახაობრივი პროცესი არის ის, როდესაც ხალხი ერთმანეთს ასველებს სხვადასხვა ფერის საღებავებით. ამ საღებავებს აკეთებენ სამკურნალო ბალახებისგან, რომლებიც ამ პერიოდში ეხმარება ორგანიზმს, დაძლიოს სხვადასხვა საგაზაფხულო ვირუსი.



## ფესტივალი Burning Man

**არტფესტივალი Burning Man-ი ტარდება შტატ ნევადის უდაბნოში აგვისტოს ბოლო კვირაში. სახელწოდება ფესტივალმა მიიღო უზარმაზარი ხის ადამიანის დაწვის ტრადიციის გამო. აქ ყველაფერი შესაძლებელია, აქ არის მუსიკის, ცეკვების, სიგიჟის და ექსტავაგანტულობის ნაზავი, ყველაზე ლამაზი უთვალავი არტბიექტებია.** მთავარი Burning Man-ზე არის ფანტასტიკური სკულპტურები, რომლებიც გამოაქვთ ფესტივალის დაწყების წინ. ხელოვნების ყველა ნიმუშს წვავენ შიშველი ადამიანების მარშის დროს, ტარდება ცნობილი დიჯეებისა და მუსიკოსების კონცერტები. ფესტივალის დროს ტერიტორიაზე აკრძალულია ფულის თხოვნა და ტრანსპორტით გადაადგილება. ფესტივალის დასრულების შემდეგ ტერიტორიაზე არაფერი უნდა დარჩეს, რაც მის არსებობაზე მიანიშნებს.



## საგაზაფხულო ფესტივალი ჩინეთში

**„საგაზაფხულო ფესტივალი" ჩინური ახალი წელია. ის იწყება იანვრის ბოლოს და 40 დღეს გრძელდება.** ამ დღეების განმავლობაში ცაში უშვებენ ათასობით ფეიერვერკს, ტარდება მასშტაბური კარნავალები. ჩინელები გულმოდგინედ რთავენ საკუთარ სახლებს დღესასწაულისთვის, ხოლო მაღაზიები და რესტორნები ხალხს სთავაზობენ ტრადიციულ საახალწლო კერძებს.



## თოვლისა და ყინულის ფესტივალი ჰარბინში

**ჩინური ქალაქი ჰარბინი არის ყინულისა და თოვლის კულტურის ერთ-ერთი ცენტრი მსოფლიოში. საერთაშორისო ფესტივალი იწყება 5 იანვარს და ერთი თვე გრძელდება.**

ყინულის სკულპტურებს აკეთებენ შენობების, ძეგლების, ცხოველების, ადამიანების და მითიური არსებების სახით. განათებებისთვის იყენებენ ლაზერებს და ფარნებს, მათი საშუალებით იქმნება მანათობელი ვარიაციები, რომლებიც ღამით წარმოუდგენლად ლამაზია.



## კინოსა და მუსიკის ფესტივალი Boomtown

კინოსა და მუსიკის ფესტივალი Boomtown-ი ტარდება ტეხასის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მასზე არჩევენ საუკეთესო დამოუკიდებელ ფილმებს. ხალხს ფესტივალზე შეუძლია განიხილოს ახალი იდეები, იმსჯელოს კინოხელოვნებაზე, დატკბეს საუკეთესო მუსიკით. ფესტივალი ცნობილია შესანიშნავი DJ სცენებით, რომლებიც ყოველ წელს სხვადასხვანაირია.



## დივალის ცეცხლის დღესასწაული ინდოეთში

**დივალი არის ცეცხლის ფესტივალი, რომელიც აღინიშნება ინდოეთში ოქტომბერ-ნოემბერში და სიმბოლურად წარმოადგენს სინათლის გამარჯვებას სიბნელეზე, სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე.**

დივალი ეძღვნება სიმდიდრის ქალღმერთს. ხალხი სახლებს ალაგებს, ანთებს ცეცხლს, რადგან ქალღმერთს არ უყვარს სიბნელე, მიმართავს ქალღმერთს ლოცვით, მიაქვს მისთვის რძე, რომელშიც ჩაყრილია მონეტები, ხოლო ღამით კარებსა და ფანჯრებს ღიად ტოვებს, რათა ქალღმერთმა ადვილად შემოაღწიოს სახლში.



## მოცურავე ლამპრების ფესტივალი ჰავაიზე

**ყოველ წელს ჰავაიზე ტარდება მოხსენიების დღე. ამ დღეს ადგილობრივები და ტურისტები მოდიან ოკეანის ნაპირზე ათასობით მოცურავე ლამპრის სანახავად და თავადაც უშვებენ.** ოკეანეში გაშვებულ ლამპრებს თან ატანენ ლოცვებს დაღუპულებისა და ცოცხლების შესახებ და იმედოვნებენ, რომ მსოფლიოში საყოველთაო ბედნიერება დამკვიდრდება.



## ცის ლამპრების ფესტივალი ტაილანდში

**დღესასწაულს საფუძვლად უდევს ლეგენდა იმის შესახებ, რომ ლამპრის გაშვების შემთხვევაში ადამიანი განიწმენდს სულს, გააძლიერებს ოჯახის გენებს ან აანთებს სიყვარულის ჩამქრალ გრძნობას.**

ცეცხლი სიმბოლურად განწმენდას ნიშნავს, ხოლო ლამპრის გაფრენა — უზენაესისკენ სწრაფვას. ამიტომაც ითვლება, რომ ლამპართან ერთად ცაში მიფრინავენ პრობლემები, ხოლო ადამიანებს რჩებათ მხოლოდ სინათლე და კეთილი გრძნობები.



## ყველაზე დიდი ფოტოაპარატი

**ჩიკაგოელმა ფოტოგრაფმა დენის მენერჩმა მსოფლიოში ყველაზე დიდი ფოტოკამერა სახელწოდებით „The Eye of America“ შექმნა. ამ გიგანტური ფოტოაპარატის დიზაინი ზუსტად ეხამება კლასიკური კამერა-გარმონის ფორმას. ამასთანავე, იგი არა უბრალო ბუტაფორიას, არამედ სრულიად ფუნქციონალურ მოწყობილობას წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ კარგად ასრულებს თავის მოვალეობას.** როგორც დენისი აცხადებს, აპარატის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ უბრალო ადამიანებს მისცემოდათ საშუალება, უფრო მეტი შეეტყოთ იმ მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელთაც ფოტოგადაღების მომენტში აქვს ადგილი. მის შიგნით შესვლის შემდეგ ყოველი პროცესი თვალსაჩინო ხდება. ფოტოაპარატის სიგრძე შეადგენს 10,66 მეტრს, ხოლო სიგანე – 3,66 მეტრს. 17 ნოემბრამდე ფოტოკამერის ხილვა შესაძლებელი იყო ქალაქ მონროში სასამართლოს შენობის გვერდით. ახლა კი დენისი თავისი გიგანტური კამერით ამერიკაში მოგზაურობს.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვენეციის კარნავალი

**ყოველ წელს ვენეცია 12 დღით გადაიქცევა გიგანტურ სცენად დეკორაციებით მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული და დამაბრმავებელი კარნავალისთვის. დაუოკებელი ფანტაზია, შეუჩერებელი მუსიკა, უძილო ღამეები, ნავებისა და ნიღბების ალლუმი — აი მისი მთავარი მახასიათებლები.**

სან-მარკოს მოედანზე აწყობენ თეატრალურ წარმოდგენებს, ხოლო შემდეგ კი დღესასწაული გადადის უფრო ვიწრო ქუჩებში. ამ ყველაფერს თან ახლავს მუსიკა, ცეკვა და მასიური გართობა.



## თოვლის ფესტივალი საპოროში

**1950 წელს ერთ-ერთი სკოლის უფროსკლასელებმა საპოროში დააყენეს ცხოველების თოვლის ექვსი ფიგურა. ამ ქმედებამ გამვლელებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ახლა უკვე ყოველ წელს აღინიშნება თოვლისა და ყინულის ფესტივალი.** თავდაპირველად დღესასწაული ცნობილი იყო იაპონიაში, მაგრამ ზამთრის მე-11 ოლიმპიური თამაშების შემდეგ საპოროს ფესტივალმა მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა.



## ყვავილების ფესტივალი ტაილანდში

**წელიწადში ერთხელ პროვინციური ჩიანგმაი გარდაისახება. ტურისტების ურდოებს სურთ, რომ მონაწილეობა მიიღონ კაცების, ქალების, ბავშვებისა და მუსიკოსების მარშში.** დღესასწაული იწყება თებერვლის პირველ პარასკევს და გრძელდება სამი დღე. ამ სამი დღის განმავლობაში იმდენი ყვავილი გროვდება, რომ ყველაფერი ყვავილებშია ჩაფლული. გოგონები იცვამენ ეგზოტიკურ ეროვნულ კოსტიუმებს, ხოლო ფესტივალის ბოლოს მათ შორის ყველაზე ლამაზი ხდება ყვავილების დედოფალი.

# 5 ყველაზე ჭკვიანი საათი

დღეს უკვე ბევრი კომპანია, მათ შორის მსხვილი კომპანიებიც, დაკავებულნი არიან ჭკვიანი საათების შექმნით. ეს მოწყობილობები ერთმანეთს ძლიერ ჰგავს, მაგრამ მათში მაინც შეიმჩნევა განსხვავება.



## Moto 360 Motorola-სგან

**Moto 360 ეს არის iPhone-ი ჭკვიან საათებს შორის. კომპანია Motorola-ს, როგორც იქნა, გამოუვიდა ის, რაზეც ასეთი მოწყობილობის შემქმნელები მხოლოდ ოცნებობდნენ. 2014 წლის ზაფხულში კომპანია გაყიდვაში ჩაუშვებს ნამდვილად ლამაზ და კლასიკურ საათებს, რომლებიც ადამიანის მაჯაზე ნამდვილად განსხვავებულად გამოიყურება, თითქოს ჩვენ მივაღწიეთ იმას, რაც გასული საუკუნის 70-იანი წლების ფანტასტიკურ ფილმებში გვინახავს.**

Moto 360 არის საათი კლასიკურ სტილში, რომლის განსხვავებაც მექანიკური საათისგან ერთი შეხედვით შეუძლებელია, მაგრამ ამ მოწყობილობაზე ციფერბლატი სენსორულია და შეუძლია გამოსახოს არამარტო საათის ისრები, არამედ ბევრი სხვა ინფორმაციაც. Moto 360-ს შეუძლია იმუშაოს ტელეფონის და ნავიგატორის რეჟიმში. ის საშუალებას მისცემს მფლობელს, წაიკითხოს ტექსტური და ელექტრონული შეტყობინებები, მართოს მუსიკა, იურთიერთოს მეგობრებთან სოციალურ ქსელებში, გაიგოს ამინდის პროგნოზი და გააკეთოს ბევრი სხვა ქმედება. მოწყობილობაში არის კიდევ რამდენიმე გადამცემი, რომლებიც აჩვენებს ადამიანის ჯანმრთელობას, როდესაც ის მფლობელს უკეთია ხელზე.




## Pebble

**თანამედროვე ჭკვიანი საათების უმეტესობას ერთი ნაკლი აქვს — მათი სენსორული ეკრანები მოიხმარენ ძალიან ბევრ ენერგიას, ამიტომაც მათი დატენვა საჭიროა პრაქტიკულად ყოველდღე. მაგრამ ეს მინუსი სრულიად უცხოა მოწყობილობისთვის, რომელსაც Pebble ჰქვია.**

Pebble — ეს არის ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც კარგმა იდეამ საიტ Kickstarter-ზე მოაგროვა საკმარისი ფული, რომლის წყალობითაც მოხდა იდეის რეალიზირება და საათი ჩაეშვა მუდმივ წარმოებაში. ამ ჭკვიანი საათის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ეკრანი შექმნილია ტექნოლოგია e-paper-ზე, რომელიც ჩვეულებისამებრ გამოიყენება ელექტრონული წიგნებისთვის.

ელექტრონული ქაღალდის გამოყენება Pebble-ის საათებს აძლევს საშუალებას, იმუშაოს დიდი ხნით — ხუთიდან შვიდ დღემდე. მოწყობილობას შეუძლია ზარების მართვა და რამდენიმე სხვა ფუნქციის შესრულება სმარტფონებზე, რომლებთანაც ის დაკავშირებულია უკაბელო ქსელით. საათებმა შეიძლება იმუშაოს მაღვიძარის ან ტაიმერ-ორგანაიზერის მაგივრად — ისინი დანიშნულ დროს დაიწყებს ვიბრირებას. Pebble-ს არ აქვს ძვირადღირებული კომპლექტაცია და ბაზარზე ითვლება ყველაზე იაფფასიან ჭკვიან საათად. მისი ფასი 150 ამერიკული დოლარია.






## Hyetis Crossbow

**Hyetis Crossbow-ის ჭკვიან საათებს არ შეუძლია, თავი მოიწონონ ისეთივე ლამაზი დიზაინით, როგორც ზემოხსენებულ ჭკვიან საათს, მაგრამ მას აქვს ის, რაც არც ერთ სხვა მოწყობილობას არ გააჩნია. საუბარია ჩაშენებულ კამერაზე, რომელსაც შეუძლია გადაიღოს 41-მეგაპიქსელიანი სურათები.**

როგორც სხვა ჭკვიან საათებს, Hyetis Crossbow-იც განკუთვნილია მობილურ ტელეფონთან დაკავშირებისთვის. ამის წყალობით მოწყობილობა გამოიყენება სატელეფონო ზარების საპასუხოდ და სხვა რამეებისთვისაც. მასში არის უკაბელო კავშირის მოდულები, თერმომეტრი, ბარომეტრი, სიმაღლის განმსაზღვრელი და მფლობელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამცემები. Hyetis Crossbow-ის მთავარი ფუნქცია არის კამერა ოპტიკური ობიექტივით Carl Zeiss-ისგან.

Hyetis Crossbow-ის საათები მექანიკურია.




## Razer Nabu Smartband

**Razer Nabu Smartband არის რაღაცა ჭკვიან საათსა და სპორტულ სამაჯურს შორის, ის განკუთვნილია აქტიური ადამიანებისთვის.**

Razer Nabu Smartband აღჭურვილია პატარა დისპლეით, რომელზეც ჩნდება ინფორმაცია არამხოლოდ მფლობელის ვარჯიშების შესახებ, არამედ დროის შესახებაც და ასევე მობილური ტელეფონიდანაც, რომელთანაც მოწყობილობა არის დაკავშირებული. Razer Nabu Smartband-ის დახმარებით შესაძლებელია ზარების მართვა ტელეფონზე, ტექსტური და ელექტრონული შეტყობინებების წაკითხვა. ეს ყველაფერი ინტენსიური ვარჯიშებისგან მოწყვეტის გარეშე ხდება.

## Neptune Pine

**სხვა ჭკვიანი საათებისგან განსხვავებით, Neptune Pine — ეს არ არის მხოლოდ დამატებითი გარე ეკრანი მობილური ტელეფონისთვის, არამედ არის სრულფასოვანი სმარტფონი, რომელიც არ მოითხოვს არანაირ გვერდით მოწყობილობებს სამუშაოდ.**

Neptune Pine-ს აქვს სლოტი სიმ-ბარათისთვის, ასევე სრულფასოვანი მობილური ოპერაციული სისტემა Android JellyBean. მოწყობილობაში შესაძლებელია აპლიკაციების ჩატვირთვა Google play-დან, ზარებისთვის და ასევე ინტერნეტ-ბრაუზერში სამუშაოდ, მუსიკის მოსასმენად და ასევე ბევრი სხვა ფუნქციებისთვის, რომლებიც ხელმისაწვდომია სმარტფონისთვის.

Neptune Pine-ის ჭკვიან საათებს აქვთ ერთი ნაკლი — ზომა, 2.4-დიუმიანი ეკრანები. ეს საჭირო და აუცილებელია სრულფასოვან სმარტფონთან სამუშაოდ, მაგრამ წარმოუდგენლად დიდი ჩანს საშუალოსტატისტიკური ადამიანის მაჯაზე.

# სიახლეები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში — ეს ყველამ უნდა იცოდეს!

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ პრესკონფერენცია მოიწვია და 218-ე დადგენილებაში შემავალი ცვლილებები განმარტა.**



ამიერიდან 218-ე დადგენილების ბენეფიციარები (სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, პედაგოგები, დევნილები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები, ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარებულნი და გალის ტერიტორიაზე მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები), რომლებიც აქამდე კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ იყვნენ დაზღვეულნი და რომელთა სრული რაოდენობა 400 000-მდეა, უცვლელი პირობებით სამედიცინო მომსახურეობას მიიღებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, მათ მიეცემათ საშუალება, თავად აირჩიონ სამედიცინო დაწესებულება სატარიფო არეალის გათვალისწინებით. ცვლილება ეხება გეგმურ ქირურგიულ ოპერაციებზე საგარანტიოს გაცემის წესსაც — თუკი დღემდე აღნიშნული დადგენილების მოსარგებლეთა მოცდის პერიოდი განისაზღვრებოდა 6 თვის ვადით, პირველი აპრილიდან იგი შემცირდება ორ თვემდე. რაც შეეხება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების ბენეფიციარებს, რომლებსაც ხშირად პირადობის დამადასტურებელი მოწმობის უქონლობის გამო ვერ უტარდებოდათ სამედიცინო მომსახურება, მსგავსი პრობლემა აღარ შეექმნებათ, მათ მიეცემათ ხანგრძლივი ვადა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის წარსადგენად.

ამიერიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულმა სამედიცინო დაწესებულებებმა ახალი მოსარგებლეების რეგისტრაცია სპეციალური სააღრიცხვო დოკუმენტის მიხედვით უნდა აწარმოონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჯარიმდება ყველა ის პოლიკლინიკა და კლინიკა, რომლებიც დაარღვევენ პაციენტის უფლებას და მათ შეთანხმების გარეშე დაარეგისტრირებენ.



# ბუნდესტაგის კომისია ამერიკელი ჯაშუშების საქმეს შეისწავლის

**3 აპრილს გაიმართა დამფუძნებელი სხდომა საპარლამენტო კომისიისა, რომელიც ბუნდესტაგის დეპუტატებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მოქმედების გამოსაძიებლად შექმნეს.**

ჯაშუშების სკანდალი გერმანიაში გასული წლის ზაფხულში ატყდა, როდესაც აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა მამხილებელი დოკუმენტები გამოაქვეყნა — როგორც გაირკვა, ამერიკული სპეცსამსახური გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის მობილურ ტელეფონსაც კი უსმენდა.

კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს პარტია ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელი კლემენს ბინინგერი, რომელიც ადრე სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობდა. კომისიაში კი სულ 6 წევრია. კომისიის უპირველესი ამოცანაა, გაარკვიოს როგორ ეწევიან აშშ-ისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები ოპერატიულ საქმიანობას გერმანიაში, მეორე — ეხმარებიან თუ არა მას გერმანელი კოლეგები, მესამე — შეიმუშაოს რეკომენდაციები გერმანიის საკომუნიკაციო ქსელების დასაცავად. კომისიას უფლება აქვს, დასაკითხავად გამოიძახოს გერმანიის ნებისმიერი მაღალჩინოსანი. კომისია აპირებს, დაკითხოს გერმანიის ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, რომელიც ადრე ფედერალური კანცელარიის ხელმძღვანელი იყო და გერმანიის სპეცსამსახურების მუშაობას კოორდინაციას უწევდა, აგრეთვე, რონალდ პოფალუ, რომელმაც კანცელარიის ხელმძღვანელის პოსტზე შტაინმაიერი შეცვალა. მათ გარდა, დასაკითხთა სიაში არიან გერმანიის შს ყოფილი მინისტრი ჰანს-პეტერ ფრიდრიხი და სპეცსამსახურების ყოფილი და ამჟამად მოქმედი ხელმძღვანელები.

## საქართველოს პრემიერმინისტრი:
# ყველა ადამიანი, რომელიც 9 წლის განმავლობაში ამ პოლიტიკას განსაზღვრავდა, დაისჯება!

**„ყველა ის ადამიანი, რომელიც მთელი ცხრა წლის განმავლობაში ამ პოლიტიკას განსაზღვრავდა, იქნება ბოლომდე დასჯილი“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ზუგდიდში, დადიანების სასახლეში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას.**

„ცხრა წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, 320 000 ადამიანი იქნა გასამართლებული; ათასობით ადამიანი — მორალურად განადგურებული, პატივაყრილი. უდანაშაულო ადამიანებს საკუთარი სახლებიდან იტაცებდნენ, აუპატიურებდნენ რაღაც აბსურდული დანაშაულის აღიარების მიზნით. დღეს ეს ადამიანები გამოდიან და საუბრობენ დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, ჭკუას გვარიგებენ, როგორ მოვაწყოთ სახელმწიფო — ეს არის ყველაზე დიდი უსამართლობა, მეგობრებო, და მე მინდა, ამ ადამიანებს შევახსენო, ამ ყველაზე დიდ უმცირესობას, რომ ჩვენ ყველაფერი კარგად გვახსოვს და ყველა ამ მძიმე დანაშაულს ბოლომდე გამოვიძიებთ“, — აღნიშნა პრემიერმინისტრმა.





# «კიევში ქართველი სნაიპერების ჯგუფს გია ბარამიძე და გივი თარგამაძე ხელმძღვანელობდნენ»

**გენერალ-მაიორი ტრისტან წითელაშვილი ოთხი ქართველი სნაიპერის მაიდნის აქციებში მონაწილეობაზე საუბრობს. მისი თქმით, კიევში აქციების დროს სნაიპერები „ნაციონალების“ მითითებით იმყოფებოდნენ.**

„მე ზუსტად ვიცი იმ 4 ადამიანის ვინაობა, ვინც იქ სნაიპერად იმყოფებოდა, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ვინაობას ვერ დავასახელებ. მასალები 2 კვირაში გაეგზავნება პროკურატურას. გეტყვით იმას, რომ ეს ადამიანები სააკაშვილის კონტროლს დაქვემდებარებული ძალოვანი სტრუქტურის ყოფილი თანამშრომლები არიან. ისინი წინა ხელისუფლებამ ამგვარი საქმეებისთვის გაწვრთნა. მათ ჯგუფს კიევში გივი თარგამაძე და გია ბარამიძე ხელმძღვანელობდნენ“, — განაცხადა ტრისტან წითელაშვილმა.

# ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;**
**ტ. 218-46-08 ოფისი**

# ახმეტაში რუსული დროშა აღმართეს

უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც ქართველმა საკუთარი სახლის სახურავზე რუსული დროშა აღმართა. ამჯერად ეს ახმეტაში მოხდა. ადგილობრივმა გოგიტა სამუკაშვილმა სახლის სახურავზე რუსეთის დროშა გამოფინა.



# დაპირისპირება უკრაინის რადაში

**უკრაინის უმაღლეს რადაში, კომუნისტ და ნაციონალისტ დეპუტატებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. კომუნისტური პარტიის ლიდერმა პეტრე სიმონენკომ ნაციონალისტები დაადანაშაულა, რომ მათ თავიანთი ქმედებებით სეპარატისტებს მაგალითი მისცეს.** „ყოველთვის იმას ვამტკიცებდი, რომ ჩვენთან ნაციონალისტები პროამერიკულ და პროდასავლურ პოლიტიკას ატარებდნენ, მაგრამ შევცდი. თქვენ არა ამერიკული სცენარით, არამედ რუსეთის სცენარით მოქმედებდით უკრაინის გასახლეჩად“, — განაცხადა პეტრე სიმონენკომ. კომუნისტური პარტიის ლიდერის ამ განცხადების გამო ტრიბუნასთან პარტია „თავისუფლების“ დეპუტატები მიიჭრნენ და დეპუტატებს შორის ჩხუბი ატყდა.



# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009